# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №212 (2585) შაბათი, 30 აგვისტო, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

**აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი**

## ჰეი, ვარა! შეჩერდით, დად!

### პოლიტიკამ შური არ უნდა იძიოს...

ისმის კითხვა: რატომ ჩამოვიდა არძინბა? ან უფრო გაბრაზებით: რატომ შემოუშვეს არძინბა თბილისში! – იმიტომ შემოუშვეს, რომ დღეს ის ლიდერია აფხაზეთში, რომელსაც ჩვენი არაკეთილმოსურნენი ანგარიშს უწევენ, შინ და გარეთ, რასაც არ შეიძლება ანგარიში ჩვენც არ გავუწიოთ.

განა თბილისი საქართველოს დედაქალაქი არაა? განა აფხაზეთი საქართველო არაა? აფხაზეთის პრობლემა ხომ გლობალური პოლიტიკის სფეროშია ჩართული. ამ სფეროდან მისი გამოყვანა კი მხოლოდ აფხაზებისა და ქართველების გადასაწყვეტია. აფხაზები და ქართველები კი ერთი და ორი, ან ათი და ასი კაცი არ არის.

ჩვენს ურთიერთობაში მთლად საერთაშორისო სტანდარტები არ გამოდგება. არ გამოდგება იმიტომ, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას აშკარად, თუ ქვეცნობიერად ყოველთვის ტრადიცია მართავდა და მართავს. აფხაზური მოწიწება და ზნეობა ყველა ერის ზნეობას სამკაულად გამოადგებოდა, ისე, როგორც საერთო ქართული ზნეობა.

იხ. მე - 3 გვ.

**მკითხველთან**

## რედაქციის პირველი შეხვედრა — ქარელში

საქართველოს მხარეებთან უფრო მეტად დაახლოებას, ქარების უკეთ გაცნობას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან უშუალო ურთიერთობის დამყარებას ჩაეყარა საფუძველი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის გასვლითი სხდომით, რომელიც ორიოდე დღის წინათ გაიმართა ქარელის რაიონში.

იხ. მე - 2 გვ.

**სამძიმარი**

საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია, მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

**გურამ ფანჯიკიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

* * *

გურამ ფანჯიკიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნილია დამკრძალავი კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის თავმჯდომარეობით.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

* * *

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის დამკრძალავი კომისია თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და იუწყება, რომ გურამ ფანჯიკიძის სამოქალაქო ნაშანშვიდი გაიმართება 31 აგვისტოს, 1 სექტემბერს, 17 საათზე განსვენებულის ბინაზე, მისამართი: ალ ყაზბეგის პროსპექტი № 4 ა; 2 სექტემბერს, 13 საათზე საქართველოს მწერალთა სასახლეში.

გამოსვენება 2 სექტემბერს 15 საათზე საქართველოს მწერალთა სასახლიდან (ივ. მაჩაბლის ქ. № 13)

გურამ ფანჯიკიძე დაიკრძალება მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

**პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა**



## სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა სამართლებრივი ბაზის სრულყოფას მოითხოვს

28 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა დანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩვენს ქვეყანაში იორნ კროგბეკმა.

ტრადიციული საზეიმო ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების მიზნით სამართლებრივი ბაზის სრულყოფის აუცილებლობას. აღინიშნა ასევე, რომ უკანასკნელ პერიოდში რეალურად იკვეთება ორი სახელმწიფოს მზარდი ინტერესი ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის განვითარებაში.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლიერება გამოხატა დანიის სამეფოს დახმარებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერის გამო.

იორნ კროგბეკმა სრულად გაიზიარა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მოსაზრებები საერთაშორისო სტრუქტურებში თანამშრომლობის გაფართოების თაობაზე და განაცხადა: „საქართველო და დანია პატარა ქვეყნებია, ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ხმა მკაფიოდ ისმოდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში“.

ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობის განმტკიცებაში, მხარეთა შეფასებით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უახლოეს დღეებში საქართველოში დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის ნილს ჰელვეგ პეტერსენის ვიზიტი.

* * *

იმავე დღეს დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იორნ კროგბეკს შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

**სურათზე:** რწმუნებათა სიგელების გადაცემის შემდეგ.

**მალხაზ მაჭავარიანის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## „დაიმლერ ბენცი“ ზრუნავს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის პოპულარიზაციაზე

29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კონცერნ „დაიმლერ ბენცის“ დირექტორთა საბჭოს წევრი იოჰან ზემლერი.

საქართველოსთან თანამშრომლობის უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე კონცერნს, როგორც შეხვედრაზე ითქვა, ამ მიმართულებით სამომავლოდაც საინტერესო პროექტები აქვს შემუშავებული. ერთ-ერთი მათგანი საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის უფრო სრულყოფილი რეალიზებისათვის ხელშეწყობას ითვალისწინებს. იოჰან ზემლერმა საქართველოს პრეზიდენტს გაუზიარა ინიციატივა საქართველოში საერთაშორისო სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის გამართვის თაობაზე. მასში, როგორც სტუმარმა აღნიშნა, ენთუზიაზმით მიიღებენ მონაწილეობას ცნობილი გერმანელი სპეციალისტები, სამართალმცოდნეები.

„დაიმლერ ბენცი“ დაინტერესებულია აგრეთვე საქართველოში კოსმოსური კვლევის სფეროში არსებული გამოცდილებითაც. როგორც იოჰან ზემლერმა აღნიშნა, ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში „უდიდესი პოტენციალი და ცოდნაა დაგროვილი“. აქედან გამომდინარე, კონცერნი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად გეგმავს „ტექნიკურ კვირეულს“, რომელიც გამოავლენს საქართველოს დიდ შესაძლებლობებს ტექნიკური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველოს პრეზიდენტმა გაიზიარა „დაიმლერ ბენცის“ წარმომადგენლის მოსაზრებები და აღნიშნა, რომ ამგვარი ღონისძიებები საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ერთგვარი პრეზენტაცია იქნება საერთაშორისო მასშტაბით.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 29 აგვისტო ქ. თბილისი

**მ. ღალანიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის პროფესორი **მამია ღალანიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 29 აგვისტო ქ. თბილისი

**ვ. გოგლიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საგზაო დარგის ფუნქციონირების, მისი სრულყოფის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვლასი გოგლიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1997 წლის 18 აგვისტო ქ. თბილისი

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავის აღნიშვნის შესახებ**

1. მიღებულ იქნეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინადადება 1998 წლის თებერვალ-მაისში თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავის იუბილეს გამართვის შესახებ.

2. უნივერსიტეტის იუბილესადმი მიძღვნილი დასკვნითი საზეიმო სხდომა მოეწყოს 1998 წლის 25 მაისს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

3. 1998 წლის 24-26 მაისს გაიმართოს II საერთაშორისო კონფერენცია – კავკასია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში – დევიზით „მშვიდობიანი კავკასია“.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გაითვალისწინოს სათანადო ასიგნებანი უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

5. დამტკიცდეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავის საიუბილეო კომისიის თანდართული შემადგენლობა.

**ე. შევარდნაძე.**

იხ. მე - 2 გვ.

**აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს**

## არც ავი ძაღლია თივაზე, არც თივა არის თივა

### საქართველოს საინვესტიციო პრესტიჟის თავზე 7,8 მილიონი დოლარის დამოკლეს მახვილი ჰკიდია

ცოტა განვმარტავ ამ სათაურს და აქვე ვიტყვი, რომ საქმე ეხება ხაშურის მინის ტარისთვის შესყიდულ სამ ტექნოლოგიურ ხაზს, რომლებიც თავის დროზე გერმანიის ფირმებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შემოიტანეს საქართველოში, და მათი ვალი დღემდე გასტუმრებული არა გვაქვს. საკითხი 27 აგვისტოს განიხილეს საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

ახლა უფრო დაწვრილებით. ჯერ ექსპოზიცია:

1992 წლის 14 აპრილს, ანუ თითქმის ხუთნახევარი წლის წინათ ფირმა „ასლანი და კომპანია, ექსპორტ-იმპორტი“ და საქართველოს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს შუშის მრეწველობის სამმართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება მინის ტარის მწარმოებელი სამი ავტომატური ხაზის შეძენაზე საკონტრაქტო ღირებულებით 7,2 მილიონი აშშ დოლარი. 1992 წლის 24 იანვარს ხელმოწერილია ამ კონტრაქტის დამატება, რომელიც მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს და გულისხმობს 300 ათას აშშ დოლარის ღირებულების ცეცხლგამძლე აგურების შეძენას. აქედან გამომდინარე, მისაწოდებელი დანადგარების საბოლოო ღირებულებამ (ტრანსპორტირების გარეშე) 7,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. დავაზუსტოთ, რომ ამ ხაზებს, რომელთა წარმადობაც საქართველოს პირობებში 100 მილიონი ბოთლია წელიწადში, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ექსპლუატაციას უწევდა მესამე პირი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საჭირო იყო მათი (ამ ხაზების) დემონტაჟი, განახლება და, რა თქმა უნდა, ჩამოტანა.

იხ. მე - 2 გვ.

**შევეწიოთ**

## სამების ტაძარი – საუკუნის მშენებლობა

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თბილისში, ელიას მთაზე მიმდინარეობს წმიდა სამების სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. სრულიად საქართველო, მშენებლობის ფონდი გულწრფელ მადლობას უხდის მათ, ვინც ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ.

ხოლო მათ, ვისაც სურვილი და საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ საშვილიშვილო საქმეში, გაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს:

**საქართველოს ბანკი**

ეროვნული ვალუტის ანგარიში № 003700076, მფო 521017.

საერთაშორისო ვალუტის ანგარიში № 501070635.

დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში.

ბანკის მისამართი: პუშკინის ქ. № 3.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 99-54-51; 99-06-43; 99-63-03; 99-70-14; 93-31-69; 99-80-26; 99-81-91.

მისამართი: რუსთაველის 29.



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ**

| | |
|---|---|
| ლელა წულეისკირი-ავალიანი | – 20 აშშ დოლარი. |
| ნინო ბესარიონის ასული ავალიანი | – 50 აშშ დოლარი. |
| გ. ავალიანი | – 50 აშშ დოლარი. |
| შპს „ელსავაკო“ | – 500 ლარი. |
| შსს დაზღვევის მთავარი სამმართველო | – 244 ლარი. |
| შპს „ტეხური“ | – 50 ლარი. |
| სამხედრო ნაწილი 21236 | – 41 ლარი. |
| საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი | – 17 ლარი. |

**გამოსათხოვარი**

## გამორჩეული ვარსკვლავი



„სხვანაირია ვარსკვლავთა დიდება, რადგან ვარსკვლავიც განირჩევა ვარსკვლავისგან დიდებით“, – ასე წერია „ახალ აღთქმაში“.

გამორჩეული ვარსკვლავი იყო გურამ ფანჯიკიძე, გამორჩეული მწერალი, გამორჩეული მეგობარი, გამორჩეული მეუღლე, მამა და ბაბუა!

გამორჩეული მოღვაწე გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ „ცუდი საზოგადოებანი ხრწნიან „კეთილ ჩვევებს“, იგი ბოლომდე კეთილი ჩვევების სადარაჯოზე იდგა, ამიტომაც ვერ გაიმარჯვა სიკვდილმა და „სიკვდილი შთაინთქა ძლევით“.

ამ ერთი თვის წინათ, ერთ ქართულ სუფრასთან, გურამ ფანჯიკიძემ თქვა: „ჩემო საყვარელო ძმანო, იყავით მტკიცენი და შეურყეველნი, იყავით ვაჟკაცურნი, ყოველივე თქვენი იყოს სიყვარულში“. ზნეკეთილი და ვაჟკაცი კაცის მიერ ნათქვამი ეს უძველესი სიბრძნე ყველას გულში მოგვხვდა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ყოველივე ერთი თვის თავზე ანდერძად იქცეოდა?

ბევრი ძვირფასი სიტყვა უთქვამს გურამ ფანჯიკიძეს, თავისიც და დიდი წიგნებიდან მონახმობიც. გურამ ფანჯიკიძე ფრიად განათლებული კაცი იყო და სიტყვას სიტყვაში აჯენდა, ხოლო მამულისთვის მზად იყო ტყვია ტყვიაში ჩაეჯინა.

გაიხსენეთ „რეკვიემი“, გაიხსენეთ თორნიკეს სიტყვები, შვილიშვილს რომ ეუბნება: „ომში კაცს არ კლავენ, შვილო! როცა შენი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწას იცავ, როცა შენი წინაპრების ძვლებს იცავ, მაშინ არ ხარ კაცის მკვლელი, კაცს ის კლავს, ვინც სხვისი ქვეყნის დასაპყრობად მიდის, ეს კარგად დაიმახსოვრე, ბაბუა!“

მხოლოდ შვილიშვილებმა კი არა, ჩვენც კარგად უნდა დავიხსომოთ ეს ჭეშმარიტება, ჭეშმარიტი მწერლის მიერ ნათქვამი...

ძმაო გურამ!

უდროოდ წასულო ძმაო!

შენ ორი დღის ჩამოსული იყავი აფხაზეთიდან, დაღლილი, ნაბრძოლი, შემთხვევით გადარჩენილი, ტელეეკრანზე საშინელ ამბებს ჰყვებოდი და საქვეყნოდ იცრემლებოდი, მეც ამეტირა, შენ ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწას ტიროდი, წინაპართა ძვალთშესალაგსა და დაკარგულ მეგობრობას ტიროდი, გული ცეცხლით მევსებოდა...

დღეს ტირის მთელი შეგნებული საქართველო, იქნებ ისიც, ვინც შენს წიგნებს ცეცხლში წვავდა იმ შავბნელ დროში? ალბათ ისიც... დავტირი შენს გარინდულ სიცოცხლეს, თუმცა სიკვდილშიც დამიჯერებ: „თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ“, ტყუილად კი არ უთქვამს ქართველ კაცს: „შენი სულის ჭირიმეო“.

მადლობელი ვარ შენი ძმობისა!

მშვიდობით,

შენი

**ჯანსულ ჩარკვიანი.**

**ინფორმაცია**

### თბილისში ჩამოდის ასლან მასხადოვი

დღეს საქართველოში ჩამოდის ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი. მასთან ერთად ჩამოვლენ ჩეჩნეთის ვიცეპრემიერი ახმედ ზაკაევი, საგარეო საქმეთა მინისტრი ხიზირ ახმადოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ასლან მასხადოვი თბილისში შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. პირისპირ საუბრის შემდეგ გაიმართება პრესკონფერენცია პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებისათვის.

იმავე დღეს სტუმარი ეწვევა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო აკადემიას.

ვიზიტის მეორე დღეს დაგეგმილია ედუარდ შევარდნაძისა და ასლან მასხადოვის შეხვედრა ახმეტის რაიონში კომპაქტურად მცხოვრები ჩეჩენი ეროვნების მოსახლეობის წარმომადგენლებთან.

ჩეჩნეთის დელეგაცია თბილისიდან 31 აგვისტოს გაემგზავრება.

### ლარი სტაბილურია

29 აგვისტოს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ამ თვეში უკანასკნელი ვაჭრობა შედგა.

დაფიქსირდა ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, რომელიც 25 აგვისტოდან არ შეცვლილა და 1 აშშ დოლარი 1,292 ლარს უდრის.

29 აგვისტოს ვაჭრობაში მონაწილეობდა 6 ბანკი. გაიყიდა 215 ათასი აშშ დოლარი. სულ, მთელი კვირის განმავლობაში გაიყიდა 2 მლნ 561 ათასი აშშ დოლარი.

### ვალები, ვალები...

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, რომ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით უკვე მოხერხდა საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის თაობაზე შეთანხმების მიღწევა თითქმის ყველა ქვეყანასთან, გარდა ევროკავშირისა და ჩინეთისა.

### ლტოლვილთა ბავშვებისათვის

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაკმაყოფილდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თხოვნა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს 1997 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ესპანეთში დასვენებისათვის მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად გამოუყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სამოცდათორმეტი ათას ორასი ლარი.

### თურქი მიმომხილველები მაღალ შეფასებას აძლევენ

თურქეთის პრესა აქტიურად გამოეხმაურა 14-15 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და ვლადისლავ არძინბას შორის თბილისში გამართულ მოლაპარაკებას.

მიმომხილველები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შეხვედრას, როგორც იმ პროცესის დაწყების პირველ ნაბიჯს, რომელიც მშვიდობას მოიტანს აფხაზეთის რეგიონში. ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ გაერო და დასავლეთის დიპლომატიური წრეები უარყოფითად აფასებენ აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ავტორთა უმრავლესობა ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასა და აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებას.

ადგილობრივი მიმომხილველები, რომლებიც ეყრდნობიან დასავლეთის საინფორმაციო წყაროებსა და თბილისიდან საკუთარი კორესპონდენტების მიერ გადაცემულ მასალებს, მართალია, თავს იკავებენ პირველი ორმხრივი შეხვედრის კატეგორიული შეფასებისაგან, მაგრამ, ამავე დროს, ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ამ კუთხეში მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით, აღნიშნავენ, აგრეთვე, რუსეთის, როგორც შუამავლის როლს.

**ინფორმაციები მოგვაწოდა: პრეზიდენტის პრესსამსახურმა-საქინფორმმა, „იბერიამ“.**

**უკანასკნელ საათს**

მოსკოვი. რუსეთსა და სომხეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერით დაგვირგვინდა პრეზიდენტების ბორის ელცინისა და ლევონ ტერ-პეტროსიანის გუშინდელი მოლაპარაკება. სახელმწიფოების მეთაურთა პირისპირ შეხვედრამ საათზე მეტხანს გასტანა კრემლის მწვანე სასტუმრო ოთახში, რის შემდეგ ისინი გადავიდნენ ეკატერინეს დარბაზში და მოლაპარაკება გაგრძელდა გაფართოებული შემადგენლობით.

პრემიერ-მინისტრთან ვიქტორ ჩერნომირდინთან შეხვედრის შემდეგ გაიმართა სომეხი სტუმრის პრესკონფერენცია. დასასრულ სტუმარ-მასპინძლებმა მონაწილეობა მიიღეს რუსეთ-სომხეთის მეგობრობის ძეგლის გახსნაში ნიკიტას კარიბჭესთან მდებარე სკვერში.

ბაქო. წუხელ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი და ისრაელის პრემიერ მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ერთმანეთს შეხვდნენ ბაქოს აეროპორტში და გამართეს მოლაპარაკება. იმსჯელეს ახლო და შუა აღმოსავლეთის ვითარებაზე, განიხილეს ამ რეგიონების უსაფრთხოების საკითხები ისრაელის მიმართ ირანის პოზიციის გათვალისწინებით. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის არსებობის მიუხედავად ისრაელში ჯერ არ გახსნილა აზერბაიჯანის საელჩო.

ყაზანი. აქ მიმდინარე თათართა მე-2 მსოფლიო კონგრესზე თანამეგობრობის ქვეყნებისა და მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს 450-მდე დელეგატი განიხილავს თათრული ენისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნება-განვითარების საკითხებს. კონგრესს მიესალმა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელმაც ფორუმს უწოდა „თვალსაჩინო მოვლენა არა მარტო თათარი ხალხის, არამედ, აგრეთვე, მთელი რუსეთის ცხოვრებაში“.

## თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავის საიუბილეო კომისიის შემადგენლობა

ედუარდ შევარდნაძე — საქართველოს პრეზიდენტი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე
ნიკო ლეკიშვილი — საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
როინ მეტრეველი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ასლან აბაშიძე — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ნოდარ ამაღლობელი — საქართველოს პარლამენტის წევრი, აკადემიკოსი
ელგუჯა ამაშუკელი — საქართველოს სახალხო მხატვარი
გიორგი არსენიშვილი — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში
ვალერი ასათიანი — საქართველოს კულტურის მინისტრი
ანდრია აფაქიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
გრიგოლ ბარამიძე — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში
ვახტანგ ბერიძე — აკადემიკოსი
იგორ ბოგომოლოვი — საქართველოს პარლამენტის წევრი, პროფესორი
ირაკლი ბოჭორიძე — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში
კონსტანტინე გაბაშვილი — საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში
თამაზ გამყრელიძე — საქართველოს პარლამენტის წევრი, აკადემიკოსი
ჯემშიდ გიუნაშვილი — საქართველოს ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში
არჩილ გოგელია — საქართველოს ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარე
რისმაგ გორდეზიანი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ალბერტ თავხელიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
ილია მეორე — სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი
კობა იმედაშვილი — სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყოფილების უფროსი
თედო ისაკაძე — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში
თამაზ კვაჭანტირაძე — საქართველოს განათლების მინისტრი
ვაჟა ლორთქიფანიძე — საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში
მარიამ ლორთქიფანიძე — აკადემიკოსი
პეტრე მამრაძე — საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი
პარმენ მარგველაშვილი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი
ლორიკ მარშანია — საქართველოს პარლამენტის წევრი, პროფესორი
გიორგი მელიქიშვილი — აკადემიკოსი
ირაკლი მენაღარიშვილი — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
რომან მიმინოშვილი — საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი
თამაზ ნადარეიშვილი — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ოლეგ ნიკოლეიშვილი — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში
ვაჟა ოკუჯავა — აკადემიკოსი
ვლადიმერ პაპავა — საქართველოს ეკონომიკის მინისტრი
ზურაბ ჟვანია — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ლევან ქიქიაშვილი — აკადემიკოსი
ზურაბ ფანჯიკიძე — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე
თეიმურაზ შაშიაშვილი — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში
გაგა შენგელია — საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
ბადრი შოშიტაიშვილი — თბილისის მერი
გოჩა ჩოგოვაძე — საქართველოს ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში
ვაჟა ცაბუტაშვილი — სიღნაღის რაიონის გამგებელი
თამაზ წივწივაძე — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი
გიორგი ჭანტურია — საქართველოს ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში
მიხეილ ჭკუასელი — საქართველოს ფინანსთა მინისტრი
გიორგი ჭოღოშვილი — აკადემიკოსი
ევგენი ხარაძე — აკადემიკოსი
ბადრი ხატიძე — საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი
ანზორ ხელაშვილი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი
თეიმურაზ ხუროძე — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი
ალექსანდრე ჯავახიშვილი — საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ოთარ ჯაფარიძე — აკადემიკოსი
ოთარ ჯიოევი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ბონდო ჯიქია — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში
სერგო ჯორბენაძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მკითხველთან

## რედაქციის პირველი შეხვედრა — ქარელში

ქარელის ადმინისტრაციულ შენობაში რაიონის ხელმძღვანელობას, ცალკეული სამსახურების უფროსებს, გაზეთის მკითხველებს შეხვდნენ სარედაქციო კოლეგიის წევრები, მანამდე კი მოინახულეს ურბნისის ეკლესია, რომელსაც ნათლად ატყვია მგრნეელი ხელი.

რაიონის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ისაუბრა გამგეობის თავმჯდომარემ თემურ სანდოძემ. გაიმართა მსჯელობა ცალკეული პრობლემური საკითხების ირგვლივ. აღინიშნა, რომ რაიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს არც ერთი სახლი არ დამწვარა. მიტოვებულ ფუძეს უბრუნდებიან ოსები, ვინც იძულებით აიყარა სახლ-კარიდან. რაიონის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს კონფლიქტის მოგვარების ამ შეუქცევად პროცესს. ფიქრობენ, რომ ეს სასიკეთო ძვრები შეეხიდება ქართველებისა და ოსების კიდევ უფრო დაახლოებას და მოხსნის ცხინვალის გზაზე შექმნილ ხელოვნურ ბარიერებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს უახლოეს მეზობელთან — რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს და აძნელებს მოწეული პროდუქციის დროულ და უსაფრთხო გატანას სამომხმარებლო ბაზარზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლებას. გამგეობის ინიციატივით თითოეულ პირველკლასელს უფასოდ მისცეს სასკოლო ფორმა, სახელმძღვანელოები და საწერ-კალამი.

რაიონში შექმნილია სპეციალური ფონდი უმწეო ოჯახების დასახმარებლად.

გამგებელმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ეს იყო სარედაქციო კოლეგიის პირველი გასვლითი სხდომა — პირველი შეხვედრა ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და მკითხველებთან.

შეხვედრებს, რომლებიც მომავალში ტრადიციული გახდება, საფუძველი ქარელში ჩაეყარა. ისევე, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინათ კვლავ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის ინიციატივას — ადგილობრივი ტელევიზიით პირდაპირ ეთერში მაყურებელთა შეკითხვებს უპასუხებდნენ რაიონის გამგებელი თემურ სანდოძე და მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ თხელიძე.

ქარელში სასიკეთო ძვრებია, რომელთაც მნიშვნელოვნად განაპირობებს რაიონის ხელმძღვანელობის ერთსულოვნება, დეპუტატის თანადგომა პრობლემათა დაძლევის საქმეში.

დასასრულ — ერთი საყურადღებო გარემოება. საყოველთაოდ ფეხმოკიდებული აზრის მიუხედავად, ხელმძღვანელობა სულაც არ შედგება მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლებისგან, რაც მათ არ უშლით ხელს რაიონისთვის სასიკეთოდ მოღვაწეობაში.

ქარელელები დღესაც გულთბილად იხსენებენ ყოფილ ცკ პირველი მდივნის, შემდგომ ბებნისის სანერგე მეურნეობის დირექტორის აკაკი მგელაძის მოღვაწეობას, რომელმაც კეთილი კვალი დატოვა რაიონში.

ქვეყანა წელში იმართება, ერთიანდება და ქარელიც მალე მტკიცედ დადგება ფეხზე. მხარე, სადაც რუის-ურბნისის გამაერთიანებელი კრებაჾ გაიმართა, დღესაც გამოდის ინიციატივით — მზად არიან მე-20 საუკუნის მიწურულს კვლავაც რუის-ურბნისმა უმასპინძლოს საქართველოს გამაერთიანებელ კრებას, კვლავაც შიდა ქართლიდან — საქართველოს გულიდან დაიწყოს დიდი შერიგება, რამაც 21-ე საუკუნის საქართველოს ბედნიერ ცხოვრებას უნდა ჩაუყაროს საფუძველი და ქვეყანაში ერისა და ბერის ერთობა განამტკიცოს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სარედაქციო კოლეგიის შეხვედრები ქვეყნის მხარეების პრობლემატიკის შესწავლის მიზნით კვლავაც გაგრძელდება.

საკ. კორ.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# არც ავი ძაღლია თივაზე, არც თივა არის თივა

**საქართველოს საინვესტიციო პრესტიჟის თავზე 7,8 მილიონი დოლარის დამოკლეს მახვილი ჰკიდია**

მანქანა-დანადგარების დაკომპლექტებასა და საქართველოში მოწოდებაში ჩართული იყო გერმანიისა და ბელგიის 8 ფირმა.

ხელშეკრულების მიხედვით მყიდველს გამყიდველისათვის ერთი მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე (არაუგვიანეს 1992 წლის 5 მაისისა), 3,1 მილიონი აშშ დოლარი გადაირიცხებოდა იმავე წლის 1 აგვისტოს, ხოლო დარჩენილი 3,1 მილიონი — მოწყობილობების დემონტაჟის დაწყების წინ, ანუ 1992 წლის 15 სექტემბრამდე. დემონტაჟის დამთავრება 1992 წლის 30 სექტემბრისათვის იყო ნავარაუდევი.

გერმანელებმა, ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს (აქ არის ერთი ნიუანსი, მაგრამ ამაზე — ქვემოთ), განახორციელეს მანქანა-დანადგარების დემონტაჟი, განაახლეს (ამ პროცესს ქართველი სპეციალისტებიც ესწრებოდნენ) და მათი ძირითადი ნაწილი 1993 წლის გაზაფხულზე ჩამოიტანეს საქართველოში.

გავიდა დრო, ოთხ წელიწადზე მეტი, და ხაშურის მინის ტარის ქარხნის ეზოში ხელუხლებლად და უპატრონოდ აწყვია: 27 ოცტონიანი დალუქული საზღვაო კონტეინერი, 4 ხის ყუთი და სხვა. ცოტა ქვემოთ იმასაც აგიხსნით, რატომ ვთქვი აქ „უპატრონოდ აწყვია", ახლა კი ის ვთქვათ, რომ ამ დანადგარების შემოტანა მოხდა საბაჟო გადასახადის გარეშე საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას 1993 წლის 19 მარტის № 205 განკარგულების თანახმად, როგორც გამონაკლისი, სამინისტროს წერილის საფუძველზე.

ხელშეკრულების მიხედვით ტრანსპორტირების ხარჯები ქართულ მხარეს უნდა გაეღო, მაგრამ ვერ გამონახა ამის შესაძლებლობა და 1992 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა ძირითადი ხელშეკრულების მეორე დანართს, რომლის მიხედვითაც გამყიდველი კისრულობდა ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯებს — 480 ათას გერმანულ მარკას (დაახლოებით 300 ათასი აშშ დოლარი). დანართის თანახმად ეს თანხა ქართულ მხარეს უმოკლეს (!) ვადაში უნდა აენაზღაურებინა.

ასე ნელ-ნელა, საქართველოს მხარის მიერ გადასახდელმა თანხამ 7,8 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. ნელ-ნელაც ვიხდიდით. დღეისთვის გადაუხდელი დარჩა 2,3 მილიონი აშშ დოლარი. ეს თანხა კი აღარა გვაქვს.

არ ვიხდით, არც გვიგზავნიან ბოთლების დამყალიბებელ მოწყობილობას (ვაკუუმტუმბოს, ცეცხლგამძლე აგურებს და ა. შ.), რომელთა გარეშეც ეს ხაზი ვერ ამუშავდება.

დაკვირვებულ მკითხველს აქ კითხვა დაებადება: — თუ ჩამოსატანია ნაწილი ტვირთისა, თანაც ისეთის, ურომლისოდაც ჩამოტანილი საქონელი ჯართია და არა მოქმედი მექანიზმი, მაშასადამე, გერმანელებს თავიანთი პირობა ბოლომდე არ შეუსრულებიათ? სწორია, — არ შეუსრულებიათ. მაგრამ გერმანული მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სანქციები არ არის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული. ეს მომენტი, აგრეთვე ის, რომ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკისგან განსხვავებით ამ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია ჩვენი მხარის მიერ გადასახდელი ჯარიმის ოდენობა, სპეციალისტების აზრით, ამ გარიგებას ჩვენთვის კაბალურს ხდის.

მთავრობის სხდომაზე აღინიშნა ეს.

მივყვეთ ხელშეკრულებას, რომლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით დანადგარები მყიდველის საკუთრებაში გადადის მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის, ანუ 7,8 მლნ აშშ დოლარის მთლიანად გადახდის შემდეგ. აქედან გამომდინარე, საქართველოში ჩამოტანილი მოწყობილობა ჯერჯერობით კვლავ გერმანელთა საკუთრებაა.

ეს სიტუაცია მთავრობისთვის ცნობილია, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტის გზა აქამდე ვერ მოინახა. ეს ფრიად აწუხებს გამყიდველს, რომელმაც გასული წლების განმავლობაში რამდენჯერმე მიმართა საქართველოს მთავრობას, დადებითად გადაეწყვიტა დარჩენილი თანხის (2,3 მილიონი აშშ დოლარი) გადახდის საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, — გვწერდნენ გერმანელები, — იძულებული იქნებოდნენ მიემართათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მაინცის სასამართლოსთვის. სასამართლო დაადგენდა, რომ სხვისი საქონელი (დანადგარები) პატრონისთვის ჩაგვეტანა, ტრანსპორტირების ხარჯები ჩვენ დაგვეკისრებოდა, საქართველოს მთავრობას ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო დაედებოდა ჯარიმა 800 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. ამ თანხას დაემატებოდა ვადაგადაცილების ხარჯები გადაუხდელ 2,3 მილიონ აშშ დოლარზე, პლუს სასამართლოს, ადვოკატის და სხვა ხარჯები.

ასეთი პერსპექტივა საქართველოსთვის, უეჭველად, წამგებიანია. და არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ, იმითაც, რომ შეილახება საქართველოს, როგორც საინვესტიციო კლიმატის მქონე ქვეყნის იმიჯი თუნდაც ერთი სახელმწიფოს თვალში. ეს ქვეყანა კი გერმანიაა, რომლის მთავრობისგან სერიოზულ დახმარებას სისტემატურად ვღებულობთ და რომლის კერძო ბიზნესის დაინტერესებაც ჩვენი ქვეყნით დღითი დღე იზრდება.

ახლა დავსვათ ასეთი კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია ხაშურის მინის ტარის ქარხანაში ამ დანადგარების დამონტაჟება?

აღნიშნული პროექტი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს დავალებით 1995 წელს კომპლექსურად შეისწავლეს გერმანიის აღმშენებლობის საკრედიტო ორგანიზაციის ექსპერტებმა, ამ მიზნით ისინი იმყოფებოდნენ საქართველოში, ბელგიისა და გერმანიის შესაბამის ფირმებში და ადგილზე ნახეს ყველაფერი. ექსპერტიზის მასალებიდან და ქართველ სპეციალისტებთან გამართული კონსულტაციებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დამონტაჟება შესაძლებელია გარკვეული ხარჯების გაღებით, და ეს მომგებიანი იქნება.

ასე ფიქრობენ სპეციალისტები, ხელისუფლებაც პრობლემის მოსაგვარებლად არის მომართული, მაგრამ...

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საკითხის გადასაწყვეტად არსებობს პრეზიდენტის არაერთი რეზოლუცია და დავალება, გამართულია მრავალი თათბირი სახელმწიფო მინისტრთან, გადაუხდელ 2,3 მლნ აშშ დოლარზე დღემდე ვერ ხერხდება ვერც სახელმწიფო გარანტიის გაცემა და, რასაკვირველია, ვერც ამ თანხის სახელმწიფოს მიერ გადახდა.

საკითხი ფაქტობრივად ჩიხში მოექცა.

ახლახან მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა: საქართველოს მხარეს მოსთხოვეს ორი კვირის განმავლობაში გადაიხადოს: მოწყობილობების ღირებულების დავალიანება — 2 მლნ. აშშ დოლარი; ტრანსპორტირების ხარჯები — 480 ათასი გერმანული მარკა; ვადაგადაცილების პროცენტები დღეისათვის — მინიმუმ 400 ათასი აშშ დოლარი და 96 ათასი გერმანული მარკა; ადვოკატის ხარჯები (დღემდე) — 18.244,85 გერმანული მარკა.

თუ საქმე სასამართლომდე მივიდა, საქართველო დაჯარიმდება 800 ათასი დოლარით, დაეკისრება ვადის გადაცილებისათვის პროცენტების, სასამართლოსა და სხვა ხარჯების გადახდა.

სადაა გამოსავალი?

ჩვენი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მიზანშეწონილი იქნება გამოცხადდეს კონკურსი საქართველოს მთავრობის ამ ვალების დაფარვის მიზნით. ის კერძო სტრუქტურა, რომელიც გაიმარჯვებს ამ კონკურსში, ანუ მზად იქნება გადაიხადოს სულ ცოტა 2,3 მლნ აშშ დოლარი, გახდება მფლობელი 1992 წლის 14 აპრილს ხელმოწერილი კონტრაქტით გათვალისწინებული მინის ტარის მწარმოებელი ხაზებისა. აღნიშნული თანხის გადამეტებით შემოსული სახსრები (თუ ასეთი იქნება) ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ამ მიზნით, ალბათ, უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს საკონკურსო პირობებს და ჩაატარებს კონკურსს.

ფიქრობენ, რომ ამ გზით დავიცავთ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მთავრობის რეპუტაციას და შევინარჩუნებთ მინის ტარის მწარმოებელ ხაზებს, რომელთა ამოქმედების შედეგად, წინასწარი გათვლით, მხოლოდ დღგ სახით შემოვა დაახლოებით 2 მლნ აშშ დოლარი.

გამყიდველი, პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში, მზად არის ხელი მოაწეროს დამატებით ვალდებულებებს განსაზღვრული ვადების დაცვით ხაზების ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ შემონტაჟის გათვალისწინებით.

სტერილური მსჯელობა ასეთია, ვარაუდი იდეალური დაშვებისათვის.

ახლა ზოგიერთი პრაქტიკული მომენტი. კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს აინტერესებს, თუ ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც ამ წინადადებათა რეალიზაციის შემდეგ მაინც დარჩება.

მაგრამ დღეს ლაპარაკია უფრო დიდი ზარალის თავიდან აცილებაზე, პერსპექტიულ ზარალზე.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ ხაზების მყიდველი არავინ აღმოჩნდეს

მაშინ რა? ისევ ჩიხის სიტუაცია.

ასეთი ნიუანსიც არის: ზემოთ დასახელებული ხაზები თავის დროზე ხაშურის მინის ტარის ქარხნისთვის რომ შეიძინეს, მაშინ ეს საწარმო სახელმწიფოსი იყო. ახლა პრივატიზებულია კანონიერების სრული დაცვით. ვისთვის იქნება განკუთვნილი ეს ხაზები? სახელმწიფო ასე საჩუქრად ხომ არ განასხვისებს?

გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა ჯერ კიდევ შარშან, ივლისში, მოახსენა მთავრობის სხდომას შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მთავრობის ამ სხდომაზე განაცხადა, რომ შესწავლა გრძელდება და მალე გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

მთავრობის 27 აგვისტოს სხდომის გადაწყვეტილებით შეიქმნა დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლების ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საკითხზე, თუ როგორ შეიძლება გადააბარონ ეს ხაზები რომელიმე კერძო სტრუქტურას.

მომზადდება ბრძანებულების პროექტი

ჯერ კი ჩიხში ვართ.

მაგრამ არ არსებობს სიტუაცია, რომლიდანაც არ იყოს გამოსავალი.

ამ გამოსავალს ეძებენ.

• არმაზ სანებლიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.



### ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი" ქვემო ქართლში

საქართველოს საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" ერთი ჯგუფი არდადეგებზე ქართლის რეგიონის გაცნობით იყო დაკავებული. პარლამენტარებმა ადგილზე შეისწავლეს რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და სხვა რაიონების პრობლემები. შემაჯამებელ სხდომაზე, რომელიც რუსთავში გაიმართა მრავალი საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა. კერძოდ, აღინიშნა, რომ მაღალმთიან რაიონებში მოსახლეობა ვერ იღებს რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებს და ამას ძალზედ მტკივნეულად განიცდიან, აღინიშნა, აგრეთვე, რომ ინფორმაციულ ვაკუუმს საგრძნობი ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის: გარდა ამისა, მოსაგვარებელია პენსიების დროული გაცემა: რუსთავისათვის სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მიწოდება.

მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა თითქმის ყველა პრობლემის მოგვარება იტვირთა, თანაც უახლოეს ორ თვეში.

შემაჯამებელი სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ლევან მამალაძე.

### სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ

დღეს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის მიერ გამართული სხდომა მიეძღვნა სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ კანონპროექტის განხილვას, რომელიც საშემოდგომო სესიაზე უნდა წარადგინონ.

კოდექსი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია, მოსახლეობის ინტერესებს ეხება და ამიტომ ნებისმიერი ხარვეზი გასასწორებელია. კოდექსის ავტორთა თქმით, საჭირო იყო მაქსიმალურად ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება და ამ სუბიექტური ფაქტორების გამორიცხვა, რაც ხელს შეუშლის სამართლებრივ ქმედებებს. კოდექსის უმთავრესი მიზანია, არ დავუშვათ ზნეობრივად სამართლიანი ქმედების დანაშაულად გამოცხადება. პროექტზე პროფესიონალები მუშაობდნენ და მან არაერთი ექსპერტიზა გაიარა, მასში შესაძლოა შეცდომებიც იყოს, ამიტომ პარლამენტის პლენარული სხდომების დაწყებამდე საჭიროა კოდექსის საჯარო განხილვა. (კოდექსის პროექტი „საქართველოს რესპუბლიკაში" 21 აგვისტოს გამოქვეყნდა).

### „კანონიერი ქურდი" ათონის მონასტერში სწირავს

„იბერიის" კორესპონდენტის ცნობით, აფხაზეთის ამჟამინდელი ხელისუფლება ცდილობს ახალი ათონის მონასტერი დაუქვემდებაროს ძველი ათონის მონასტერს. ამ მიმართულებით იღვწის, აგრეთვე, აფხაზეთის ეპისკოპოსი, მამა ბესარიონი, რომელიც ყოფილი „კანონიერი ქურდია". ამჟამად ახალი ათონის მონასტერში ღვთის მსახურება რუსულ და აფხაზურ ენებზე მიმდინარეობს. მსახურების აფხაზურ ენაზე ჩასატარებლად რამდენიმე აფხაზმა მეცნიერმა აფხაზურ ენაზე ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) არასრული თარგმანი გააკეთა.

### დალის ხეობაში ყველაფრისთვის მზად არიან

დალის ხეობის სახალხო ლაშქრის ერთ-ერთმა ლიდერმა ოთარ გუჯეჯიანმა „იბერიის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამჟამად კოდორის ხეობაში დაძაბული ვითარება შექმნილი, ვინაიდან აფხაზური მხარე თანდათანობით ახდენს თავისი ძალების კონცენტრირებას სოფელ ლათას მიმდებარე ტერიტორიაზე; ამ რეგიონში სომეხი ბოევიკების გააქტიურებაც შეიმჩნევა, თუმცა მათი მხრიდან პირდაპირ პროვოკაციას ჯერჯერობით არ ჰქონია ადგილი. გუჯეჯიანის თქმით, ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ყველაფრისთვის მზად არის.

ინფორმაციები მოგვაწოდა: „მოამბე-ექსპრესმა", „იბერიამ", „ბეამ".

ენერგეტიკა

# მრეწველობა - ეკონომიკის ხერხემალი

ქვეყნის ძლიერებას რომ მრეწველობის აღმავლობა განაპირობებს, ამაზე დღეს, ორი აზრი არ არსებობს და არც არავინ დავობს. სამწუხაროდ, თავისუფლებამოპოვებულებმა, ეს ჭეშმარიტება ჩვენ გვიან, ჩვენივე დაუდევრობით, მისი შეგნებულად განადგურების შემდეგ ვირწმუნეთ. ამ მხრივ, ხელისუფლების მიერ ბოლო დროს განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად მდგომარეობა მართალია სასიკეთოდ იცვლება, მაგრამ დარგის ქმედითუნარიანობის დონე, გარკვეული ძვრების მიუხედავად, მაინც არადამაკმაყოფილებელია და კვლავ ჩვენი ეკონომიკის აქილევსის ქუსლს წარმოადგენს. არადა, საკითხი ასე დგას: მრეწველობა უნდა ვაქციოთ ეკონომიკის ხერხემლად!

ერთ დროს ბიუჯეტის შევსების ეს ძირითადი მააკუმულირებელი წყარო უკანასკნელ წლებში თვალსა და ხელს შუა დაიშრიტა.

დარგის საწარმოთა საქმიანობის ნათელ სურათს იძლევა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემები. მათზე დაყრდნობითაც იგრძნობა ბოლო პერიოდში მდგომარეობის გაუმჯობესება — მომუშავე საწარმოთა რაოდენობამ 250-ს გადააჭარბა. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ მათი უმრავლესობა კვლავ არარიტმულად, მცირე დატვირთვით მუშაობს. მიზეზები ტექნიკურ, ორგანიზაციულ სირთულეებში, აგრეთვე ძირითადად, დაუფინანსებლობაში უნდა ვეძებოთ. ისიც სათქმელია, რომ გასაღების ბაზარი ჯერ კიდევ მოსაძებნი აქვთ. ივნისის მდგომარეობით, საწარმოებს საწყობებში 34 მილიონი ლარის გაუსაღებელი პროდუქცია ერიცხებოდათ. აქედან 32 მილიონი მარტო მანქანათმშენებლების ნახელავი იყო.

ენერგეტიკოსთა თანადგომაზე (თუმც, მათდა საზიანოდ) მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათი მიზეზით არც ერთი სამრეწველო საწარმო არ მომცდარა ხანგრძლივი დროით, ეს იმ დროს, როცა უმრავლესობა სისტემატურად, თვეების, ზოგჯერ კი წლების მანძილზეც არ იხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს.

მარტო მიმდინარე წლის ექვს თვეში ქვეყნის მრეწველობამ 512,1 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მოიხმარა. მისი ღირებულებიდან – 21,835 მილიონი ლარი, ამოღებულია 19,167 მილიონი (87,7 პროცენტი). აქედან 414,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, თანხით 17,6 მილიონი ლარი, მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებზე მოდის (მრეწველობაში მოხმარებულის 80,9 პროცენტი), საიდანაც 15,4 მილიონი ლარი (87,5 პროცენტი) უკვე გადახდილია.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროების, აგრეთვე კერძო სამრეწველო საწარმოთა მიერ მოხმარებულია 97,6 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მათზე დარიცხული 4,24 მილიონი ლარიდან კი ამოღებულია მხოლოდ 3,8 მილიონი (88,9 პროცენტი).

განვლილ ექვს თვეში მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოების ვალმა 2,2 მილიონი, ხოლო გასული წლების ჩათვლით მთლიანმა დავალიანებამ (1 ივლისის მდგომარეობით) 30 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან მანქანათმშენებლებს – 259,5 ათასი ლარი, სამთო ქიმიურ-ფარმაცევტულს–16,12 მილიონი ლარი, სამთო-მეტალურგიულს – 12,4 მილიონი ლარი, ხისა და ქაღალდის დამმუშავებელს – 78,7 ათასი ლარი, მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტს – 950,0 ათასი ლარი, მრავალდარგოვან საწარმოთა კომპლექსს 192,0 ათასი ლარი ვალი აქვთ.

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 1997 წლის ექვს თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში პროდუქციის წარმოების მოცულობა 5,94 მილიონი ლარით, ანუ 109,8 პროცენტით გაიზარდა. სამაგიეროდ, კლება შეინიშნება მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტის საწარმოებში და ხის დამმუშავებელ მრეწველობაში შესაბამისად – 1,01 მილიონი (20 პროცენტით) და 103,7 ათასი (8,8 პროცენტით) ლარით. ამავე პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა 80 მილიონი კილოვატსაათით, ხოლო დებიტორული დავალიანება 2,2 მილიონი ლარით გაიზარდა. თუმცა, უმადურობა იქნება აქვე არ აღვნიშნოთ ის დადებითი ტენდენცია, რომელიც ბოლო პერიოდში მისი ღირებულების ამოღების თვალსაზრისით შეიმჩნევა.

როგორც ზემოთ ვთქვით, სამინისტროს სისტემაში დღეს 250-ზე მეტ საწარმოს აქვს მუშაობის შესაძლებლობა, მაგრამ გასული შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ელექტროენერგია განაცხადის შესაბამისად მხოლოდ 146 საწარმოს მიეწოდებოდა. მათ შორის იყო სამთო-ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის 18, მანქანათმშენებლობის 68, ხისა და ქაღალდის დამმუშავებელი 25, სამთო-მეტალურგიული 4, მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტის 29 და მრავალდარგოვან საწარმოთა კომპლექსის 2 საწარმო. მოხმარებული ელექტროენერგიის საერთო სიმძლავრემ კი მეტალურგიული კომპლექსის ჩათვლით 150 მეგავატს მიაღწია. თუმცა, როგორც ენერგეტიკოსების მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, მის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ისინი არადანიშნულებისამებრ (საცხოვრებლისთვის, ბენზინგასამართი სადგურებისთვის, გათბობისთვის და სხვა) იყენებდნენ.

შედარებით სტაბილურად 70-მდე საწარმო მუშაობდა, ისიც არასრული დატვირთვით. ცალკეული დარგების მიხედვით სიმძლავრეების გამოყენების საერთო სურათი კი შემდეგნაირად გამოიყურება: სამთო ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობა – 35-40 პროცენტი, მანქანათმშენებლობა – 7-8, სამთო-მეტალურგიული – 22-25, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი – 10-12, მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტი – 10-15 და მრავალდარგოვან საწარმოთა კომპლექსი – 5-10 პროცენტი.

ამჟამად, მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები დარგის სტრუქტურული რეორგანიზაციისათვის. მის წარმატებით განხორციელებაზე კი ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დარგი აღიდგენს დაკარგულ რეპუტაციას და თავის გადამწყვეტ სიტყვასაც იტყვის.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია დარგების მიხედვით ასე გამოიყურება:

| დარგის დასახელება | 1997 წ. 6 თვე (ათასი ლარი) | 1996 წ. 6 თვე (ათასი ლარი) | %-ებში 1996 წ. შესაბამის პერიოდთან შედარებით |
|---|---|---|---|
| 1. სამთო ქიმიური მრეწველობა | 519,7 | 493,9 | 105,2 |
| 2. ქიმიური მრეწველობა | 20763,2 | 13800,0 | 149,8 |
| 3. ფარმაცევტული მრეწველობა | 992,0 | 727,0 | 136, 4 |
| 4. სამთო-მეტალურგიული მრეწვ. | 26400,0 | 22449,0 | 117,6 |
| 5. მანქანათმშენებლობის კომპლ. | 18000,3 | 16271,3 | 110,6 |
| 6. ხის დამმუშავებელი მრეწვ. | 1068,8 | 1172,5 | 91,2 |
| 7. მრავალდარგოვანი საწ. კომპ. | 416,0 | 236,3 | 176,0 |
| 8. მსუბუქი მრეწველობა | 4043,6 | 5056,9 | 80,0 |
| სულ სამინისტროში | 72203,6 | 66265,0 | 109,8 |

ღვაწლი

# მამულიშვილი

## ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადების 80 წლისთავი

ხვალ დაბადებიდან 80 წელი უსრულდება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, პროფესორ **ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილს.** იგი 1917 წლის 31 აგვისტოს ქართლში, სოფელ ხოვლეში დაიბადა. ალექსანდრე (ლალი) აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა და ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის უმცროსი ვაჟია. სწორედ ოჯახიდან გამოჰყვა მას სიყვარული თავისი ერის უძველესი წარსულისადმი. დაწყებითი განათლება მან ოჯახში მიიღო და მისი პირველი დამრიგებელი პაპის და მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი იყო, დიდად განათლებული ქალი, მეფე ერეკლე II-ის სისხლხორცეული შთამომავალი. უკვე საკმაოდ მოწიფული, სახლიდან გამოყოლილი საკმაო ცოდნით, მეექვსე კლასიდან ლალი სწავლას განაგრძობს საშუალო სკოლაში. 1935-1939 წწ. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტია, 1940-43 წლებში კი აქვე გაიარა საასპირანტო კურსი ხელოვნების ისტორიის განხრით აკადემიკოს შალვა ამირანაშვილთან.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლისას ალექსანდრე ჯავახიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად და წელიწადზე მეტს ამ დიდებული ძეგლის შესწავლას ანდომებს. 1943 წლიდან იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელია, 1948-1952 წწ. კი სწავლული მდივანი, 1952 წლიდან მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგეა. 1973-1989 წწ. იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში. 1989 წლიდან დღემდე კი დირექციის მრჩეველია.

მუზეუმში მუშაობის თითქმის მთელ მანძილზე ბატონი ლალი, დღემდე უცვლელად უდგას სათავეში მთავარ საცავს — სეიფს, სადაც თავმოყრილია არქეოლოგიური გათხრებით თუ შემთხვევით მოპოვებული ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ნივთები. საბედნიეროდ, ქართველი ხალხის უძვირფასესი საუნჯის დაცვა ყოველთვის საიმედო პირთა ხელთ იყო და ნათელი სახელების — ექვთიმე თაყაიშვილისა და იროდიონ სონღულაშვილის გვერდით, ამ საქმეს ალექსანდრე ჯავახიშვილი უდგას. სეიფში მის მიერ მოწყობილმა ახალმა გამოფენამ მრავალი მნახველი აღიტაცა.

ცნობილია, თუ რა დიდი დრო და ენერგია მიაქვს სამუზეუმო საქმეს, თანაც ისეთი პიროვნებისათვის, როგორიც ბატონი ლალია, მაგრამ იგი შესანიშნავად უთავსებს მუზეუმის საქმიანობას წმინდა მეცნიერულ მუშაობას. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ხასიათდება არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით, ღრმა ერუდიციით და მეცნიერული ალღოთი, განზოგადების დიდი უნარით, კვლევის უაღრესი დონით.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა იგი თავის საყვარელ საქმეს და დიდი ამაგიც დასდო მას. მაგრამ, ალექსანდრე ჯავახიშვილს გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, რომ არა ერთი მისი უკურნებელი სენი, რომელიც სამწუხაროდ, ცხოვრების თითქმის მთელ მანძილზე თან სდევს — საკუთარი საქმის მორს გადადება და სხვისთვის ხელის გამართვა, დახმარება.

სიკეთის თესვა თავისთავად კარგი თვისებაა ადამიანის, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა ცხოვრებაში. სხვის სამსახურს საკუთარი საქმის ხარჯზე ზოგჯერ სიკეთის ნაცვლად უფრო მეტი ზიანი მოაქვს.

მუზეუმში მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ალექსანდრე ჯავახიშვილის გამოფენების მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობით 60-იანი წლების დასაწყისში მეიქმნა ახალი არქეოლოგიური გამოფენა. მის გახსნამდე რამდენიმე ხნით ადრე თბილისს ეწვია უცხოელ მეცნიერთა დიდი ჯგუფი, რომლებიც მოსკოვში გამართულ აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ. ისინი აღტაცებულნი იყვნენ შესანიშნავი ექსპოზიციით, ერთხმად აღნიშნავდნენ გამოფენის მაღალ დონეს, რომელიც სრულიად ახლებური იყო. მთელი საექსპოზიციო მასალა დახშულ სივრცეში, კარადების შიდა განათებით იყო წარმოდგენილი. ვინ იცის, რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა მეცნიერს, ვიდრე გამოფენის მოწყობის ამ თავისებურ ხერხს გაიტანდა. მაშინ წარმოუდგენელი იყო ჩაბნელებულ ოთახში, გარე გაუნათებლად გამოფენის მოწყობა. დღეს კი აღარავის უკვირს საგამოფენო დარბაზების ასე მოწყობა. ამავე ხანებში გამოფენა ინახულა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის იმდროინდელმა პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა კელდიშმა, რომელმაც თავისი შთაბეჭდილება იმით გამოხატა, რომ აღნიშნა — სახელმწიფო პრემიაზე მარტო სამეცნიერო ნაშრომების წარდგენა არ არის აუცილებელიო. მაგრამ პრეზიდენტის ამ სიტყვებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. დიდად მოიწონა გამოფენა აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა და მის ავტორს წინადადება მისცა — სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილიყო. ჩაბნელებულ დარბაზში, განათებულ კარადებში, ფერად ფონზე გამოფენილი ნივთები დიდებულ შთაბეჭდილებას ქმნიდა. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ალექსანდრე ჯავახიშვილის და ცნობილი მხატვრის ავთანდილ ვარაზის ერთობლივი მუშაობა. ისინი არჩევდნენ ფერებს, ალაგებდნენ საექსპოზიციო მასალებს კარადებში. ალექსანდრე ჯავახიშვილი ხომ თვითონაც ბუნებით მხატვარია. სკოლის დამთავრების შემდეგ აპირებდა კიდეც სამხატვრო აკადემიაში სწავლის გაგრძელებას. ამ მიზნით ჩავიდა ლენინგრადში, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო უკანვე დაბრუნდა. განუხორციელებელ ოცნებას იგი ახლაც ხშირად ბუნებაში გასვლით იკმაყოფილებს, სადაც მშვენიერ ჩანახატებს, პეიზაჟებს ხატავს აკვარელითა თუ ზეთის საღებავებით.

რაკი გამოფენაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის მოწყობიდან. დღეს იგი უკვე მოძველდა, გადახალისებას და შევსებას მოითხოვს. ამ ხნის მანძილზე საქართველოში უამრავი ძეგლი გაითხარა, დიდძალმა უნიკალურმა მასალამ მოიყარა თავი, რომლებიც დაამშვენებენ გამოფენას და უფრო ნათელს გახდიან ჩვენს უძველეს კულტურას. დღეს, როდესაც საქართველო, მრავალი საუკუნის მანძილზე ჩრდილში ყოფნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე, სწორედ ახლა, ალბათ, როგორც არასდროს, საჭიროა ჩვენი უძველესი წარსულის ღირსეულად წარმოჩენა. მსოფლიოს უძველესი კულტურის მატარებელი არც თუ ისე ბევრი ხალხები შემორჩა ქართველთა ბადალი, რომლებმაც დღემდე შემოინახა თავი. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გადაუდებელი ვალია ნათლად, მართებულად წარმოაჩინოს ჩვენი უძველესი წარსული. სწორედ აქ უნდა მოიყაროს თავი იმ უმდიდრესმა და უძვირფასესმა მასალებმა, რომლებიც უტყუარი მოწმენი არიან ჩვენი ძველი, მაღალი კულტურისა. აქ უნდა აისახოს, რომ ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო, ის ტერიტორიაა მთელ ევრაზიაში, სადაც პირველად უძველესმა ადამიანმა შემოაბიჯა ფეხი და რომ, აქედან მოკიდებული, აქ ბინადარი მოსახლეობა უდიდეს როლს თამაშობდა ძველ სამყაროში. ამიტომ, ყველას ვალია სახელმწიფოსი თუ კერძო პიროვნების, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ამ საშვილიშვილო საქმეს.

ბატონი ლალის სანუკვარი ოცნებაა, რომ სანამ ჯერ კიდევ ძალა ერჩის, მონაწილეობა მიიღოს ამ დიდი სამუშაოს განხორციელებაში. მას უთუოდ საგამოფენო მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და დღეს ჩვენში არავის ძალუძს ამ დიდებული საქმის ისე დიდოსტატურად შესრულება, როგორც ალექსანდრე ჯავახიშვილს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხანგრძლივმა მუშაობამ დიდად გაზარდა მისი მეცნიერული ინტერესები. ისინი მართლაც ძალზე ფართოა — ქვის ხანიდან მოყოლებული, ვიდრე საშუალო საუკუნეებამდე. სამეცნიერო ნაშრომებმა ალექსანდრე ჯავახიშვილს საყოველთაო აღიარება მოუტანა როგორც ჩვენში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. ყოველი მისი ნაშრომი ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. მისი ადრინდელი გამოკვლევები ძირითადად, ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებს ეხება. იგი რამდენიმე ბრწყინვალე ნაშრომს აქვეყნებს, სადაც პირველად ჩვენში ეხება მხატვრული ხელოსნობის საკითხებს. მკვლევარმა საფუძვლიანად განიხილა თრიალეთის კულტურის შესანიშნავი ოქრომჭედლური ნაწარმი და ანტიკური ხანის საიუველირო საქმე, კერძოდ, ოქრომჭედლობის განვითარების გზები შუაბრინჯაოს ხანიდან ანტიკური პერიოდის ჩათვლით. 1949 წელს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ალექსანდრე ჯავახიშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე — საქართველოს ადრექრისტიანული ხანის საკულტო-მემორიალური ძეგლები.

საქართველოსა და სომხეთში მეგროვებული დიდძალი მასალის საფუძველზე მან დაწვრილებით განიხილა ადრესაშუალოსაუკუნეების პლასტიკის წარმოშობის საკითხები. სამწუხაროდ, მისი ეს შესანიშნავი გამოკვლევა დღემდე გამოუქვეყნებელია.

50-იანი წლების შუახანებიდან მისი მეცნიერული მოღვაწეობის ახალი ხანა იწყება. მუზეუმში მუშაობისას ჩამოყალიბდა მისი ფართო მეცნიერული ინტერესები საქართველოს უძველესი წარსულისადმი. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ იგი მიწის ზედა ძეგლების შესწავლიდან მთლიანად გადაერთო ქართულ მიწას ამოფარებული ძეგლების კვლევაზე. ველზე მუშაობა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის, ჭეშმარიტად სიცოცხლის ძალას მატებს მას. ექსპედიციაში მას ერთი წუთითაც ვერ ნახავთ უსაქმოდ. თითქმის ყველა უმძიმესი საქმე მისი უშუალო მონაწილეობით სრულდება. ველზე იგი ყველაზე ადრე გადის და ყველაზე გვიან ბრუნდება. აქ იგი არქეოლოგიცაა, არქიტექტორიც, მხატვარიც და ფოტოგრაფიც. პრეპარაციას არავის ანდობს და თავის ხელით აკეთებს. მისი საყვარელი გასათხრელი ობიექტი ძველი ნამოსახლარია. არქეოლოგიაში მრავალფენიანი ნასახლარი ადგილის გათხრა ერთ-ერთ ურთულეს საქმედ ითვლება. ამ რიგის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი სწორედ ალექსანდრე ჯავახიშვილმა ჩაუყარა. ვერ ვიტყოდით, რომ მანამდე ძველი ნამოსახლარი არავის გაუთხრია ჩვენში, მაგრამ გათხრის მეთოდიკა ყოველთვის სათანადო დონეზე არ იყო.

წმინდა არქეოლოგიურ მოღვაწეობას ალექსანდრე ჯავახიშვილი ურბნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში იწყებს 1954 წელს. პირველი ძეგლი, რომელიც მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით გაითხარა, ურბნისიდან სამიოდე კილომეტრით დაცილებული ძველი პატარა ნამოსახლარი ქვაცხელები იყო, რომლის შესწავლასაც მან ათ წელზე მეტი მოანდომა. ნამოსახლარი ძვ.წ. III ათასწლეულს, ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნებოდა. ეს კულტურა დღეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმის გამო, რომ არც ერთი კავკასიური კულტურა, არც მანამდე და არც მერე, ისე ფართოდ არ გავრცელებულა, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურა. ამ კულტურის მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს და ამასთან დაკავშირებით დღეს სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. მათ გარკვეული როლი მიუძღვით წინა აზიის უძველეს ისტორიაში. ამიტომაცაა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ კულტურის არც ერთი ძეგლი კავკასიაში და არც მის საზღვრებს გარეთ ისე სრულად შესწავლილი არ არის, როგორც ქვაცხელების ნამოსახლარი. სწორედ ამ ძეგლზე მუშაობისას გამოვლინდა ალექსანდრე ჯავახიშვილის დიდი უნარი, როგორც გამთხრელ-არქეოლოგისა. ნასოფლარი მთლიანად გაითხარა, დადგენილი იყო მისი დაგეგმარება, არქიტექტურა და სამშენებლო საქმე, მეურნეობის ხასიათი და საერთოდ მოსახლეობის საქმიანობა. ამ ეტალონურ ძეგლს მიეძღვნა შესანიშნავი გამოკვლევა, სრული მეცნიერული ანგარიში, სადაც მოცემულია მოპოვებული მასალის ღრმა საფუძვლიანი ანალიზი, დადგენილია ფენათა განლაგება, სტრატიგრაფია, სოფლის არსებობის ხანგრძლივობა და სხვ. ქვაცხელების ნამოსახლარმა სინათლე შეიტანა მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლის ბევრ საკითხში.

მაგრამ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო მეცნიერის მიერ 60-იანი წლების დასაწყისში მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი, ე.წ. ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურის აღმოჩენა და შესწავლა. ჯერ კიდევ აკად. ბ. კუფტინი, მტკვარ-არაქსის კულტურის პირველი აღმომჩენი და შემსწავლელი, იმედოვნებდა, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრე თუ გვიან, გამოვლინდება კიდევ უფრო ადრეული ხანის კულტურა, რომელიც გარკვეულ სინათლეს შეიტანს მტკვარ-არაქსის კულტურის წარმომავლობის საკითხში. მისი ვარაუდი შემდეგში ბრწყინვალედ დადასტურდა და ამ საქმეში უდიდესი წვლილი სწორედ ალექსანდრე ჯავახიშვილს უდევს.

ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე გამოვლინდა ნასახლარი ბორცვები, რომლებიც ადრეული ხანის მასალას შეიცავდა. სწორედ ამ ძეგლების შესწავლა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივმა ექსპედიციამ. გამოვლინდა მანამდე სრულიად უცნობი კულტურა და გაირკვა, რომ ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში წინა აზიის სხვა რეგიონებთან ერთად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არსებობდა საკმაოდ განვითარებული ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურა. შეიძლება ითქვას, რომ არა ალექსანდრე ჯავახიშვილის დიდი გამოცდილება და მონდომება, ძალიან გაჭირდებოდა ამ კულტურის აღმოჩენა და შესწავლა. ბევრი სირთულის დაძლევა გახდა საჭირო, სანამ გაირკვეოდა, თუ რა ხასიათის კულტურასთან გვქონდა საქმე, სიძნელე უპირველეს ყოვლისა ის იყო, რომ ეს ხელოვნური ბორცვები წარმოქმნილი იყო ხანგრძლივი დროის მანძილზე სოფლის არსებობის შედეგად. მოსახლეობა ალიზისაგან, გამოუმწვარი აგურისაგან ნაგებ შენობებში ცხოვრობდა. შენობების გამოვლენა, მათი მიწისაგან გამორჩევა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა. მეცნიერის დიდი მონდომების წყალობით გახდა შესაძლებელი ამ უძველესი სოფლის დაგეგმარების, სამშენებლო საქმის, არქიტექტურის და სხვა საკითხების გარკვევა. მან ჩაუყარა საფუძველი ამგვარი ძეგლების შესწავლას ჩვენში. ალექსანდრე ჯავახიშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიკვლია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ბუნება, მისი არსებობის დრო, მეურნეობის ხასიათი და სხვ.



განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბრწყინვალე მონოგრაფია, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ძვ. წ. V-III ათასწლეულების სამშენებლო საქმესა და არქიტექტურას ეძღვნება. აქ მთელი სისრულითაა შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსის კულტურების მნიშვნელოვანი საკითხები. მოცემულია ამ დროისათვის ამიერკავკასიაში ყველა ცნობილი ძეგლის ანალიზი, მოტანილი აქვს დიდძალი ძველაღმოსავლური მასალები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეცნიერი მრგვალი ტიპის შენობების წარმოქმნის და გავრცელების საკითხს. ამ პრობლემას მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მისი აზრით ერთ-ერთი ძირითადი რეგიონი, საიდანაც მრავალი შენობა შეიძლებოდა გავრცელებულიყო წინა აზიაში, სამხრეთ კავკასია უნდა ყოფილიყო. არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები სრულიად ახლებურად აქვს განხილული და ამიტომაცაა, რომ კავკასიის და, საერთოდ, წინა აზიის უძველესი ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი ამ ნაშრომს გვერდს ვერ აუვლის. 1973 წელს ამ ნაშრომის საფუძველზე ალექსანდრე ჯავახიშვილი წარმატებით იცავს დისერტაციას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამ მონოგრაფიამ უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა კავკასიისა და საერთოდ წინა აზიის უძველესი კულტურის შესწავლის საქმეში და მის ავტორს ჭეშმარიტად საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი ყოველთვის უძველესი ისტორიის უძნელეს და ურთულეს საკითხებს იკვლევდა. იგი სწავლობს მრავალფენიან ძეგლს — ბერიკლდეების ნამოსახლარს. ცხოვრება ნამოსახლარზე, ეტყობა, ადრე ჩასახულა და რამდენიმე ათასწლეულს გაგრძელებულა. მეცნიერი ჩვეული გატაცებით და სიბეჯითით იკვლევს თითოეულ პერიოდს. ცხოვრება აქ, ჩანს, ე.წ. ბედენური კულტურის ხანაში შეწყვეტილა, ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს. მან დაასრულა ძეგლზე გათხრითი სამუშაოები და ახლა თავს უყრის მონაპოვარს. ძალიან ძნელია ამ ურთულესი ძეგლის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში გარკვევა. ბევრმა მეტად ძნელად ასახსნელმა საკითხმა იჩინა თავი. ამ უთუოდ უნიკალური ძეგლის მნიშვნელობა გასცდა ამიერკავკასიის და, საერთოდ, კავკასიის ფარგლებს. თავისი ცხოვრების მანძილზე, ალბათ, არც ერთი ძეგლის შესწავლაზე ასე თავგამოდებით, ბეჯითად და მუყაითად ლალის არ უმუშავია. ეს კი იმის იმედია, რომ იგი დასძლევს ყველა სირთულეს და საბოლოოდ ნათელ სურათს წარმოგვიდგენს ამ ეტალონური ძეგლისა. ეჭვგარეშეა, რომ აქ მოპოვებული მასალა ბევრ ახალ სიტყვას იტყვის საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის უძველესი ისტორიის თაობაზე.

თავისი ცხოვრების მანძილზე ბატონი ლალი განზე იდგა პოლიტიკური ცხოვრებისაგან, რადგან არაფერი სწამდა და სჯეროდა არსებული ხელისუფლების, თუმცა იმ დროსაც, როდესაც არც თუ ისე უსაფრთხო იყო რაიმე ინიციატივის გამოჩენა, თუკი საქმე მისი ერის რაიმე საჭირბოროტო საკითხს ეხებოდა, იგი განზე არასდროს დარჩენილა. მაგალითად, როდესაც კონსტიტუციაში ქართული ენის საკითხი დადგა, ალექსანდრე ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წინ აღუდგა ამ უსამართლობას. როდესაც წამოტივტივდა აზრი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატების აფხაზეთისათვის გადაცემის საკითხი, მუზეუმის თანამშრომლებმა ბატონი ლალის ხელმძღვანელობით ცეკას შენობასთან პიკეტი გამართეს, რაც იმ დროისათვის მეტად უჩვეულო იყო. ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა მუზეუმის კოლექტივს და მისი უშუალო ჩარევის შემდეგ ეს საკითხი ისე გადაწყდა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ, როდესაც განკითხვის დღე დადგა და მიღმა დგომა აღარ შეიძლებოდა, ბატონი ლალი აქტიურად ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორთაგანი იყო სახალხო ფრონტის შექმნისა. მაგრამ, როდესაც თავი იჩინა უთანხმოებამ, ბატონმა ლალიმ პირველმა დატოვა სახალხო ფრონტის ყრილობა. მას თან გაჰყვა სახალხო ფრონტის მესვეურთა ერთი ჯგუფი — მერაბ მამარდაშვილი, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე და სხვ. მიუხედავად ასაკისა, იგი დღესაც არ ჩამოსცილებია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, იმის გამო, რომ მას სწამს ქვეყნის პრეზიდენტის მიერ არჩეული გზის. ბატონი ლალი დათანხმდა კენჭი ეყარა და სათავეში ჩადგომოდა მოქალაქეთა კავშირის პარლამენტში ასარჩევ დეპუტატობის კანდიდატთა სიას. იგი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება თავის მოვალეობას და, ალბათ, არც ისე ბევრი დეპუტატია პარლამენტში, ვინც ისე წესიერად ესწრებოდეს სხდომებს, როგორც ბატონი ლალი.

ცხადია, ალექსანდრე ჯავახიშვილის მოღვაწეობა გაცილებით უფრო ფართოა, წერილში შეუძლებელია ყველაფრის გადმოცემა და წარმოდგენა. მუზეუმში თითქმის არც ერთი არქეოლოგიური საკითხი მისი აქტიური ჩარევის გარეშე არ წყდება. ყველა რატომღაც მას მიმართავს, შინაური თუ უცხო, მეცნიერულ თუ სხვა ყოფით საკითხებზე და იგი ყოველთვის ყველასათვის დაუზარებლად გამონახავს დროს დახმარებისათვის, ახლა ამას დეპუტატის მოვალეობაც დაემატა.

ვუსურვოთ ალექსანდრე ჯავახიშვილს ჯანმრთელობა, კიდევ დიდხანს ყოფილიყოს თავისი ერის სამსახურში. მოკრძალებულად, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე, მან ჭეშმარიტად დიდი ღვაწლი დასდო ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებას და ღირსეულად ატარა დიდი ივანეს შვილის სახელი.

**ოთარ ჯაფარიძე.**

ინფორმაცია

# ჰეი, ვარა! შეჩერდით, დად!

ჯერ კიდევ ლუკიანე ამბობდა: „არსებობს ადამიანთა განსაკუთრებული მოდგმა, რომელიც ბოლო დროს ქაფის მსგავსად (ჩვენთან კი კარგა ხანია — რ. ფ.) ზედაპირზე ამოტივტივდა: ზარმაცები, მცონარები, მოტრაბახენი, ახირებული ჯიში თავხედთა და ქედმაღალთა, ჰომეროსის თქმით: „ამაოდ რომ ამძიმებენ დედამიწას".

საკუთარი და სხვისი შეცდომების გასწორებისას (რაოდენ ტრაგიკულიც უნდა იყოს ეს შეცდომები) აუცილებლობა გაიძულებს, მიმართო არასასურველ ცდებს მდგომარეობიდან გამოსვლისათვის.

მოვუსმინოთ არისტოტელეს: „აუცილებელი" ეწოდება იმას, ურომლისოდაც, როგორც დამხმარე მიზეზის გარეშე, შეუძლებელია ცხოვრება...

„აუცილებლობა" ისეთი მოქმედებაა, ან ვნებაა, რომელიც იძულების გამო არ შეესიტყვება ჩვენს მისწრაფებას. აუცილებელია ის, რის გამოც სხვაგვარად არსებობა შეუძლებელია".

შექმნილი საშინაო და საერთაშორისო ვითარების გამო, ალბათ, ასეთი აუცილებლობა იყო არძინბას მიღება თბილისში!

ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ვიაჩესლავ ივანოვი „ობშჩაია გაზეტას" 1997 წლის აპრილის ერთ-ერთ ინტერვიუში, რომლის სათაურია: „XXI საუკუნე დიდი პიროვნებების გარეშე?" სხვა საკითხებთან ერთად ვლადისლავ არძინბასაც მოიხსენიებს: "Среди нынешних политиков у меня есть не просто друг, а ученик. это Владислав Ардзинба, лидер Абхазии. В свое время я массу сил потратил на его сочинения. Представьте, приезжает из Сухуми красивый молодой человек девятнадцати лет, уже член партии, окончил сухумскии пединститут, что он знает? Академик Ростовцев приводит его ко мне и говорит: „Вот, надо обучить молодого человека хеттскому. языку." Хорошо. Проходит неделя, две недели, молодой человек не делает ничего. Я ему говорю: „Знаете, я не буду на вас тратить время. Если вы через неделю не выучите все знаки хеттской клинописи, а их примерно четыреста, и не изучите грамматику хеттского языка, то - все, разговоров больше не будет", За неделю он все это выучил. Оказался очень талантливым человеком, что обнаружилось из-за моего плохого характера. Потом он стал известным ученым в этой области и действительно поразительно, насколько он продвинулся вперед ..."

რა სამწუხაროა, პატივცემულმა აკადემიკოსმა, თავის დროზე, ვლადისლავ არძინბას დაბეჯითებით რომ არ ურჩია დარჩენილიყო იქ, სადაც მეცნიერებას, საზოგადოებას და თავის თავს სიკეთეს მოუტანდა. მეცნიერებამ დაკარგა კაცი (იქნებ კიდევ არაა გვიან), პოლიტიკამ კი დიდი ცოდვა შეიძინა.

მორდუობა და ფიცი ყოველთვის აერთიანებდა ქართველს და აფხაზს. ფიცგამტეხთათვის ხეთებს ჰქონდათ ასეთი წყევლა: „როგორც დნება ეს ცვილი, როგორც ეს ქონი ლღვება, ასევე ის, ვინც ფიცგამტეხია და ღალატს სჩადის ხეთის მეფის წინააღმდეგ, დადნეს ისე, როგორც ცვილი და გალღვეს, როგორც ცხვრის ქონი".

მაგრამ, ჯობია, ჩვენ ერთმანეთი რომ ვწყევლოთ გამეტებით და ვხოცოთ, იმის ნაცვლად დავდოთ სამშვიდობო ზავი. დავზავდეთ სამუდამო მშვიდობით, როგორც ეს 3100 წლის წინათ დადეს რამზესმა და ხატუსილისმა, სადაც ჩაწერეს: „ვინც დაარღვევს სიტყვას, რომელიც ამ ვერცხლის ტაბულაზე დგას, რომელსაც ძალა აქვს, როგორც ხეთების მიწის, ისევე — ეგვიპტის მიწისთვის, ვინც მას გასტეხს, დაე, მათი სახლიც, მიწაც და ქვეშევრდომნიც გაანადგუროს ათასმა ღმერთებმა ხეთებისა და ათასმა ღმერთებმა ეგვიპტისა".

**პოლიტიკამ შური არ უნდა იძიოს**

სავსებით სწორად მიუთითებს ჩვენი პრეზიდენტი, რომ მტრის ხატით არსებობა დღეს შეუძლებელია. ეს გარდაუვალი აუცილებლობაა.

ისტორიაში ვინ უწყის, რამდენი ათასი ომია გადახდილი. კაცობრიობას სულ მტრის ხატით რომ ევლო, განა იგი შექმნიდა კულტურასა და ცივილიზაციას?

რომ სულ მტრის ხატით ევლო, მაშინ გერმანია და რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია არასოდეს უნდა დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს!

რაღა შორს წავიდეთ, ჩვენს უბედურ ისტორიას გადავხედოთ: განა საქართველოში ისტორიულად, რომელიმე სამთავრო იყო დარჩენილი ერთმანეთს რომ არ დახმოდა და ამისათვის მოკავშირე სხვაგან არ ეძებნა?

გავიხსენოთ დავით გურამიშვილი: „ქართლელების ალმა ხნული კახელებმა დალმა ფარცხეს". დალმა ფარცხვა მიწის ეროზიას აძლიერებს, ერში აჩენს ხრამებს, უფსკრულებს. მერე კი ჩვენს დიდ მეფეებს, აფხაზთა და ქართველთა დიდ მეფეებს რა ძვირად უჯდებოდათ გაჩენილი ხრამებისა და უფსკრულების ამოვსება ქვეყნის ერთიანობის მისაღწევად, რომ კვლავ დაწყებულიყო ერთიანი სამეფოს ათვლა: სამეფო აფხაზთა, რანთა, კახთა და ა. შ.

ინსტანცია, რომლის წინაშეც ჩვენ პასუხს ვაგებთ, არის სინდისი — ამბობს ერთი დასავლელი მეცნიერი.

სწორედ ასეთი ინსტანციის წინაშე პასუხისმგებლობით ვწერდი ერთ ჩემს წერილში „ნუ დავკარგავთ სამშობლოს სამშობლოში" (წერილი 1992 წლის 25 აგვისტოს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში"): „ვიქტორ შკლოვსკის აქვს ნათქვამი „მიცვალებულები ყოველთვის როდი წვანანო საფლავებში" და იქნებ ჩვენი ამ დიდი ტრაგედიის ჟამს გაცოცხლდნენ კიდეც გალაკტიონი და ქიაზიმ აგუმა, კონსტანტინე გამსახურდია და დიმიტრი გულია, გიორგი ლეონიძე და ალექსი ლასურია, მაგრამ როცა იხილეს, როგორ დაუნდობლად ვცემთ ძმები ერთმანეთს და სხვებში ვეძებთ პოლიტიკურ დამრიგებლებს, კვლავ მოიკლეს თავი"!

დიახ, საქართველომ და აფხაზეთმა სხვაგან არ უნდა ეძებონ პოლიტიკური დამრიგებლები. ორთავემ საკუთარ თავში უნდა ვიპოვოთ ძალა სიძულვილის დათრგუნვისა, ჩვენი სამარცხვინო ისტორია ამოვქოლოთ ქართულ-აფხაზური სინდისით, მორდუობის და ძმობის, ფიცგაუტეხლობის ტრადიციებით. მართლაც, ბრძენმა კაცებმა ორივე მხრიდან უნდა შეგვიკიჟინონ: ჰეი, ვარა! შეჩერდით, დად, შეჩერდით, თორემ ყველა საუკუნეთა შორის ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი მე-20 საუკუნე გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს თავისი ცხედრის წინაშე და თუკი აქამდე მოვაღწიეთ, ნუ მივცემთ მას საშუალებას, მის ცხედართან ერთად ისე დაგვასამაროს, რომ ჩვენი დამტირებელი ისტორიაც აღარ დაგვრჩეს.

ნუ გავიწყდებით, თორემ აფხაზურ-ქართული, ქართულ-აფხაზური თესლი სარეველას თესლი კი არ არის, ყველგან ეყაროს და ადვილად აღმოცენდეს. არძინბაც ამიტომ მოიხმო საქართველოს დედაქალაქში ჩვენმა პრეზიდენტმა. ყოველივე ეს მოხდა ბისმარკისეული გაგებით, რომ: „პოლიტიკამ შური კი არ უნდა იძიოს იმაზე, რაც მოხდა, არამედ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ რაც მოხდა, ის არ განმეორდეს..."

თედო სახოკიას თავის „მოგზაურობანში" აღწერილი აქვს აფხაზთა ერთი სალოცავი — შაშუ — მჭედლების ღმერთი. აფხაზები ტყეში აკეთებდნენ თურმე პატარა ქურებს ქვებისაგან, ზედ აწყობდნენ ჩაქუჩსა და გაზს.

მომჩივანნი ამ ქურის წინ ფიცულობდნენ და თავიანთ სიმართლეს საჯაროდ აცხადებდნენ. იქნებ პირველად, მითიურ დროში, ამ სამჭედლოში ჭედდნენ იმ იარაღებს, კლდეზე მიჯაჭვული აბრსკილისა და ამირანისათვის რომ აეხსნათ მკლავებზე ჯაჭვის ბორკილები.

აეხსნათ ჯაჭვი აბრსკილისა და ამირანის მკლავებს, რათა ამ მკლავებით აფხაზთა და ქართველთა ძმობისა და მეგობრობის სიმბოლოდ ისინი სამარადისოდ გადაეხვიონ კვლავ ერთმანეთს.

**რეზო ფაჩულია.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

**იყიდება ხორბალი**

საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია „ქეამ" ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან მიიღო ამერიკული ხორბალი. ხორბალი გაიყიდება საქართველოს ტერიტორიაზე და ამოღებული თანხები მოხმარდება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაფინანსებას.

„ქეა" აცხადებს კონკურსს ამ ხორბლის მთლიანი პარტიის გაყიდვაზე და გაყიდვაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს და კომერციულ ორგანიზაციას.

ხორბლის სპეციფიკაცია და მიწოდების პირობები:

მწარმოებელი ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები;

ხორბლის ტიპი და კლასი — შუშისებური წითელი ზამთრის (მაგარი) ხორბალი, მეორე კლასის ან უკეთესი;

რაოდენობა — 6500 ტონა;

პროტეინის შემცველობა — ამ ტიპისა და კლასისათვის ჩვეულებრივი;

მაქსიმალური ტენიანობა — 13,5 პროცენტი;

მინარევები — 1 პროცენტი ან ნაკლები;

მიწოდება მოხდება გემით, ფოთის ან ბათუმის პორტში, მყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, ჩამოტვირთვა მყიდველის ხარჯზე. სავარაუდო ჩამოსვლის ვადა — 1997 წლის სექტემბრის მეორე ნახევარი - ოქტომბერი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ 9.30-დან 18.00 საათამდე გიორგი ბაჟენოვს ან დავით გაზაშვილს შემდეგ მისამართზე:

თბილისი,

პეტრიაშვილის ქ. 42,
ტელ: 29-13-78, 29-12-69, 29-15-31,
ფაქსი: 29-43-07.

საქართველოს რესპუბლიკა
№212. შაბათი, 30 აგვისტო, 1997 წელი

## იდეა

# ქართული წიგნის საერთაშორისო საზოგადოება

**მე, როგორც მწერალი და გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი, თავს მოვალედ ვრაცხ, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით გავუზიარო საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს რამდენიმე მოსაზრება ქართული წიგნის ბედთან დაკავშირებით.**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ თქვენ უპირველეს პრობლემად თვლიდით ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესის ცივილიზებული ფორმებით წარმართვას. სიძნელენი ყველა სფეროში თავსაყრელია, პრობლემები არ ილევა. თქვენ ქვეყნისათვის უმძიმეს წლებში ერს ამცნეთ თქვენი დიდი სურვილი და გადაწყვეტილება — კულტურა უნდა გადარჩეს! შეიქმნა კიდეც კულტურის გადარჩენის სახელმწიფო კომიტეტი. პროგრამამ, რომელსაც პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაჭირვებულ ქვეყანაში ის კომიტეტი ახორციელებდა თქვენი ხელმძღვანელობით, გარკვეული შედეგი გამოიღო.

საქართველო უკვე ჩართულია მსოფლიოს კულტურული ინტეგრაციის პროცესში. მხედველობაში მაქვს კონკრეტული ფაქტები — მუსიკალური ანსამბლების, ქართული ფოლკლორის, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, თეატრალური კოლექტივების, ქართული კინოს, მხატვრობის... ინტენსიური გასვლები უცხოეთის უამრავ ქვეყანაში. დაიწყო საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს და ქართული კულტურის ახლებური შეცნობის ხანა. ეს სულ სხვა ხარისხის მოვლენაა. ვფიქრობ, ამის განმარტება არავის ესაჭიროება.

მე ჩამოვთვალე ქართული კულტურის დიდი ნიშანსვეტების ინტეგრაციის ფაქტები, თორემ ყველამ კარგად იცის, მათთან ერთად ინტეგრაციის პროცესში ათობით შედარებით უმნიშვნელო კულტურული კოლექტივიც რომ ჩაერთო, თუ მუსიკის სფეროდან, თუ თეატრალური სამყაროდან. გახშირდა ქართველ მხატვართა პერსონალური გამოფენები ევროპისა და ამერიკის ქალაქებში, მორს წავგიყვანს ქართველი ვოკალისტების და პიანისტების წარმატებათა ჩამოთვლა.

ერთი სიტყვით, ქართული კულტურა მონაწილეობს ინტეგრაციის პროცესში მსოფლიო მასშტაბით. ეს პროცესი, ცხადია, გაღრმავდება და, ბუნებრივია, საქართველოს იმიჯს გაზრდის ცივილიზებული მსოფლიოს თვალში.

თქვენ გაავლიეთ ეს პროცესი და ყოველნაირად ხელს უწყობთ მის გაშლას სივრცეში.

* * *

ბატონო პრეზიდენტო! ჩემი ღრმა რწმენით, მსოფლიომ საქართველო უნდა გაიცნოს, აგრეთვე როგორც დიდი ლიტერატურის ქვეყანა, გაიცნოს როგორც წიგნის ქვეყანა.

არც კლასიკური და არც თანამედროვე ქართული მწერლობისა თუ მეცნიერების დახასიათებას აქ არ შევუდგები. ჩემზე უკეთ უწყით მისი ფასი.

რა თქმა უნდა, არსებობს ენის ბარიერი, რომელიც აძნელებს ქართული ლიტერატურისა და მეცნიერული ნაშრომების სწრაფ ესკალაციას ინტეგრაციის პროცესში, მაგრამ ეს არ არის ისეთი მიზეზი, რომლის მორევა ჩვენ არ შეგვეძლოს, თუკი მწერლები და მეცნიერები საქმეს გულით მოეკიდებით.

და თუკი თქვენი მხარდაჭერაც იქნება!

ამ მხარდაჭერის იმედი კი, ცხადია, გვაქვს.

პრობლემასთან დაკავშირებით გთავაზობთ სწორედ ჩემს მოსაზრებას და ისიც მწამს, რომ გამომცემლობა „საქართველოს" ევალება კიდეც თაოსნობა წიგნის საომოვლო გზების წარმართვაში. ბევრისთვის ცნობილია, რომ „სახელგამი" დაარსდა 1937 წელს და მისგან წარმოიშვა შემდგომ ისეთი დიდი გამომცემლობები როგორიცაა „ნაკადული" და „განათლება".

სხვათა შორის, წელს სრულდება გამომცემლობის დაარსების 60 წლისთავი.

მაგრამ ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის გახლავთ, რომ ქართული წიგნი უნდა გავიდეს მსოფლიო არენაზე და საამისოდ დაისახოს პროგრამა.

სწორედ ამ პროგრამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ჩემს რამდენიმე მოსაზრებას:

1. ვფიქრობ, საჭიროა შეიქმნას ქართული წიგნის საერთაშორისო საზოგადოება ცენტრით თბილისში. სწორედ რომ საერთაშორისო საზოგადოებამ, რათა მან უხელმძღვანელოს არა მარტო ქართული წიგნის მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემას, არამედ, მის გატანას უცხოეთის ქვეყნებში, მთარგმნელთა მოზიდვას და ა. შ.

ქართული წიგნის საერთაშორისო საზოგადოების სტრუქტურა ასე გვესახება:

ა). საზოგადოებაში, ძირითადად, გაერთიანდებიან გამომცემლობათა ხელმძღვანელები, ცნობილი მწერლები, მეცნიერები, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები (მხოლოდ ისინი, ვინც ქართული წიგნის ბედით ჭეშმარიტად არიან დაინტერესებულნი).

ბ). ქართული წიგნის საერთაშორისო საზოგადოებას, ეყოლება თავისი წარმომადგენლები პარიზში, ბერლინში, სანქტ-პეტერბურგში, მოსკოვში, ლონდონში, ნიუ-იორკში, სტამბოლში და მრავალ სხვა ქალაქში, ქართველოლოგთა წრიდან და ქართული დიასპორადან.

მათ შეუძლიათ ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიონ ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების გატანისა და პროპაგანდის, ინვესტორთა მოძებნისა და დაინტერესების საქმეში. ქართული საელჩოების როლი ამ საქმეში განუსაზღვრელი იქნება.

გ) შეიძლება მოეწყოს სიმპოზიუმები ქართული მწერლობის და მეცნიერების პრობლემებზე გარკვეული შემზადების შემდეგ, როგორც თბილისში, ასევე ევროპის, აზიის თუ ამერიკის ქალაქებში [illegible] ლი დიასპორა და მდიდარია ქართველოლოგიური სკოლები.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობა პრაქტიკულად უთარგმნელია, მე შორს ვარ ნიჰილისტური აზრისაგან, ხაზი გადავუსვა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში გაწეულ შრომას, მაგრამ თუ სინამდვილეს თვალს გავუსწორებთ, რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართული მწერლობის უნიკალური ნიმუშების ღირებული თარგმანი არ არსებობს. ქართული ლიტერატურა ითარგმნებოდა ბწკარედებზე დაყრდნობით, ანუ ქართული ენის უცოდინართა მიერ. წარმოუდგენელია, ქართული ენა მთარგმნელმა მედმიწევნით კარგად არ იცოდეს და იგი ან „ვეფხისტყაოსნის" მადლს ეზიაროს ან ვაჟა-ფშაველას სრულიად ახალ პოეტურ სამყაროს ჩასწვდეს.

ქართული ლიტერატურა ფაქტობრივად თავიდან არის სათარგმნი. მაგრამ მანამ, სანამ ეს ხანგრძლივი და დამქანცველი სამუშაო შესრულდებოდეს, შესაძლებელია მესწავლილი და დახარისხებულ იქნას შედარებით უმჯობესი, ჩვენს ხელთ არსებული თარგმანები და თავდაპირველად მათი გატანის პრობლემა გადაიჭრას.

მაგრამ, ამასთან, პასუხისმგებლობა ქართული წიგნის წინაშე გვავალებს გადაიდგას ერთი სერიოზული ნაბიჯიც.

ქართული წიგნის საერთაშორისო საზოგადოების უცხოეთში მცხოვრები წარმომადგენლების დახმარებით შესაძლებელია მოძიებულ და მოზიდულ იქნას ნიჭიერი, პერსპექტიული მთარგმნელები, ვინც შეიყვარებს საქართველოს, მის ისტორიას და მის ლიტერატურას. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც შემთხვევიდან შემთხვევამდე მთარგმნელის გამოჩენის ფაქტები უნდა შეიცვალოს მიზანმიმართული ძიებით და დიდი მთარგმნელობითი პროცესის გაჩაღებით.

საამისოდ საჭიროდ მესახება აღნიშნული საზოგადოების ხელშეწყობით თბილისში, იქნებ სულაც გამომცემლობა „საქართველოს" ბაზაზე, შეიქმნას მთარგმნელთა მცირე კოლეჯი, სადაც მოიწვევთ უცხოეთიდან ახალგაზრდა მთარგმნელებს, ამ კოლეჯში მათ ქართულ ენას შეასწავლიან ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, ხოლო ქართული ლიტერატურის მადლს აზიარებენ თვალსაჩინო ქართველი მწერლები.

თუ ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდებით, არ შეიძლება შორეულ მომავალში მაინც არ გამოიხსას მან საქართველოსთვის სასიხარულო ნაყოფი.

ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაო შეასრულა მთარგმნელობითმა კოლეგიამ. გარკვეული ტრადიცია არსებობს! მხოლოდ ახლა სულ სხვა, 21-ე საუკუნის შესაფერისი, დამოუკიდებელი ქვეყნის საკადრისი ხარისხი უნდა შევძინოთ საქმეს. წინათ არ იყო ამის საშუალება, კარგად ვიცით, რა ბერკეტებით ვიყავით დამუხრუჭებული.

ქართული წიგნის საერთაშორისო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტად, ცხადია, თქვენ გვეგულებით, სხვაგვარად ამ საშვილიშვილო საქმეს სახელმწიფო დონეს ძნელად თუ ვინმე შესძენს.

* * *

ერთი შეხედვით, ძალიან შორიდან დავიწყე, როდესაც უამრავი სადღეისო პრობლემა აქვს გამომცემლობებს გადასაწყვეტი, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ქართული წიგნი აშკარად ჩამორჩა კულტურული სფეროების ინტეგრაციის პროცესს მსოფლიოს მასშტაბით და ამად ეთელი ზემოთ დახასიათებულ საზოგადოებას და მის ამოცანებს ძალზე მნიშვნელოვნად.

ქართული წიგნის სამყარომ უნდა იჩქაროს. საქართველო, უწინარეს ყოვლისა, წიგნის ქვეყანაა და ეს უნდა შეიტყოს ცივილიზებულმა მსოფლიომ. გარდა ამისა, თუკი ამ გზით არ ვიელით, ეს უზარმაზარი ლიტერატურული სამყარო თავის წვენში დაიწყებს ხარშვას და სამომავლოდ ქართული მწერლობა ღირებულს ვერაფერს შექმნის.

* * *

ახლა სადღეისო პრობლემებზე მოგახსენებთ.

ხშირად საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს წიგნის მეურნეობის ჩიხიდან გამოსაყვანად საკმარისი იყოს სახელმწიფოს მხრივ ფინანსების გამოყოფა ერთჯერადი ან სისტემატური დახმარებით.

თქვენ სხვადასხვა სახის დახმარება ზეერისთვის გაგიწევიათ, ამოსუნთქვის საშუალებაც მიგიციათ წიგნის მეურნეობისათვის, მაგრამ სახელმწიფო რომ ფინანსურ დახმარებას სისტემატურ ხასიათს ვერ მიანიჭებს, ეს ყველას უნდა გვე[illegible] დაჭრის გზა სხვაგან არის საძიებელი, ოღონდ, აქაც თქვენი მაღალი ყურადღება იქნება საჭირო.

უკვე ორი წელიწადია სახელმწიფო კანცელარია ბატონ ზაზა შენგელიას მეთაურობით და შესაბამისი განყოფილების დაუზარელი, მცოდნე და გულშემატკივარი კოლექტივის წყალობით გამომცემლობების ხელმძღვანელებთან ერთად ამუშავებს „გადაუდებელ ღონისძიებათა პროგრამას", რომელიც მიმართულია წიგნის მეურნეობის ასაღორძინებლად.

დღეს წიგნის მეურნეობას ჩიხიდან გამოიყვანს მხოლოდ გადაუდებელი ღონისძიებანი. მეურნეობა რეანიმაციის ფაზაშია და ამ წუთას რაც უშველის, ის წამალი უნდა მიეწოდოს. რეანიმაციის ხანა რომ გაივლის, ამის შემდეგ უნდა ამოქმედდეს დარგის განვითარების კონცეფცია ცივილიზებული მსოფლიოს პრაქტიკის გათვალისწინებით.

* * *

ბატონო პრეზიდენტო! ქართული წიგნის მეურნეობას, თუ სახელმწიფო მისთვის მოიცლის, უზარმაზარი რეზერვები აქვს, რომელთა გამოყენებით შეიძლება დარგი ფეხზე დადგეს.

თუ საკითხი სახელმწიფო დონეზე გადაიჭრება, ანუ გატარდება გადაუდებელი ღონისძიება თქვენის მხრივ, ის რეზერვები სერიოზულ შედეგს მოგვცემს.

ჩემი აზრით, სანამ ხელფასი სახელმწიფოში მიზერულია და წიგნს მყიდველი დაეკარგა, დროებით ამგვარი ღონისძიების გატარება შეიძლება:

გამომცემლობათა მიერ დასტამბული სტრატეგიული წიგნების რეალიზაცია ნაწილობრივ სახელმწიფოს ჩარევით უნდა განხორციელდეს. მე კარგად ვიცი, საბაზრო ეკონომიკის დროში ასეთი ღონისძიების გატარების მოთხოვნა, ცოტა არ იყოს, არასამართლიანია. მაგრამ საქმე ხომ ქართული წიგნის ბედს ეხება.

უწინარეს ყოვლისა, მინდა გაცნობოთ, რომ არც გამომცემლობა „საქართველო" და არც სხვანი გულზე ხელდაკრეფილნი არ დგანან და არ ელოდებიან ქუჩიდან როდის შემოვა წიგნისთვის მაღაზიაში კაცი. სარეალიზაციო განყოფილებაც გვაქვს, კერძო რეალიზატორების პრაქტიკაც დავნერგეთ კარგა ხანია, არც რეკლამას ვაკლებთ ტელევიზიის ეკრანებიდან (აქ ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ ტელერადიო კორპორაციის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისა და სისტემატური თანადგომისათვის), საქართველოს ყველა რაიონთან და ქალაქთან გვაქვს კავშირი და ბინაზე მოქალაქეთათვის წიგნის მირთმევის პრაქტიკაც მოქმედებს.

ამ გზით „საქართველო" 100-120 ათასი ლარის შემოსავალს იღებს ყოველწლიურად. მაგრამ ცდა და მეცადინეობა წიგნის ბიზნესში, რომელმაც უნდა გადაარჩინოს საბოლოოდ წიგნი, მეტ შედეგს არ იძლევა.

ახლა ენახოთ, რომელ სტრატეგიულ წიგნებზეა ლაპარაკი.

1. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული (კომპლექტი);
2. გალაკტიონის ხუთტომეული (კომპლექტი);
3. დავით კლდიაშვილის ორტომეული (კომპლექტი);
4. ქართული პროზის მრავალტომეულის ტომები;
5. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ტომები;
6. ქართული პოეზიის თანაედროვეები (შვიდ ტომად);
7. ქართული პოეზიის „შედევრები";
8. ანა კალანდაძის ორტომეული (კომპლექტი);
9. ალ. ყაზბეგის ორტომეული (კომპლექტი).

როდესაც მე რეზერვებზე მოგახსენებდით, სწორედ ეს სტრატეგიული წიგნები მქონდა მხედველობაში (ასეთი სტრატეგიული წიგნები სხვა გამომცემლობებსაც აქვთ).

ნუთუ შეუძლებელია სახელმწიფო დონეზე დაისვას საკითხი და გუბერნატორებს, ქალაქის მერებს, სამინისტროებს მიეცეთ ორი ან სამი წლის ვადით დავალება შეისყიდონ ამ უნიკალური წიგნების გარკვეული რაოდენობა და შეაძენინონ იგი შეძლებულთა ფენას, მათ ხომ ჩვენზე უკეთ იციან, ვინ გახდა შეძლებული მათ სივრცეზე საბაზრო ეკონომიკის წლებში. ხომ არ შეიძლება ერის ამ ნაწილის ცნობიერება უცხოური მანქანების ან ავეჯის შეძენით ან ფეშენებელურ სასტუმროებში ნებიერობით იყოს დაკავებული მარტოოდენ, მათ შვილებს, შვილიშვილებს ზემოთ დასახელებული წიგნები ხომ უნდა ჰქონდეთ სახლში.

შესაძლოა, ეს ერთგვარ დაძალებად მოჩანს, მაგრამ არადემოკრატიული რა უნდა იყოს იმაში, თუკი ასეთი უნიკალური წიგნების შეძენას, თუნდაც ვაიძულებთ გამდიდრებულ ფენას.

არავინ იფიქროს, რაღაც მიუწვდომი ფასები ედოს ამ წიგნებს, მაგალითისათვის — ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულის კომპლექტი — 10 ლარი ღირს, ასევე გალაკტიონის ხუთტომეულისა.

თუკი რვა-ათი დასახელების სტრატეგიულ წიგნს თითოეული გამომცემლობისაგან შეიძენენ გუბერნატორები, მერები და სამინისტროები, გამომცემლობების შემოსავალი ერთიორად გაიზრდება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მატერიალურად არავინ დაზარალდება, ჩვენს სტრატეგიულ წიგნებს მათ სივრცეზე ამ თანხის [illegible] დგან მათ არ ადევთ დიდი ფასი.

საჭირო იქნება მხოლოდ ცოტაოდენი გარჯა მათ მხრივ, მყიდველის პოვნა. მათ შესანიშნავად იციან თავიანთი მხარეების და ქალაქების ფინანსური დემოგრაფია. ცოტა კი ყველა უნდა გაისარჯოს.

მე მგონია, ქართული წიგნი იმსახურებს ასეთ ყურადღებას.

დღეს კი გამეფებულია სამინელი დამოკიდებულება, მავანი და მავანნი გააფრთებით ებრძვიან მათ სივრცეში წიგნის მეტანის მცდელობას. ვფიქრობ, წიგნთან დაპირისპირებული კაცი მაღალ პოსტზე ყოფნის ღირსი არ არის.

მე მესმის მათი, ზოგი მწერალი და მეცნიერი თავის ნაცოდვილარს სთავაზობს, მაგრამ სწორედ ამიტომ ეთელი საჭიროდ **შეიქმნას კომისია** კომპეტენტური პირებისაგან, რომელიც დაადგენს თითოეული გამომცემლობის სტრატეგიული წიგნების ნუსხას და მას შესთავაზებს სახელმწიფოს.

თუ ამ გზით ვიელით, აღარ იქნება საჭირო ფინანსების გამოყოფა სახელმწიფოს მხრივ. არც ის იფიქროთ, დრო ვერ შევიცანით და წიგნები რაღაც განუსაზღვრელი ტირაჟით გამოვეცით. ან უძვირფასესი წიგნების ტირაჟი მცირეა!

ბატონო პრეზიდენტო! თუ ამ გზით დავძრავთ საწყობებიდან სტრატეგიულ წიგნებს, მერწმუნეთ, გაჩნდება თანხები, გამომცემლობების შემოსავალი გაორმაგდება, ეს საშულებას მოგვცემს გავზარდოთ წარმოება, ნორმალური ჰონორარი და ხელფასები გავცეთ.

თუ ასეთი ღონისძიების გატარება შეუძლებელია, მაშინ როგორმე უნდა მოეხსნას გამომცემლობებს მაღრჩობელა გადასახადები. განა ისეთს რა მოგებას აძლევს სახელმწიფო ბიუჯეტს ხუთიოდე საბაზო გამომცემლობისაგან აკრეფილი გადასახადები! ხომ შეიძლება პარლამენტში მთელი სიმწვავით დაისვას ეს საკითხი და ორი სამი წლით მოიხსნას გადასახადები.

ამასობაში, მწამს, გაუმჯობესდება ხალხის სოციალური პირობები, ამოისუნთქავს ქვეყანა და წიგნის მეურნეობაც აღარ დაისაჭიროებს გადაუდებელ ღონისძიებათა გატარებას სახელმწიფოს მხრივ.

ყველა ჩვენგანს, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული წიგნის ბედი, ღრმად სწამს, რომ თქვენთვის ჩვეული ყურადღებით მოეკიდებით, როგორც ქართული წიგნის საერთაშორისო საზოგადოების შექმნის იდეას, ასევე წიგნის მეურნეობის სადღეისო პრობლემებსაც.

უღრმესი პატივისცემით,

**ჯანსულ ღვინჯილია**
გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი.



## არქივი

# კომპარტიის საიდუმლოება ყველასათვის ხელმისაწვდომია

ამას წინათ ზოგიერთი ძველი დოკუმენტის მოხმობა დამჭირდა. მირჩიეს, საქართველოს პრეზიდენტის არქივში იქნებაო. საქართველოს პრეზიდენტის არქივის უფროსად ძველი ნაცნობი **ივანე შენგელაია** დამხვდა.

სანამ არქივის მუშაკები ჩემთვის საჭირო საქმეებს მოძებნიდნენ, ბატონ ვანოს ორიოდ კითხვით მივმართე.

**— საქართველოს პრეზიდენტის არქივი ახალი მოვლენაა ჩვენში, რას გვეტყოდით მისი შექმნის მიზნებსა და ამოცანებზე?**

— სახელმწიფოს მშენებლობისა და მართვის პროცესში ცივილიზებულობისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოთხოვნების გაძლიერებამ არქივის როლისა და მნიშვნელობის გააქტიურება გამოიწვია, საერთოდაც და სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონების საქმიანობაშიც.

დროის ამ მოთხოვნას პირველი გამოეხმაურა პრეზიდენტი რუზველტი, რომელმაც 1938 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არქივის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. ახლა იგი ამერიკის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა.

საქართველოში პრეზიდენტის არქივის დაფუძნებას გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავიხსენო ჩვენგან ადრე წასული მზია ჭანტურია, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის პირადი კანცელარიის არქივის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. როდესაც ქვეყანას სათავეში პრეზიდენტი ჩაუდგა, უკვე მომზადებული იყო ნიადაგი და სახელმწიფო კანცელარიაში შეიქმნა სტრუქტურული ქვედანაყოფი — საქართველოს პრეზიდენტის არქივი. დამტკიცდა მისი დებულება და ინსტრუქცია.

არქივის ამოცანაა საქართველოს პრეზიდენტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ყველა ოფიციალური და პირადი ხასიათის (მისი თანხმობით) დოკუმენტებისა და მასალების მოძიება, შეგროვება, ძიება, დამუშავება, დაცვა, შესწავლა და გამოყენების ორგანიზაცია.

**— რა სახის სამუშაოები მიმდინარეობს ამჟამად არქივში?**

— არქივი უკვე შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას — გროვდება დოკუმენტები საქართველოს პრეზიდენტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მიმდინარეობს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და მისი აპარატის, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დოკუმენტების საარქივო დამუშავება. ვემზადებით სახელმწიფო კანცელარიაში შექმნილი დოკუმენტაციის მისაღებად.

**— ბოლო ხანს პრესაში იყო ლაპარაკი ე. წ. პარტარქივის საქართველოს პრეზიდენტის არქივთან უმართებულოდ მიერთების შესახებ, რას გვეტყოდით ამის თაობაზე?**

— პარტარქივი ცალკე, დამოუკიდებელი ორგანიზაცია არასოდეს ყოფილა. იგი შედიოდა პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შემადგენლობაში და მასთან ერთად გაიარა არაერთი რეორგანიზაცია. ზოგიერთს ეს ავიწყდება და ამ დოკუმენტების განთავსების საკითხის დაყენებით მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას ცდილობს.

„მემატიანეს" და საარქივო დეპარტამენტს 1991 წლიდან არაერთხელ დაუსვამთ ყოფილი პარტიის ისტორიის ინსტიტუტში თავმოყრილი დოკუმენტების მათ საცავებში გადატანის საკითხი.

ამ პერიოდში ოთხჯერ არის მიღებული სახელისუფლებო დოკუმენტი, რომელშიც ეს საკითხი გადაწყვეტილია.

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრი, რომელშიც სტრუქტურულ ერთეულად შევიდა პოლიტიკური პარტიების არქივი. შემდეგ საქართველოს პარლამენტმა შექმნა მის სტრუქტურაში შემავალი დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი განყოფილებაც პოლიტიკური პარტიების არქივი იყო.

ინსტიტუტის ლიკვიდაციის შემდეგ, 1995 წლის მაისის დამლევს (ამ დროს კანონი „ეროვნული არქივის ფონდის შესახებ" უკვე მიღებულია), საქართველოს პარლამენტმა, მიუხედავად საარქივო დეპარტამენტის ოფიციალური თხოვნისა, პოლიტიკური პარტიების არქივი პარლამენტის არქივთან გააერთიანა.

1996 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს პრეზიდენტის არქივს შეუერთდა საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო კანცელარიისათვის გადაცემული პოლიტიკურ პარტიათა არქივი.

როგორც ხედავთ, ამ გადაწყვეტილებათა მიღებისას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფალნი ყოველთვის ერთსულოვანი იყვნენ, ითვალისწინებდნენ არა მარტო ცალკეულ სურვილებსა და წინადადებებს, არამედ, საკითხის მთელ სპექტრს, ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფოებრივი მშენებლობისადმი ახლებური მიდგომით.

ასე რომ, ეს საკითხი არაერთხელ არის გადაწყვეტილი და — სავსებით კანონზომიერად.

ისე, ერთიც უნდა ვთქვათ: სახელმწიფოს ძალზე ძვირი დაუჯდება პოლიტიკური პარტიების არქივის დოკუმენტების დეპარტამენტის საცავებში გადატანის თაობაზე არაფრისმომტანი გადაწყვეტილების მიღება. იანგარიშა ვინმემ, რა თანხა დასჭირდება მის გადატანას, სიძველის გამო გადატანისას რამდენი დოკუმენტი დაზიანდება? იფიქრა ვინმემ, ამ გადატანის გამო არქივი რომ თითქმის ორი წლით გამოითიშება მუშაობიდან?

ყოფილი პოლიტიკური პარტიების არქივის დოკუმენტაციის შენახვისა და მკვლევარებისათვის სარგებლობის ნორმალური პირობები აქვს. რატომ უნდა გასწიოს სახელმწიფომ ამდენი სრულიად გაუმართლებელი მატერიალური და მორალური დანაკარგი?

***— ზოგიერთი გაზეთის ცნობით, პრეზიდენტის არქივში მოსახვედრად უშიშრო[...]ების სამინისტროს ნებარ[...]ვაა საჭირო...***

— ეს მეთხზულია და სა[...] მდეილესთან საერთო არაფე[...] აქვს. პრეზიდენტის არქივში [...] მუშაოდ დასაშვებად არავითა[...]რი განსაკუთრებული პირობ[...]ბის შესრულება არაა საჭირ[...]. მოქმედებს ყველა არქივისათვის საერთო მოთხოვნები. არავითარი გამონაკლისი.

**— ამბობენ, თქვენთან საი[...]დუმლო დოკუმენტებია და მათ გაცნობაზე შეზღუდვებიაო.**

— საიდუმლო დოკუმენტები ყველა არქივშია. მაგრამ აქაც ყველაფერი გარკვეულია: არქივის საქმიანობა მტკიცედ განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონით და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. არც აქაა არავითარი გამონაკლისი.

**— რა ხელშემშლელი პირობები გაქვთ მუშაობაში?**

— არქივს ყურადღება და მზრუნველობა არ აკლია, მაგრამ პრობლემები გვაქვს. არ გვაყოფნის ტექნიკური აღჭურვილობა. გვაფერხებს სახელმძღვანელო საარქივო დოკუმენტაციის უქონლობაც. კანონი „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" უკვე ორი წელია მიღებულია, მაგრამ დაიგვიანა ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ დე[...]ბულების შემუშავებამ. არ[...] გვაქვს, აგრეთვე, საქმის წარმოების ერთიანი წესები, დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოთა არქივების მუშაობის წესი, სამინისტროების და უწყებების, სახელმწიფო დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების საქმიანობაში წარმოქმნილი ტიპობრივი დოკუმენტებისა და მათი შენახვის ვადების ამსახველი ნუსხა და სხვ. ამ სახის საბჭოური დოკუმენტები, რომლებითაც ეხელმძღვანელობთ, სხვას რომ თავი დავანებოთ, შეუწყნარებლად ჩამორჩა თანამედროვე მოთხოვნებსა და რეალიებს.

ესაუბრა
**ალექსანდრე ალექსიძე.**

## სასამართლო

# სასჯელს ვერ გაექცნენ, მაგრამ კითხვის ნიშნები დარჩა

***1995 წლის 5 აპრილს, დაახლოებით დილის 8 საათზე, სააქციო საზოგადოება „ფოთითევზის" სეინერი კონცხ კოდოშთან მოხვდა 3-4 ბალიან ღელვაში, გადაიხარა მარცხენა მხარეს, დაკარგა მდგრადობა და ჩაიძირა. დაიღუპა ხუთი ადამიანი, ს. სოლომონია, ს. ჯანელიძე, ნ. ლაზარია, ბ. პირტახია და ჯ. ფირცხალავა. 1995 წლის 5 მაისს ფოთის ტრანსპორტის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე № 218958. უკვე სასამართლოც გაიმართა. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება ფოთის სატრანსპორტო პროკურორი დევი გოგუა.***

— გამოძიებით დადგინდა, რომ ფოთის ნავსადგურში გემზე დაფნისა და ჩაის ჩატვირთვისას დარღვეული იყო ტვირთის გემბანზე განლაგება. გემის კაპიტანმა ანტონ ყურაშვილმა და კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ პაატა ფაჩულიამ, რომელთაც უშუალოდ ევალებოდათ გემბანზე ტვირთის სწორი განლაგების გაკონტროლება, დაარღვიეს საზღვაო ტრანსპორტზე მოქმედი ცურვის უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები და ჰაი-ჰარად გავიდნენ ზღვაში. გარდა ამისა, დადგინდა, რომ მათთან ერთად სამსახურებრივ მოვალეობას დაუდევრად მოეკიდნენ ფოთის ნავსადგურის საზღვაო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი ი. კოგანი და ამავე ინსპექციის ცვლის უფროსი ჯ. გვაძაბია. ისინიც ვალდებულნი იყვნენ გაეკონტროლებინათ გემბანზე ტვირთის სწორი განლაგება, მაგრამ ეს არ გააკეთეს და სეინერ „სჩს-1231"-ს მწვანე გზა მისცეს.

1995 წლის 4 სექტემბერს საქმეზე დამთავრდა წინასწარი გამოძიება და განსახილველად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ალეკო ალადაშვილის თავმჯდომარეობით 1995 წლის 22 ნოემბერს, თავისი განჩინებით, საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, ხოლო ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა შეუცვალა და სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა. სასამართლომ საქმის დაბრუნებას მოტივად დაუდო საზღვაო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის არასრულყოფილება და მიუთითა გამოძიებას — დამატებით გაერკვია გემის ჩაძირვის მიზეზები.

იგი თავის განჩინებაში დაბეჯითებით მიუთითებდა გემის დათვალიერების აუცილებლობას (?!). ზღვის ფსკერზე 800-1000 მეტრის სიღრმეში ჩაძირული გემის დათვალიერება შეუძლებელი და, განუხორციელებელი იყო. ეს მითითება სათანადო ობიექტური მიზეზების გამო ვერ შესრულდებოდა.

ცინიკურად და გამომწვევად იქცეოდნენ სასამართლოს წყალობით გარეთ გამოსული ბრალდებულები. ისინი გაიძახოდნენ: — გემიც დამარხულია და საქმეც მასთან ერთადო. დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოში არსებობს მხოლოდ ერთადერთი საექსპერტო დაწესებულება ქალაქ ბათუმში. სამწუხაროდ, აქაც მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა. ბათუმელმა ექსპერტებმა (უფროსი — ი. კონცელიძე) სასამართლო პროცესზე ფაქტობრივად, უარყვეს თავიანთ მიერ ადრე ძიებისათვის მიცემული დასკვნა (?). აქედან გამომდინარე, დამნაშავე პირებმა ირწმუნეს, რომ საქართველოში არ შეიძლებოდა საწინააღმდეგო დასკვნის მიღება (როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანას არ ჰყავს ამ დარგის სხვა სპეციალისტები). მაგრამ დამნაშავენი, როგორც იტყვიან, ანგარიშში მოტყუვდნენ...

პროკურატურამ სასამართლოდან დაბრუნებული საქმის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ ექვსივე ტომი რუსულ ენაზე თარგმნა. საქმე გაიგზავნა ქ. ოდესაში, იქ არსებულ მსოფლიოში ცნობილ საზღვაო აკადემიის ლაბორატორიაში და დაინიშნა დამატებითი სასამართლო საზღვაო-ტექნიკური ექსპერტიზა. ამ აკადემიიდან გამოძიებამ მიიღო აკადემიკოსთა და პროფესორთა დასკვნა, რომელშიც უტყუარად გამოიკვეთა გამოძიების მიერ ადრე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა ბრალეულობა. საქმეზე განახლდა წინასწარი გამოძიება და 1996 წლის 21 ოქტომბერს განმეორებით დააკავეს და დააპატიმრეს ანტონ ყურაშვილი და პაატა ფაჩულია. მათ ხელახლა წარედგინათ ბრალდება ჩადენილ დანაშაულში.

1997 წლის თებერვალში დამთავრდა გამოძიება და საქმე განსახილველად კვლავ დაექვემდებარა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ახლახან საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს საქმე განიხილა, ამჯერად ავთანდილ წულუკიანის თავმჯდომარეობით.

ანტონ ყურაშვილს შვიდი წლით, პაატა ფაჩულიას კი ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ი. კოგანსა და ჯ. გვაძაბიას ამნისტიის შესახებ საქართველოს 1995 წლის 2 ი[...]ნისის კანონი შეეფარდეს და პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლეს, — ამით დაასრულა თავისი განმარტება ბატონმა დევი გოგუამ.

**ჩვენ** კი გვინდა რამდენიმე ბუნდოვან ეპიზოდზე აუცილებელი პასუხის მიღება. კერძოდ, რამ განაპირობა ბათუმელი ექსპერტების მიერ ადრე მიცემული საექსპერტო დასკვნის სასამართლო პროცესზე უარყოფა? რა შეფასება მიეცა მათ ამ არაკეთილსინდისიერ ქმედებას? საინტერესოა, რა ადმინისტრაციული ზომები მიიღეს სააქციო საზოგადოება „ფოთი-თევზისა" და ნავსადგურის ხელმძღვანელებმა დაღუპული გემის უშუალოდ მომსახურე თანამდებობის პირთა მიმართ? ასევე, საინტერესოა, თუ ვის დაეკისრა გემის დაღუპვის შედეგად, როგორც სააქციო საზოგადოებისათვის, ასევე ტვირთების მფლობელი ფირმებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება?

არადა, საჭიროა მათი დაზუსტება, ყველაფრისათვის საკუთარი სახელის დარქმევა, ყველა დამნაშავის დასჯა.

**იოსებ გობეჩია.**
„სრ" საკ. კორ.

GCF

№11

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ფედერაციაში

# გზად ფიდეს კონგრესზე

**2 სექტემბერს კიშინიოვში ჩატარდება ფიდეს მორიგი კონგრესი, რომელიც თანამედროვე ჭადრაკის ყველა საჭირბოროტო საკითხს განიხილავს.**

**კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი *ვაჟა შუბლაძე*, რომელმაც გამგზავრების წინ გვითხრა:**

– სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად კონგრესი განიხილავს ვაჟთა და ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე ციკლის შეჯიბრებებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ჰოლანდიისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციებმა **ფიდეში** წარადგინეს ერთობლივი მოთხოვნა პრეტენდენტ ქალთა ტურნირის დეკემბერში გრონინგენში, ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად ჩატარების შესახებ.

„ლაზიერის“ მკითხველებმა კარგად იციან იმ განაცხადის შესახებ, რომელიც **ფიდეში** ჩვენმა ფედერაციამ შეიტანა „ნონა გაფრინდაშვილის საერთაშორისო თასის“ დაწესების თაობაზე. თასი უკვე დამზადებულია. ვიმედოვნებთ, რომ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ამ თასის დაწესება კიდევ უფრო საინტერესოს და დაძაბულს გახდის ამ ასპარეზობას...

კიშინიოვში იმუშავებს საკვალიფიკაციო და მსაჯთა კომისია. განიხილავენ სხვადასხვა საერთაშორისო წოდების მინიჭების საკითხს. წარდგენილ კანდიდატებს შორის ჩვენი მოჭადრაკეები და მსაჯებიც არიან.

## ვულოცავთ!

**საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საკვალიფიკაციო ნორმატივებიდან გამომდინარე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა ეროვნული ოსტატის წოდება მიანიჭა:** ***მიხეილ მჭედლიშვილს, ალექსანდრე ყაშაშვილს, მიხეილ კეკელიძეს და გიორგი ბახტაძეს.***

**საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში პირველი ეროვნული ოსტატი გახდა რუსთაველი მოსწავლე *მიხეილ ყოჩიაშვილი.***

ახალი სასწავლო წლის წინ

# კარგი შევსება

**მოახლოვდა ახალი სასწავლო წელი. სტუდენტურ ცხოვრებას სხვებთან ერთად იწყებს ბევრი ახალგაზრდა, რომელიც ბრძენთა თამაშს — ჭადრაკს უკავშირებს თავის ცხოვრებას.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ საერთაშორისო ოსტატები ნატო ეძგვერაძე და სოფიკო ტყეშელაშვილი, ეროვნული ოსტატი გიორგი ბახტაძე, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ჩემპიონატების პრიზიორები ალეკო მაკარაშვილი და მიხეილ ჯამაგიძე.**

**მას შემდეგ, რაც ლილე ცალუღელაშვილმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 18 წლის მოჭადრაკეთა შორის. ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა ნინო წიტაიშვილიც.**

**ძალიან კარგი შევსება მიილო საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიამ ჭადრაკის სპეციალიზაციის განხრით — ეროვნული ოსტატი დავით შენგელია, მარიკა ჯაფარიძე, რუსუდან ჭკუასელი და მირანდა ცინარიძე — მომავალი მწვრთნელები არიან.**

**საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ულოცავს მოჭადრაკეებს — ამჯერად უკვე უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს — ახალი სასწავლო წლის დაწყებას და უსურვებს მათ წარმატებებს მეცნიერებისა და ჭადრაკის ახალ სიმაღლეთა დაპყრობის გზაზე.**

რეგიონი

# პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად...

ფოთის საჭადრაკო კლუბ „ნანას“ 10 წელი შეუსრულდა – 1987 წლის 2 მაისს ჩადგა იგი მწყობრში. უწინ ამ შენობაში საქალაქო გაზეთის რედაქცია და სტამბა იყო. როცა მასმედიის წარმომადგენლებმა ახალი, ნათელი შენობა მიიღეს, ძველი ნაგებობა, როგორც ამორტიზირებული, წითელ ზოლში მოჰყვა.

– მაშინ ქალაქკომის პირველ მდივნად იყო ბატონი **ბაკურ გულუა**, – გვეუბნება ფოთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ხომერიკი. – მას ვთხოვეთ, ეს შენობა ჩვენთვის

იხ. გვ - 6 გვ.

ევროპის ჩემპიონატი


ნანა ძაგნიძე

9-18 აგვისტოს ტალინში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი 10, 12, 14, 16 და 18 წლის მოჭადრაკეთა შორის. შეჯიბრებაში კონტინენტის 44 ქვეყნის 478 ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა. შესანიშნავად ითამაშეს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა: 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, შარშან ანალოგიურ ტურნირში მხოლოდ ერთი „ვერცხლი“ გვქონდა.

ტალინში ჩვენი დელეგაციის მონაწილეობა დააფინანსეს საქართველოს განათლების სამინისტრომ (10-16 წლიანები) და საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა (18 წლიანები).

როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა,


ანა მათნაძე

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კუტალაძემ** გვითხრა, ათივე ტურნირში მეტად დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. 10 წლის გოგონათა შორის თავიდანვე დაწინაურდა ქუთაისელი **ნანა ძაგნიძე** (მწვრთნელი გიორგი მენაბდე), რომელმაც ზედიზედ ექვსი პარტია მოიგო. მეშვიდე ტურში მარცხის მიუხედავად, მის წარმატებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. საბოლოოდ 8 ქულა 9 თამაშიდან, ოქროს მედალი და იმედი იმისა, რომ ქუთაისში კიდევ ერთი დიდოსტატის აკვანი დაირწა. ამავე ასაკში მაკა ფურცელაძემ (გურჯაანი) 5 ქულა მოაგროვა, ნინო ბაციაშვილმა (ბათუმი) – 4,5 ქულა.

10 წლის ბიჭების ტურნირში გვასახელა თბილისელმა **დათო ბარამიძემ** (მწვრთნელი ვალიკო ურიდია). 7,5 ქულით დათომ ვერცხლის მედალი მოიპოვა. იმედია, ბარამიძე თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატშიც გამოიჩენს თავს. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი დეკემბერში, საფრა-


ლილე ცალუღელაშვილი

ნგეთის ქალაქ კანში უნდა ჩატარდეს.

ეს ტურნირი დათო ურუშაძემ 4,5 ქულით დაამთავრა, თუმცა მომავალში მისგან მეტ წარმატებას ველოდებით.

12 წლის ბიჭების ტურნირში 54 მონაწილეს შორის თბილისელმა მერაბ გაგუნაშვილმა და წალენჯიხელმა კონსტანტინე შანავამ 6 ქულით შესაბამისად მე-7 და მე-8 ადგილები დაიკავეს. ბათუმელმა მიხეილ გოგუაძემ და ქუთაისელმა შალვა კაკულიამ 5,5 – 5,5 ქულა მოაგროვეს, მიხეილ ქანთარიამ (ბათუმი) – 4 ქულა.

სამწუხაროდ, მედალი ვერც მათმა თანატოლმა გოგონებმა მოგვიტანეს. მათი მონაგარი ერთობ მოკრძალებულია: ნათია ვაჩეიშვილი (ბათუმი) – 4,5 ქულა, მარიანა ჩხაიძე (თბილისი) – 3 ქულა.

ყველაზე დიდ წარმატებას 14 წლის გოგონების ტურნირში ველოდით, რადგან თელაველები ანა მათნაძე და ლელა ჯავახიშვილი, ქუთაისელი ინგა ჭარხალაშვილი მთელი ტურნირის განმავლობაში ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდნენ.

# ნორჩთა უხვი მოსავალი

უკანასკნელ ტურში ყაიმით დამთავრდა მათნაძის და ჭარხალაშვილის პარტია. 7 ქულით **ანა მათნაძე** (მწვრთნელი ნონა გაფრინდაშვილი) კიდევ ერთხელ გახდა ევროპის ჩემპიონი. 6,5 ქულით ინგა ჭარხალაშვილმა მეორე-მეხუთე ადგილები გაიყო და კოეფიციენტების ცხრილით მეოთხე ადგილზე დარჩა. ლელა ჯავახიშვილს მაღალი კოეფიციენტი ჰქონდა, მაგრამ მან მეცხრე ტურის პარტია წააგო და მხოლოდ 5,5 ქულა მოაგროვა. სოფიკო გვეტაძეს (თბილისი) 5 ქულა აქვს. ანა მათნაძის შედეგები უკვე იძლევა იმის საფუძველს, რომ მალე იგი „დიდ“ ჭადრაკს ითამაშებს.

სასიამოვნო სიურპრიზი იყო 14 წლის ბიჭების ტურნირში ხონელი **ზვიად იზორიას** (მწვრთნელი ბესარიონ ხეცურიანი; კონსულტანტი ალექსანდრე ბოკუჩავა) გამოსვლა. ამ მეყაითმა და ჭადრაკზე ფანატიკურად შეყვარებულმა ჭაბუკმა 6,5 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

დიდი მონდომებით თამაშობდა ბათუმელი ზვიად ქამადაძე 16 წლის ჭაბუკების ტურნირში, მაგრამ ცუდმა ფინიშმა (1 ქულა 3 თამაშიდან) იგი საპრიზო სა-


დათო ბარამიძე

მეულის გარეთ დატოვა. თუმცა 5,5 ქულა ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს – ზვიადი ხომ პირველად თამაშობდა ასეთი რანგის შეჯიბრებაში. თინათინ ყველიაშვილმაც (ადიგენი) 5,5 ქულა მოაგროვა. ცოტა მეტი სპორტული იღბალი ალბათ არც თინათინს აწყენდა.

18 წლის გოგონების ტურნირში 34 მონაწილეს შორის თბილისელ **ლი-**


მიხეილ მჭედლიშვილი


ზვიად იზორია

**ლე ცალუღელაშვილს** მხოლოდ მე-12 რეიტინგი ჰქონდა. ლილე უკანასკნელ ტურამდე ერთპიროვნული ლიდერი იყო, მაგრამ მეცხრე ტურში დამარცხდა. 6,5 ქულით ცალუღელაშვილმა (მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თამარ ბალხამიშვილმა 4 ქულა მოაგროვა.

ქართული ჭადრაკის გულშემატკივრები კი ყველაზე მეტად 18 წლის ჭაბუკების ტურნირში **მიხეილ მჭედლიშვილის** (მწვრთნელი ალექსანდრე ბოკუჩავა, კონსულტანტი ლაშა ჯანჯღავა) ოქროს მედალმა გაახარა. მიხეილს 6,5 ქულა აქვს

ვახტანგ ჩიქოვანმა (თბილისი) 4,5 ქულით დაამთავრა შეჯიბრება.

20 სექტემბერს ერევანში 16 და 18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება, რომელიც ჩვენი მოჭადრაკეებისთვის სერიოზული გამოცდა იქნება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატში ჩვენი მსაჯებიც იყვნენ მიწვეული: თბილისელები გიორგი ფამილიანტი, ვარლამ ვეფხვიშვილი და ბათუმელი ლეონიდ ნეურონოვი.

**ლელა თანდაშვილი.**

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 3 | 11 |
| 2. საქართველო | 3 | 1 | 2 | 6 |
| 3. უკრაინა | 1 | 2 | - | 3 |
| 4. ისრაელი | 1 | 1 | - | 2 |
| 5 აზერბაიჯანი | 1 | 1 | - | 2 |
| 6. პოლონეთი | - | 2 | - | 2 |
| 7. უნგრეთი | - | - | 2 | 2 |
| 8. საბერძნეთი | - | - | 1 | 1 |
| 9. ლატვია | - | - | 1 | 1 |

რეგიონი

# პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად...

გადმოეცა, რათა პირველ სართულზე საჭადრაკო კლუბი გაგვეხსნა, მეორე სართულზე კი სპორტკომიტეტისთვის მიგვეჩინა ბინა. შენობის ვარგისიანობის სათანადო დასაბუთების შემდეგ იგი მართლაც გადმოგვცეს. მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ვთხოვეთ მისი შეკეთება. ამ ორგანიზაციას უწინ რეზიდენცია ყოფილი ბაზრის შენობაში ჰქონდა. იქიდან გამოსახლება დაუპირეს. შევთანხმდით, საჭადრაკო კლუბს თუ გაგვირემონტებდნენ პირველ სართულზე, სანაცვლოდ მე-2 სართულს დავუთმობდით. ბოლოს, რემონტი რომ გაეკეთებინა, სამმართველომ შენობა თავის ბალანსზე აიყვანა.

სამმართველოს ბაზაზე ამ შვიდი წლის წინათ აქ გაიხსნა კოოპერატივი „კირით ხურონი“, რომელმაც იჯარით აიღო ეს შენობა და იმ დღიდან ითხოვს საჭადრაკო კლუბის აქედან გასვლას ან იჯარის გადახდას. ჩვენ კი რა გვაქვს და სხვას რა მივცეთ? ქალაქის მერია აქტიურად გვიჭერს მხარს და, ვფიქრობთ, დავა საჭადრაკო კლუბის სასარგებლოდ გადაწყდება. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

– ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია უწინაც დაგვეხმარებია. – ჩაერია ჩვენს საუბარში საჭადრაკო კლუბ „ნანას“ დირექტორი **შოთა ჭყონია**, – ფედერაციის გადაწყვეტილებით, უფასოდ გადმოგვეცა ჭადრაკის 50 კომპლექტი, 9 მაგიდა, საათები, სადემონსტრაციო დაფები, რაც დიდად გვეხმარება მუშაობაში.

— ***რამდენი ბავშვი მეცადინეობს თქვენთან და ვინ ემსახურება მათს აღზრდას?***

– ამჟამად ხუთიდან 12 წლამდე 40 ბავშვი მეცადინეობს. სულ სამი მწვრთნელი ვართ: დავით კოღუა, თეა ბერაია და მე. ნიჭიერი შეგირდები გვყავს. დამწყები ჯგუფიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო 5 წლის ირაკლი მიქელაძე, 6 წლის ირაკლი კუჭუხიძე, 7 წლის ქეთი მიქაძე. უფროსი ასაკის მოჭადრაკეებს კი უკვე წარმატებებიც აქვთ. ვახტანგ ქარსელაძის მემორიალზე შარშან ჩვენმა გუნდმა „ნანამ“ მეორე ადგილი დაიკავა, წლეულს კი განახლებული შემადგენლობით (ალეკო მიქაძე, გიორგი გამზარდია, მიხეილ ბოლქვაძე, თეონა სიჭინავა) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. გაზაფხულზე ალეკო მიქაძემ ზუგდიდში 10 წლის მოჭადრაკეთა რეგიონულ პირველობაზე I ადგილი დაიკავა. მანვე ახლახან ქობულეთში საერთაშორისო ტურნირზე თანატოლთა შორის „ბრინჯაო“ დაიმსახურა, ხოლო თეონა სიჭინავამ ყველას აჯობა.

მართალია, ქალაქის მერია და სპორტკომიტეტი გვეხმარება, მაგრამ სახსრები მაინც გვიჭირს, შეჯიბრებებზე ვერ მივდივართ, ამიტომ ჩვენი მოჭადრაკეებისთვის ორ თვეში ერთხელ ვატარებთ საქალაქო ტურნირებს, რაც კარგ შედეგს იძლევა.

ჭადრაკის შემდგომი განვითარების შესახებ ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად ქალაქის მერიამ გადადგა ჩვენთვის სასარგებლო ნაბიჯი: საჭადრაკო კლუბთან ჩამოაყალიბა საჭადრაკო სკოლა და ახლა ორივეს ადგილობრივი ბიუჯეტით დააფინანსებს. ეს უფრო მეტ ბავშვს მისცემს საშუალებას დაეუფლოს ჭადრაკის საიდუმლოებას, თანაც მეტ შეჯიბრებას ჩავატარებთ და ქვეყნის პირველობებშიც ვიასპარეზებთ.

**ვაჟა დანელია.**

ფოთი.

დასასრული. დასაწყისი იხ. მეხუთე გვერდზე.



**სურათზე: ასპარეზობენ საჭადრაკო კლუბ „ნანას“ წევრები.**

**ავტორის ფოტო.**

ჟიურის თავკაცი

# ლამაზი პარტიის პრიზზე



ედუარდ გუფელდი

დიდოსტატ ედუარდ გუფელდის ძალისხმევით დიდ საერთაშორისო ტურნირებში ლამაზი პარტიის ან ლამაზი კომბინაციების პრიზებს აწესებენ. ამიტომაც არ არის შემთხვევითი ამბავი, რომ გუფელდი ფიდე-ს **საჭადრაკო ხელოვნების** კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

შარშან ერევნის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გუფელდის წინადადებით, სომხეთის პრეზიდენტმა ბატონმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა ოლიმპიადაზე ნათამაშევი პარტიებისთვის ყველაზე ლამაზი პარტიის პრიზი დააწესა. შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო ჟიური, რომლის თავმჯდომარეა ედუარდ გუფელდი. მოჭადრაკეებმა კომენტირებული პარტიები წარუდგინეს ჟიურის.

როგორც ამას წინათ ედუარდ გუფელდმა სატელეფონო საუბარში გვაცნობა. სულ მალე ჟიური დაამთავრებს მუშაობას და საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს. პრიზის მოპოვების რეალური შანსი აქვს დიდოსტატ ზურაბ სტურუას.

ამ კონკურსის შედეგების შესახებ ჩვენ ვრცელ ინფორმაციას მოგაწვდით, დღეს კი გთავაზობთ ჟიურის თავმჯდომარის ედუარდ გუფელდის ლამაზ კომბინაციას, რომელსაც მან თვითონ მატროსოვის გმირობა უწოდა: გერმანელი უვე ბენშის და ედუარდ გუფელდის ეს პარტია 1978 წელს გათამაშდა:



შავი ლაზიერის უკან დახევას, თეთრები 22 მd6-ს უპასუხებენ. 21... ლd3!! ამ სვლამ გუფელდს მატროსოვის გმირობა გაახსენა. თავის ახალ წიგნში გუფელდმა ეს პარტია მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მამის ხსოვნას მიუძღვნა.

22. მb4 ლe3 23. fe კe6 24. მd6 ეe7 25. g4 ა5 26. მc2 h5 27. მd4 კd4 28. ეd4 hg 29. hg კg4 30. მe4 კf5 31. მd6 კh3 32. ეf3 კe6 33. ეf2 ეc7 34. მფg2 მფg7 35. მფg3 ეh8 36. ეf3 ეc5 და შავებმა მოიგეს.

ინფორმაცია

# ოქროზე ფიქრმა ბრინჯაოც დაგვაკარგვინა

**26 წლამდე მოჭადრაკეთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც არგენტინაში ჩატარდა, 18 გუნდი მონაწილეობდა. წინა ასპარეზობის გამარჯვებული საქართველოს ნაკრები ამჯერად მხოლოდ მეოთხე ადგილზე გამოვიდა.**

**ჩვენმა ბიჭებმა სტარტი კარგად აიღეს. მათ ერთნაირი ანგარიშით 3,5:0,5 დაამარცხეს ეკვადორის და არგენტინის მეორე ნაკრები. მეოთხე ტურში არგენტინის პირველ ნაკრებთან მათ არ მიიღეს შემოთავაზებული ყაიმები და დამარცხდნენ — 1:3. მომდევნო ტურში მდგომარეობა შესამჩნევად გამოსწორდა, საქართველოს ნაკრებმა 3:1 დაამარცხა რუსეთის ნაკრები. ნორმალური ფინიშის შემთხვევაში ვერცხლის მედლები თითქმის გარანტირებული იყო, მაგრამ ოქროს მედლებზე ფიქრმა მოგვიტანა ის, რომ მეექვსე ტურში მეტად მწარე და დასანანი მარცხი ვიწვნიეთ ყაზახეთის გუნდთან — 0:4.**

**საბოლოოდ, არგენტინელებმა 9 ტურის შემდეგ 26 ქულა მოაგროვეს, ყაზახებმა — 25 ქულა, რუსეთის ნაკრებმა — 24,5 ქულა. ჩვენი ნაკრები 22 ქულით მეოთხე ადგილზე დარჩა.**

**ინდივიდუალური შედეგები ასეთია: I დაფა — გიორგი ყაჭეიშვილი 4 ქულა 8 თამაშიდან; II დაფა — ალექსანდრე დგებუაძე 6 ქულა 9 თამაშიდან (დაფაზე II-III შედეგი); III დაფა — რომან სიჭინავა 7 ქულა 9 თამაშიდან (დაფაზე მეორე შედეგი); IV დაფა — გიორგი ბახტაძე 4,5 ქულა 7 თამაშიდან (დაფაზე მესამე შედეგი), სათადარიგო — აკაკი იაშვილი 0,5 ქულა 3 თამაშიდან.**

**თეა სახვაძე.**

საინტერესო ადამიანები

# ჭადრაკით ცხოვრებას ილამაზებდა

„მხიბლავენ ადამიანები, რომლებიც ღრმად ერკვევიან ამ ჭკვიანურ თამაშში“ – თანამედროვეობის დიდი მეცნიერის, აკადემიკოს ილია ვეკუას ეს ნათქვამი ზედგამოჭრილია ქართული მათემატიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელზე, პროფესორ **დავით კვესელავაზე** (1911-1978 წწ.). ბუნებამ მას წმინდა მათემატიკურ ტალანტთან ერთად ჭადრაკის ხალასი ნიჭიც უბოძა. ბრძნული თამაში ბატონმა დავითმა სულიერ თანამგზავრად, შეგნებული ცხოვრების ორგანულ ნაწილად გაიხადა. ჭადრაკით იგი ყოფიერებას იხალისებდა და როგორც მეჩვენებოდა, თვითონაც „უხდებოდა“ და ალამაზებდა მას.

წლების მანძილზე დავით კვესელავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნაკრებ გუნდში თამაშობდა.

... 60-იანი წლები იდგა. ჩვენი აკადემიის თანამშრომლები უკრაინელ კოლეგებს ეჯიბრებოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მოჭადრაკეთა ნაკრებში დავით კვესელავასთან ერთად მეც მოვხვდი. ათდაფიანი მატჩი ძველ საჭადრაკო კლუბში მოეწყო. ჩემს მეტოქეს ცოტა უცნაური გვარი ჰქონდა – როიცინი. მოწინააღმდეგის სვლის მოლოდინში, მაგიდებს შორის სეირნობისას, ბატონმა დავითმა, რომელიც სხვა სიკეთესთან ერთად ენაკვიმატიც ბრძანდებოდა, წამილაპარაკა:

– კითხე ერთი მაგ როიცინს – რო იცინის, ვითომ სასაცილოდ აქვს საქმე?

მოსწრებულმა კალამბურმა კიდევ უფრო დამაჯერა, რომ უკეთესი პოზიცია მქონდა.

იმ მატჩში მხოლოდ ბატონმა დავითმა და მე მოვიგეთ ორივე პარტია. გაზეთმა „კომუნისტმა“ შესაბამისი ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომელშიც „კვესელავა“ და „ებანოიძე“ გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ..

– ბატონო დავით, მეამაყება, რომ ჩვენი გვარები ერთად არის-მეთქი ვუთხარი.

– შენ კი გეამაყება, მაგრამ ერთი მეც მკითხე – წარმატება გამიუფასურეო, – „ჩამინისკარტა“ მისებურად...

... ამ შესანიშნავი ადამიანის და მოღვაწის ხსოვნა პროფესორ დავით კვესელავას საჭადრაკო მემორიალშიც არის გაცოცხლებული, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიონატის სტატუსით რეგულარულად იმართება.

**თამაზ ებანოიძე.**

საქალაქო ფედერაციებში

# ამაგს არ ივიწყებენ

სამტრედიაში დამთავრდა ვაჟა ნიკოლაიშვილის მეორე მემორიალი. ვაჟა ნიკოლაიშვილი 21 წლის განმავლობაში თავკაცობდა სამტრედიის საჭადრაკო ცხოვრებას, იგი იყო სამტრედიის ჭადრაკის რაიონული ფედერაციის პირველი თავმჯდომარე, ადგილობრივი გაზეთის „წინსვლის“ რედაქტორი. იმ პერიოდში სამტრედიაში მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო ღონისძიება ჩატარდა. ცნობილ ქართველ მოჭადრაკეებზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ უთამაშიათ დავით ბრონშტეინს, რატმირ ხოლმოვს, მიხეილ გურევიჩს, მიხეილ კრასენკოვს და სხვებს. სამტრედიელმა ჭადრაკის მოყვარულებმა შეხვედრა მოუწყვეს ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ნანა იოსელიანს, ნანა ალექსანდრიას, ელენე ახმილოვსკაიას, გარი კასპაროვს, ანატოლი კარპოვს. ყველა ეს ღონისძიება ვრცლად შუქდებოდა გაზეთ „წინსვლის“ ფურცლებზე.

იმ პერიოდში სამტრედიაში დუღდა საჭადრაკო ცხოვრება, რაც, რა თქმა უნდა, ვაჟა ნიკოლაიშვილის დიდი დამსახურება გახლდათ!...

ნიკოლაიშვილის მეორე მემორიალში 45 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ვაჟთა შორის ფოთელმა ქართლოს რუხაიამ იმარჯვა, ქალებში კი თბილისელმა მეგი ესებუამ ისახელა თავი.

12 წლის მოჭადრაკეებში უძლიერესი იყო წალენჯიხელი დავით ზარქუა. 10 წლის ბიჭებში სამტრედიელმა დავით ჯოჯუამ დაიკავა პირველი ადგილი. ამ ასაკის გოგონებში ტოლი არავის დაუდო ქუთაისელმა ნინო ჩორგოლაშვილმა.

ვაჟა ნიკოლაიშვილის მემორიალი ტრადიციული გახდება. ამ შემოდგომით კი სამტრედიაში კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი ჩატარდება. 20 ნოემბერს სახელოვანი ქართველი მეცნიერის, სიჭაბუკეში სამტრედიის ნაკრები გუნდის წევრის როინ ნადირაძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი გაიხსნება.

**ანზორ მაჩიტიძე,**
სამტრედიის საჭადრაკო სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრაქტიკა


ნინო გურიელი

# სასწავლო კომბინაცია

დიაგრამაზე წარმოდგენილი პოზიცია შეიქმნა ნინო გურიელის და გერმანელი ვოერლის პარტიაში, რომელიც წლეულს ბერლინის საერთაშორისო ტურნირში გათამაშდა. ორივე მეტოქის მეფე განსაცდელშია თეთრების a8 – h1 დიაგონალის, ხოლო შავების მერვე ჰორიზონტალის სისუსტის გამო.



გურიელის საფინალო კომბინაცია სასწავლო ხასიათისაა:

1. ba ლc6 2. კd5 აქ შავები დანებდნენ, რადგან 2.... ლd5 3ლd5 კd5-ის შემდეგ თეთრები იგებენ. 4. ეd1 სვლით.

ამ ზაფხულს ნინომ ორ საერთაშორისო ტურნირში ითამაშა, ბილში ქალთა შორის დაწესებული მესამე პრიზი მიიღო და ვაქთა საერთაშორისო ოსტატის კიდევ ერთი ბალი მოიპოვა.

ბერლინში გურიელმა ქალთა შორის ასევე მესამე შედეგი აჩვენა.

## შედევრი

# თავბრუდამხვევი შეწირვებით

ამ პარტიამ რუსეთის ერთ-ერთ ჩემპიონატში (1995 წ.) „სილამაზის პრიზი“ დაიმსახურა. მოსკოველმა დიდოსტატმა ევგენი ვასიუკოვმა, კომბინაციური სტილის მოჭადრაკემ, არა მარტო გაიხსენა ახალგაზრდობა, არამედ, კომენტატორთა გამოთქმით, „ითამაშა, როგორც ალიოხინმა“. ვფიქრობთ, ეს დინამიური პარტია ჩვენი მკითხველების ინტერესსაც გამოიწვევს.

სერგეი ტივიაკოვი –
ევგენი ვასიუკოვი
ესპანური პარტია

**1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 მf6 4. ლe2 კe7 5. 0-0 d6 6. d4 ed 7 მd4 კd7 8 კc6 bc 9. ეd1 0-0 10 მc3 ეe8 11. ლd3 ლb8 12. b3 ლb4 13. კb2 კf8 14. მde2 ეab8 15 მg3 კg4 16. f3 კc8 17 მce2 მd7 18. ლe3 ლb6 19. კd4 c5 20 კc3 მe5 21. მფh1 f6 22. მf4 c6**

რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მხედრის d5 უჯრაზე დაშვება

**23 ლd2 ლc7 24 მf5 d5 25. მg3 d4**

თეთრების რაიმე უპირატესობაზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება. ვასიუკოვი ჩინებულად იყენებს თეთრების რამდენადმე პასიურ თამაშს

**26. კa5 ლf7 27 c3 ეb5 28. cd cd 29 a4 ეb3 30 ლd4 მc4 31 კe1 მe3 32 ეdc1 c5**

**33. ლd2 კa6 34. კf2 მc4 35 ლe1 g6 36. მd5 f5 37 ლf1 fe 38 მe4 კg7 39. მc5**

აქამდე თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თეთრებმა მოიგეს პაიკი, ერთდროულად მუქარა შეუქმნეს ეტლს და მხედარს. რა თქმა უნდა, მათ არ გაითვალისწინეს ვასიუკოვის მომდევნო, პირდაპირ გასაოცარი ტაქტიკური ოპერაციები.



**39... ეf3!**

მიაქციეთ ყურადღება შავების ამ და მომდევნო სვლებს. თანამედროვე პრაქტიკაში ასეთ სილამაზეს მართლაც რომ იშვიათად ნახავთ.

**40 gf მe3! 41 ლh3 კc8! 42. ლg3 კe5!**

ეს უკვე ნამდვილ კასკადს მოგვაგონებს.

**43 მe4!**

ახლა უკვე თეთრების ჯერი დადგა. მათ დაცვის დიდებულ რესურსს მიაგნეს. ყველა დანარჩენი სვლა დაუყოვნებლივ აგებდა.

**43... მd5**

თუ 43... კg3 44 მdf6 მეტად რთული თამაშით, ორმხრივი შესაძლებლობებით

**44. ეc8! ეc8!**

ლაზიერის ალების შემთხვევაში ეe8 და hg-ს შემდეგ თეთრები მოახერხებდნენ თავის დაცვას.

**45 ლh3 ეc2 46. ეd1 მf4 47 ლh6 მe6 48. მg5! ლb7 49. მe4 ეf2! 50 მf2 ლf3 51 მფg1 კd4 52 ეd4!**

სხვა გზა თეთრებს არა აქვთ. თუ 52 ლd2 მf4 53 მფf1 ლg2 54 მფe12 ლg1X

**52... მd4 53. ლd2 ლd5 54 ლd3 მf3 55 მფh1 ლd3 56 მd3**

ასეთი წარმოუდგენელი გართულებების შემდეგ წარმოიქმნა მხედრების ენდშპილი შავებისათვის ზედმეტი პაიკით, რაც გამარჯვებისათვის საკმარისი გამოდგა.

**56... მფf7 57 მb4 მd4 58. მფg2 მფe6 59. მფg3 a5 60. მd3 მფd5 61 მფf4 მფc4 62. მფe4 მf5 63. მf5 მფb3 64. მფd5 მფa4 65 მფc4 მe3 66. მფc3 მf1 67. მf3 მფb3 67. მფe2**

ამდენი შეწირვის შემდეგ კიდევ ერთი – მარტივი და დამაგვირგვინებელი!

**67... მh2 69 მh2 a4 70 მf3 a3** და თეთრები დანებდნენ.

პარტია, რომელიც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს,

**გივი გამრეკელი.**

## წარსულის ფურცლები

# ბოტვინიკის პირველი სტუმრობა თბილისში

1961 წლის 5 სექტემბერს მიხეილ ბოტვინიკი პირველად ჩამოვიდა თბილისში. მას თან ახლდა დიდოსტატი სალო ფლორი. ვიდრე გვეწვეოდნენ, ისინი ბაქოსა და ერევანში იყვნენ.

საზღვარზე, წითელ ხიდთან, სტუმრებს დახვდნენ ქართველი მოჭადრაკეები – ვიქტორ გოგლიძე, ბუხუტი გურგენიძე, ლილი წეროძე და სხვები.

სტუმრები ხუთ დღეს დარჩნენ თბილისში. ისინი შეხვდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ქართული სპორტის მესვეურებს და მოჭადრაკეებს.

იმ დროს უკვე მზად იყო თბილისის ჭადრაკის სასახლის პროექტი, მაგრამ მშენებლობის დაწყებისთვის საჭირო იყო საკავშირო მთავრობის ნებართვა. მაშინ იკრძალებოდა მსგავსი ნაგებობის მშენებლობა. ეს რომ ბოტვინიკს უამბეს, მან დახმარება აღუთქვა მასპინძლებს და კიდეც შეასრულა დაპირება.

– გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: თბილისში პირველად ვარ. ძალიან მომეწონა თქვენი უბრეჯბელი დედაქალაქი. ვნახე მთაწმინდის პანთეონი, ვიყავი ფუნიკულიორზე, დავესწარი კალათბურთელთა ასპარეზობას თქვენს დიდებულ სპორტის სასახლეში, – ჰყვებოდა ბოტვინიკი საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას, რომელსაც მე ვუძღვებოდი.

ბოტვინიკმა ილაპარაკა მიხეილ ტალთან მატჩ-რევანშზე. დაახასიათა განვლილი უმძაფრესი ბრძოლა და ტალის თამაში. იგი ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებასაც შეეხო. თქვა, რომ საჭიროა ახალი ჭადრაკის კლუბის მშენებლობა და საკუთარი საჭადრაკო ჟურნალის დაარსება.

სტუმრებთან ეს ტელეინტერვიუ იმითაც დამამახსოვრდა, რომ ერთ მომენტში ბოტვინიკმა გონებამახვილურად მიხსნა „გაჭირვებიდან“.

სტუმრების წარდგენისას, ტელემაყურებლებს ფლორის „თბილისელობაზე“ ვუამბე, რომ მან 1942 წელს თბილისში მიიღო საბჭოთა მოქალაქის პასპორტი. შემდგომ საუბარში ფლორს ვკითხე:

– რატომ არ წერთ-მეთქი მოგონებებს, თქვენ ხომ კარგად იცნობდით ლასკერს, კაპაბლანკას, ალიოხინს და სხვა გამოჩენილ დიდოსტატებს. მან გაკვირვებული კაცის სახე მიიღო, გამიღიმა და მკითხა: – რომელ მოგონებებზე ბრძანებთ. ახლა არ თქვით, რომ მე „დავიბადე“ 1942 წელს, ჰოდა 19 წლის ყმაწვილმა რა მოგონებები უნდა დავწერო? ფლორი ხუმრობდა. მე კი ვერ მოვახერხე პასუხი. ეს რომ ბოტვინიკმა იგრძნო, ფლორს უთხრა: – სალო, როგორ ვერ მიხვდი რას გეკითხება თენგიზი: რატომ არ სწერ მოგონებებს, შენს დაბადებამდე რომ გინახავსო...

დიდი ინტერესი გამოიწვია ბოტვინიკის შეხვედრამ ახალგაზრდა თბილისელ მოჭადრაკეებთან: მსოფლიო ჩემპიონმა ერთდროული თამაშის სეანსი (საათებით) გამართა 8 დაფაზე. ეს მოხდა 9 სექტემბერს რუსთაველის თეატრის სცენაზე. სეანსს დიდძალი გულშემატკივარი დაესწრო. მათთვის პარტიების დემონსტრაციაც მოეწყო, რაც იშვიათობა იყო მსგავსი „სპექტაკლის“ ისტორიაში.

ხუთსაათიან ბრძოლაში ჩემპიონს მოუგეს რომან ჯინჯიხაშვილმა და მერაბ თხელიძემ, ხოლო გოგი ეგიაშვილმა და დავით ჯანოევმა ყაიმს მიაღწიეს. დანარჩენები (თეიმურაზ ლომაია, გურამ მაჭავარიანი, ალექსანდრე იზვოზჩიკოვი, მანანა ტოგონიძე) დამარცხდნენ.



აი, როგორ გაიმარჯვა მერაბ თხელიძემ.

მ. თხელიძე – მ. ბოტვინიკი

**1. e4c5 2. d4cd 3. c3d3 4.კd3 მc6 5. მf3 g6 6. 0-0 კg7 7. კc4 d6 8. მa3 a6 9. ეe1 მf6 10. e5! de 11. ლd8 მd8 12. მe5 კe6 13. კe3 ეc8 14. ეad1 მe4. 15. კb6! მd6 16. კb3! კb3! 17. ab მe6 18. მac4 მc4 19. მc4 ეc6 20. ეd3 f5 21. f3 კf6 22. g3 h5 23. კf2 მფf7 24. მa5 ეc7 25. კb6 ეcc8 26. ეd7 h4 27. მc4 ეc6 28. ეb7 hg 29. hg f4!? 30. gf! ეh3 31.ეe3 მf4 32. ე7e7! კe7 33. მe5 მფg8 34. მc6 კh4 35. კc7 კg5 36. კf4 კf4 37. ეd3 g5 38. მe7 მფf7 39. მd5 კe5 40. ეe3 კd6 41. b4 a5 42. ba კc5 43. მფg2. 1:0**

მეორე დღეს ბოტვინიკმა ლექცია წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტში („ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის, მატჩ-რევანში ტალთან“), ხოლო ფლორმა სტუდენტებს ერთდროული თამაშის სეანსი გაუმართა 30 დაფაზე.

იმავე სალამოს ბოტვინიკი და ფლორი სოხუმს გაემგზავრნენ.

– არასოდეს დამავიწყდება თბილისელების მასპინძლობა, ვეცდები კიდევ გეწვიოთ, – გვითხრა გამოთხოვებისას მსოფლიო ჩემპიონმა.

შემდგომ მიხეილ ბოტვინიკი კიდევ სამჯერ (1963, 1971, 1975 წ.წ.) იყო თბილისის სტუმარი.

**თენგიზ გიორგაძე.**

**სურათზე:** მიხეილ ბოტვინიკის ერთდროული თამაშის სეანსი საათებით. მარცხნიდან: გურამ მაჭავარიანი, თეიმურაზ ლომაია, ალექსანდრე იზვოზჩიკოვი, მერაბ თხელიძე, დავით ჯანოევი და მანანა ტოგონიძე. ზურგით სხედან: მარცხნიდან — გოგი ეგიაშვილი და რომან ჯინჯიხაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

კომპოზიცია

# რევერსიული თემატიკა ორსვლიან ამოცანებში

დომბროვსკისის თემაზე ამოცანების შედგენისას უნდა გვახსოვდეს შემდეგი: არ შეიძლება თემატური მუქარები, რომელიც ნამდვილ თამაშში შამათებად გარდაიქმნება, წინასწარ გადიოდეს ილუზორულ თამაშში, რადგან ამ დროს საქმე გვაქვს „თეთრების კომბინაციასთან“.

თავისი შინაარსით დომბროვსკისის თემასთან ახლოს დგას ჰანელიუსის თემა. ამ შემთხვევაში მცდარ კვალებში თეთრები ქმნიან საშამათო მუქარებს, რომელთაგანაც შავებს ერთადერთი დაცვითი სვლები აქვთ, ნამდვილ თამაშში კი მეორე ფაზის შავების თემატური დაცვა პირველი ფაზის მუქარას გადააქცევს შამათად და პირიქით.

ბ. მოსიაშვილი



შამათი ორ სვლაში

1 ლc7? მუქარაა 2 ეe4X, მაგრამ 1...კb5!

1 ლe1? მუქარაა 2 მf3X, მაგრამ 1....მb5!

ამოცანის ამოხსნაა 1 ლc5!; 2. ლd4 შამათის მუქარით. მცდარი კვალის დაცვებზე ნამდვილ თამაშში მცდარი კვალის მუქარები შამათების სახით წარმოგვიდგება.

1... კb5 2. მf3X; 1...მb5 2.ეe4X.

ამოცანების შედგენის ტექნიკა ისეთ სიმაღლეზეა ასული, რომ მხოლოდ თემათა შერწყმით არის შესაძლებელი ამოცანის ხარისხის ამაღლება.

გთავაზობთ ამოცანას, რომელშიც დომბროვსკისის და ჰანელიუსის თემების სინთეზია ნაჩვენები.

ბ. მოსიაშვილი
„შახმატი ვ სსსრ“
I პრიზი 1990 წ



შამათი ორ სვლაში

1. ეc4? მუქარაა 2. მc7X მაგრამ 1...მb5!

1. d4? მუქარაა 2. მf4X მაგრამ 1... fe

1. ლb2? ცუგცვანგი 1....მb5 2. მf4X. მაგრამ 1...fe

1. ლg6? ცუგცვანგი 1...fe 2. მc7X მაგრამ 1....მb5

ბოლო ორმა ფაზამ პირველ ორ ფაზასთან ერთად შექმნა ჰანელიუსის თემა.

ამოცანის ამოხსნაა: 1. ლg8! ცუგცვანგი.

1...მb5 2. მc7X და 1...fe 2. მf4X ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს დომბროვსკისის თემასთან.

გივი მოსიაშვილი.

# ლეგენდა შავ ლაზიერზე

იგავ-არაკი და ცხოვრება ფასდება
არა მისი სიგრძით, არამედ შინაარსით.
სენეკა.

თეთრმა მეფემ დიდებულებით სავსე დარბაზს თვალი მოავლო და მეფური მედიდურობით ამბის თხრობა დაიწყო: „ბევრი სახელოვანი ბრძოლა მოვიგე, ძვირფასო ბატონებო და ქალბატონებო, უთვალავი სიმდიდრე და ნადავლი შევძინე ჩემს ქვეყანას, მაგრამ ამ ბრძოლებიდან ყველაზე მეტად ერთი მათგანი დამამახსოვრდა. ეს იმიტომ, რომ იგი იყო ყველაზე ძნელი და ამავე დროს ყველაზე ეფექტური გამარჯვება, რომელიც ოდესმე მომიპოვებია ჩემი ხანგრძლივი მეფობის პერიოდში. თუმცა ამ დღეს ჩემი ამალის დიდი ნაწილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ მათი არნახული მამაცობისა და თავდადების წყალობით ბრწყინვალე გამარჯვებას მივაღწიე. საბრძოლო შერკინების ბოლო ეტაპზე გმირულად დაეცა ჩემი მეუღლე — თეთრი დედოფალი. მისმა ასეთმა შეუპოვრობამ და თავდადებამ საშუალება მომცა ჩემი ავანგარდით შავების მოწინავე პოზიციებზე მივჭრილიყავი.

ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილად მიმაჩნდა და როდესაც უშუალოდ თვითონ ჩავები ბრძოლაში 1. მფg7 შავ დედოფალს, რომელიც მოწინააღმდეგის ძალებს მთავარსარდლობდა, მივმართე, თავი დამარცხებულად ეცნო და ცოლად გამომყოლოდა. ჩემს წინადადებას იგი გააფთრებული შეხვდა და მისი გრძელი შუბი ჩემს აბჯარს შეეხო 1... ლg3. მე, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეჰფერის, თავი ავარიდე მანდილოსანთან შერკინებას 2. მფf8, მაგრამ შავი ლაზიერი არ ცხრებოდა 2... ლd6. გადავწყვიტე, შავი მეფის კარავს მივახლოვებოდი და კაპიტულაციაზე პირადად მას მოვლაპარაკებოდი. შავი ლაზიერი



მეფის კარვამდე შუბშემართული მომდევდა. 3. მფe8 ლe6 4. მფd8 ლf6 5. მფc8 ლc6 6. მფb8; აქ ჩემი ამალის ერთ-ერთ წევრს (a6 პაიკი) შავ მეფესთან ულტიმატუმი გავატანე, მაგრამ განრისხებულმა მეფემ საკუთარი მახვილით განგმირა ჩემი დესპანი. 6... მფa6! ამის შემდეგ ჩემი სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდა, რადგან მემუქრებოდა მომაკვდინებელი (ლb7X). ამ დროს საქმეში ჩაერია ჩემი პირადი დაცვა 7. d8მ! მხედარმა საკუთარი სხეულით გადამფარა, მაგრამ თვითონ აღმოჩნდა საფრთხეში 7...ლd7! აქ ვეზირებმა მირჩიეს, რომ მომავალი თეთრი დედოფალი შემერთო ცოლად (8. f8ლ?!) და ბრძოლა მშვიდობიანად დამემთავრებინა 8... ლ.d8! 9. ლ.d8 პატი, მაგრამ მე მხოლოდ გამარჯვება მწყუროდა, ამიტომ შავ ლაზიერს კვლავ კაპიტულაცია და ცოლობა შევთავაზე და ჩემი სამეფო ეტლი მივართვი. 8. f8ე! განრისხებულმა დედოფალმა იგი ერთის დაკვრით გაანადგურა 8.... ლd6 9. მფa8! ლf8. ამ მდგომარეობაში კვლავ მირჩიეს ახალ საცოლეზე დავნიშნულიყავი (10, b8ლ) და გაუთავებელი ომი ზავით დამემთავრებინა, რადგან (10. b8ლ ლd8! 11. c4 ლd5 12.cd პატი) არც ეს წინადადება არ მივიღე და შავი ლაზიერის შეპყრობა ჩემს პირად მცველს დავავალე, რომელმაც მახვილი აძგერა შავ მეფეს 19. b8მ! შავმა მეფემ თავს გაქცევით უშველა 10... მფb6 და მამაცმა მხედარმა 11. მd7 შავი დედოფალი ჩემს ბანაკში მომგვარა. ასე არარაინდულად გასწირა შავმა მეფემ საკუთარი დედოფალი, ის ვინც ერთგულად ემსახურებოდა მისი ტახტის ძლიერებას. მე კი დავქორწინდი შავ დედოფალზე“.

თეთრმა მეფემ თხრობა დაამთავრა და მზერა შავ დედოფალს მიაპყრო. ამ უკანასკნელმა ოდნავ ნაღვლიანად გაიღიმა და თავი მოკრძალებით დახარა.

ველიმირ კალანდაძე.

ეს საინტერესოა

## საჭადრაკო ნოტაცია

მე-18 საუკუნის ოციან წლებში საჭადრაკო ნოტაცია პირველად შემოიღო სირიის ქალაქ ალეპოს მკვიდრმა ფილიპ სტამმა. ეს ნოტაცია 1784 წელს სრულყო მ. გირშელმა.

ანონსი

## სექტემბერში გაიმართება რამდენიმე ტურნირი:

10-21. 09. ევროპის ჩემპიონატი 20 წლის მოჭადრაკეთა შორის. ტალინი.

20-09 — 04-10. მსოფლიო ჩემპიონატი 16 და 18 წლის მოჭადრაკეთა შორის. ერევანი.

26-29. 09. ევროპის კლუბების თასის ზონალური ტურნირი. ერევანი.

ორიგინალური შემოქმედება

ჯემალ მახათაძე.



შამათი ორ სვლაში

ემზარ ჭუმბურიძე.



შამათი ორ სვლაში

ჯემალ მახათაძე.



შამათი სამ სვლაში

ხსოვნა

## შალვა თოთლაძე

სამოციან წლებში, როცა საქართველოში ჭადრაკით გატაცების ბუმი ზეობდა, გორში მოღვაწეობდა ჭადრაკსა და ნორჩებზე შეყვარებული შალვა თოთლაძე. გოგო-ბიჭებით გარშემორტყმული, საჭადრაკო ანბანას ასწავლიდა მათ. სულ მალე მთელ რესპუბლიკაში ცნობილი გახდა შალვა თოთლაძის საჭადრაკო სკოლა.

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა შალვა თოთლაძემ პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართულ ჭადრაკს ბევრი ცნობილი მოჭადრაკე აღუზარდა. რად ღირს თუნდაც საერთაშორისო ოსტატის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ციალა ქასოშვილის სახელი.

თხემით ტერფამდე განათლებული ინტელიგენტი მწვრთნელის მოღვაწეობა მარტო ჭადრაკით როდი შემოიფარგლებოდა – ბრძენთა თამაშის ბავშვთათვის სწავლებას თან ახლდა მორალისა და ზნეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი გაკვეთილები, ცოდნა იმისა, თუ როგორ იცხოვრონ და ილვაწონ საზოგადოების, ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბუნების მარადიული კანონია: მიწაზე ნაშობი, მიწაში ჩადის, მაგრამ ღირსეულთა ხვედრია, როცა სახელი მიწის ზევით რჩება, რათა კიდევ დიდხანს ახსოვდეთ ადამიანებს – მოიგონონ, ისწავლონ, დაიმოწმონ იგი კეთილი საქმეების კეთებისას.

შალვა თოთლაძის – კეთილშობილი ადამიანის, მწვრთნელისა და პედაგოგის სახელი ამ რჩეულთა კოჰორტაში წერია.

გურამ ვაშაკიძე.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, „ლაზიერის“ სარედაქციო კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი
შალვა თოთლაძე
და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

GCF ლაზიერი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, ვაჟა შუბლაძე, კახა ჩიგოგიძე.









# დაიხურა ავიასალონი „მაქს-97"

სურათებზე: ახალი შვეულმფრენი, რომელიც საგანგებო სიტუაციების სამინისტროსათვის არის განკუთვნილი; მიფრინავენ სუ-აფიაგამანადგურებლები; ახალი მოდიფიკაციის ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ-144"; საზენიტო სარაკეტო კომპლექტი.

# იგორ გოლემბიოვსკის 9 წრე



## 1 წარსულის წრეში

„იზვესტიაში" მუშაობს 31 წლის მანძილზე გოლემბიოვსკიმ სამჯერ დააპირა წასვლა და სამივეჯერ დარჩა. ეტყობა, მტკიცედ დაახსომდა მაშინდელი მთავარი რედაქტორის ტოლკუნოვის სიტყვები: „იზვესტიიდან" ნურსად ნუ წახვალ, აქ შეგიძლია მთელი სიცოცხლე იმუშაოო". და მაინც, „მთელი სიცოცხლე" არ გამოვიდა. ამ ზაფხულს იგორ გოლემბიოვსკიმ დატოვა „იზვესტია" მას შემდეგ, რაც დაკარგა ყველა თავისი მაღალი პოსტი: სააქციო საზოგადოება „იზვესტიის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, მთავარი რედაქტორისა...

პირველი კონფლიქტი მოუვიდა რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ — მაშინ წერილების განყოფილების რედაქტორის პირველი მოადგილე იყო და უსიამოვნება მოუხდა თავის უფროსთან. იგი დაიყოლიეს, დარჩენილიყო, და ეკონომიკის განყოფილებაში გადაიყვანეს.

შემდეგ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი გახდა ალექსეევი. იგი შვიდ წელიწადს ცდილობდა დაენგრია რუსეთის საუკეთესო გაზეთი, გადაექცია იგი ოფიციალური „პრავდის" მსგავს გამოცემად. კონფლიქტი გარდაუვალი იყო. ალექსეევმა მოინდომა იგი ჩეხოსლოვაკიაში გაეგზავნა საკუთარ კორესპონდენტად, მაგრამ გოლემბიოვსკი გაჯიქდა და საბოლოოდ მექსიკაში ამოჰყო თავი.

ახალმა მთავარმა რედაქტორმა ლაპტევმა გოლემბიოვსკი დააბრუნა, დანიშნა პასუხისმგებელ მდივნად, მერე კი პირველ მოადგილედ. უზენაეს საბჭოში რომ გადადიოდა, ლაპტევი შეეცადა, იგი თავის სავარძელში ჩაესვა. მაგრამ ქვეყნის მთავარმა პარტიულმა იდეოლოგმა მედვედევმა თქვა: „პარტია მას არ იცნობსო". მთავარი გახდა ეფიმოვი, ყოფილი იზვესტიელი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის „პარტიულ ქვაბში" ისე გადაეხარშათ, რომ საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. „იზვესტიას" ისევ დაუწყეს „პრავდად" გადაქცევა. და გოლემბიოვსკიმ კვლავ დააპირა წასვლა.

ცოტა ხნის შემდეგ იყო პუტჩი და პუტჩისტების განადგურება. რედაქციის კოლექტივმა ეფიმოვს ნდობაზე უარი უთხრა და გოლემბიოვსკი აირჩია.

ამის შემდეგ იყო ომი უზენაეს საბჭოსთან და გამარჯვება. მაგრამ „იზვესტიის" ტირაჟი თანდათან ეცემოდა.

ამ დროისათვის გოლემბიოვსკიმ საკუთარ ხელში მოუყარა თავი აბსოლუტურად მთელს ძალაუფლებას — ფინანსურს, ორგანიზაციულს, შემოქმედებითს. იგი გახდა ყველაფრისა და ყველას უფროსი, თან აშკარად ეტყობოდა, რომ არა მარტო საკუთარ, არამედ სხვის მოედანზეც თამაშობდა. სწორედ მაშინ შეამჩნიეს მეგობრებმა, მისი თავდაჯერება თვითდაჯერებად გადაქცეულიყო.

დაიწყო თამაშები ფინანსურ მაგნატებთან. გოლემბიოვსკიმ მნიშვნელოვანწილად გადააკისრა ეს თამაშები კაცს, რომლისაც გულწრფელად სწამდა — გონზალიეზს. მაგრამ, როგორც იზვესტიელები თვლიან, მან უღალატა გაზეთს — „ლუკოილის" მხარეზე გადავიდა.

შემდეგ თამაშში ჩაება „ონექსიმბანკი". იმედი ჰქონდათ, რომ იგი „ლუკოილს" გადასწონიდა. მაგრამ მაგნატები ერთმანეთში მორიგდნენ, ხოლო გოლემბიოვსკი იძულებული გახდა აეკრა გუდა-ნაბადი.

## 2 აწმყოს წრეში

მუშაობს პროექტის — „ახალი იზვესტიის" რეალიზაციაზე. დამფუძნებელთა საქმეში გოლემბიოვსკისთან ერთად შევიდნენ ოტო ლაციხი, ვალერი იაკოვი, სერგი დარდიკინი, სერგი აგაფონოვი.

ამბობენ, რომ დამფუძნებელს ხელთ აქვს 15 იზვესტიელის განცხადება სამუშაოზე მიღების შესახებ. კიდევ მოდის 32 კაცი.

„კომერსანტ-დეილის" და „ნოვაია გაზეტაში" გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ახალი გაზეთის ფულს იძლევიან „მედია-მოსტი" (გუსინსკი) და „ლოგოვაზი" (ბერეზოვსკი). „მედია-მოსტის" პრესასთან ურთიერთობის განყოფილებაში ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს.

ბერეზოვსკის პრესატაშემ ორჭოფულად თქვა: „ჯერჯერობით არ ვაპირებთ ამ საკითხის კომენტირებასო". „მოლაპარაკება არ წარმოებს, თუ საიდუმლოდ ინახავთ?" — „ამაზე მე არაფერი მითქვამს".

მიკიბულ-მოკიბული პასუხებიდან ცხადი გახდა, რომ პრინციპულად ბერეზოვსკისა და გოლემბიოვსკის ალიანსი შესაძლებელია.

## 3 მომავლის წრეში

„ახალი იზვესტიის" ფუძემდებელთა დიდი ნიჭის მიუხედავად, ძნელია ამთავითვე იწინასწარმეტყველო წარმატება. ჟურნალისტიკის უახლესმა ისტორიამ იცის განხეთქილების რამდენიმე საგულისხმო მაგალითი: „კომსომოლსკაია პრავდა", „ნეზავისიმაია გაზეტა" და სხვ. საბოლოო განხეთქილებამ კარგი არაფერი მოუტანა არც დარჩენილებსა და არც წასულებს.

## 4 იდეების წრეში

გოლემბიოვსკი პროფესიონალია. აქედან მომდინარეობს მისი მთავარი იდეები. მაგალითად, ალექსეევთან კონფლიქტი — ეს იყო არა იმდენად დამოკრატისა და კომუნისტის, რამდენადაც პროფესიონალისა და არაპროფესიონალის კონფლიქტი.

## 5 თანამოაზრეთა წრეში

რა თქმა უნდა, თანამოაზრენი არიან ისინი, ვინც მასთან ერთად დატოვა „იზვესტია".

## 6 ოპონენტთა წრეში

ცხადია, რომ დღესდღეობით ოპონენტები არიან ის მაგნატები, რომლებმაც „გადააგდეს". არა ოპონენტები, არამედ, უფრო ზუსტად, მტრები. მათ შორის შეიძლება ჩუბაისიც აღმოჩნდეს. სწორედ მან „არ დაიცვა გაზეთი ბანკირებისაგან".

## 7 ოჯახის წრეში

ორჯერ დაქორწინდა. მეორე ქორწინება მოჰყვა წმინდა წყლის სამსახურებრივ რომანს. წერილების განყოფილებაში მომუშავე ლამაზმა ქალმა იგი ცოლს დააცილა, ზუსტად ისევე, როგორც გოლემბიოვსკიმ დააშორა იგი ქმარს. ვაჟი, რომელიც პირველ ცოლთან ჰყავს, მამის კვალს გაჰყვა — მუშაობს თბილისში გამომავალ ახალგაზრდულ გაზეთში.

## 8 გატაცებათა წრეში

ოდესღაც ჩინებულად თამაშობდა კალათბურთს — იცავდა საქართველოს პროფესიონალთა კლუბების ღირსებას. ახლა ჩოგბურთს თამაშობს. სხვათა შორის, უნახავთ იგი ფეხბურთის მოედანზეც — „იზვესტიის" ნაკრებში თამაშობდა ილეშთან, პლუტნიკთან, სერგეევთან ერთად. ოდესღაც ისინი ერთ გუნდს შეადგენდნენ. და არა მარტო საფეხბურთოს. ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

## 9 საკუთარი მეობის წრეში

მაინცდამაინც კონტაქტური არ არის. სამაგიეროდ, სუფრის სული და გულია — ეტყობა ქართული აღზრდა. მკაცრია. თავდაჯერებული, მიდეგა. როგორც ამბობენ, თავისას ხელიდან არ გაუშვებს. თუ კაცი იწამა, ამ კაცისა მაშინაც სწამს, როდესაც მას უკვე აღარაფერი დაეჯერება.

ჟურნ. „ოგონიოკი", № 34.

# ძნელია ჯარისკაცად და მოქალაქედ ჩამოყალიბდე

გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი" და მიმოხილვის ავტორი უბრუნდებიან ვირჯინიის შტატის სამხედრო ინსტიტუტის პირველი ქალთა კურსის თემას. როგორც ვიუწყებოდით, 18 აგვისტოს 30 ქალიშვილმა გაიარა ინსტიტუტში ჩარიცხვის ცერემონია. კერძოდ, მათ ვაჟებთან ერთად ტრადიციულად გადაპარსეს თავი. ხოლო კურსანტად კურთხევის მკაცრი რიტუალის დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ერთ-ერთი კურსანტი გოგონა ინსტიტუტიდან ამოეწერა და შინ წავიდა. ინსტიტუტი არ ასახელებს მის ვინაობას, მაგრამ პირველკურსელთა კურატორის თქმით, „ქალიშვილმა უბრალოდ იგრძნო, რომ საარმიო სისტემას ვერ მოერგება". ინსტიტუტი დატოვა, აგრეთვე ექვსმა პირველკურსელმა ვაჟმა, აღნიშნავს გაზეთი. ისინი, ვინც დარჩა, გაივლიან ნახევარი წლის დაწყებით კურსს უმკაცრესი დისციპლინის სასტიკ პირობებში სადაც გამოიცდება მათი ფიზიკური, გონებრივი და ემოციური რესურსები. ეს პროცესი, ვირჯინიის სამხედრო ინსტიტუტის ხელმძღვანელობის თქმით, ახალბედა კადეტებისაგან აყალიბებს სანიმუშო ჯარისკაცებსა და მოქალაქეებს.

# „არა გამბუზიითა ხოლო..."

ბრიტანელ მეცნიერთა ჯგუფი იწყებს ახალ ბრძოლას მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაავადებასთან — მალარიასთან. მალარიის პარაზიტების გენეტიკურ თვისებათა შესწავლის პროექტი სამი წლისათვის არის გათვალისწინებული და საქველმოქმედო ფონდს „უელკომ ტრასტს" 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება. მალარია ყოველ წელს იწირავს დედამიწის ორ მილიონზე მეტ მცხოვრებს, ძირითადად ბავშვებს, მაგრამ, ყველაზე საოცარი ის არის, რომ მალარიის პარაზიტები სულ უფრო მედეგი ხდებიან წამლებისადმი. ეს დაავადება გავრცელებულია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, ბრაზილია და შრი-ლანკა, მაგრამ მალარიის ცალკე შემთხვევები შეინიშნება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგედია, რომელიც მალარიას მოჰყვა, მოხდა პანამის არხის მშენებლობის დროს, რომელიც ფრანგებმა დაიწყეს: პრაქტიკულად ყველა მუშაკი დაიღუპა მალარიის შედეგად. ამერიკელებს, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს პროექტი, უკვე ჰქონდათ ამ საზარელ დაავადებასთან ბრძოლის საშუალებები, რომლებიც ბრიტანელმა მეცნიერმა როლანდ როსმა გამოიგონა.

როსის იდეა იმას ითვალისწინებდა, რომ, რაკი მალარიის პარაზიტები კოღოს კბენით გადადის, უნდა აღკვეთილიყო კოღოს გამრავლება და შეემცირებინათ მინიმუმამდე ასეთი კბენის რიცხვი. კოღოს წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას ის მოჰყვა, რომ პრაქტიკულად გაწყდა კოღო დიდ ბრიტანეთსა და ბევრ სხვა ქვეყანაში. კაცობრიობის წინაშე დამსახურებისათვის როსს 1902 წელს ნობელის ლაურეატის წოდება მიენიჭა, ხოლო 1911 წელს იგი რაინდადაც აკურთხეს და გახდა სერ რობერტ როსი.

მალარია ფართოდ იყო მოდებული დიდ ბრიტანეთში, საუკუნეთა მანძილზე. დედოფალ ელისაბედ პირველის მართვა-გამგეობის დაწყების დროიდან და მას შექსპირიც კი მოიხსენიებს. მხოლოდ დედოფალ ვიქტორიას მმართველობის დროს ჩაცხრა მალარიის ეპიდემია. მეცნიერები დღემდე დავობენ, რატომ იკლო ასე მკვეთრად დაავადებამ. ზოგს მიაჩნია, რომ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საბინაო პირობების გაუმჯობესება, სხვებს – ის, რომ დაიწყეს ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა ქინაქინა. მაგრამ ისტორიკოსთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ სინამდვილეში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ის, რომ 1860 წელს ფერმერებმა პირუტყვის გამოკვება დაიწყეს თალგამით. და იმისათვის, რომ პირუტყვი შემოდგომაზე დაეკლათ, მათ თალგამს აჭმევდნენ ზამთარში, მალარიის კოღოები კი ძროხების კბენას ამჯობინებდნენ და ადამიანები მიატოვეს.

# გუბერნატორის გადაყენებას რა უნდა, მით უმეტეს, ვულკანი თუ ამოიფრქვა

კარიბის ზღვის მონტსერატის კუნძულის ბრიტანეთის სამფლობელოს მთავრობის მეთაური ბეტრან ოიზგონი გადადგა, იუწყება როიტერი. გადადგომის მიზეზი გახდა ის რომ პრემიერ-მინისტრს არ ენდობიან მისი კაბინეტის დანარჩენი წევრები, აგრეთვე კუნძულის მოსახლეობის უმრავლესობა. როგორც ცნობილია, ივლისში მონტსერატის კუნძულზე მოხდა საუფიერე-ჰილზის ვულკანის ამოფრქვევა, რის შე დეგადაც დაიღუპა რამდენიმე ათეული კაცი, ხოლო შენობების მეტი ნაწილი დაინგრა. მოსალოდნელია ვულკანის ახალი ამოფრქვევები, რასაც შეიძლება მოჰყვეს მთელი კუნძულის დანგრევა. ბრიტანეთის მთავრობამ მონტსერატის მცხოვრებთ შესთავაზა გადასახლდნენ კარიბის ზღვის სხვა კუნძულებზე და დაჰპირდა, რომ ყოველ მათგანს გადაუხდის შემწეობას 3820 დოლარის ოდენობით, მაგრამ კუნძულის მცხოვრებლებს ეცოტავათ შემწეობა, და ბრალად დასდეს პრემიერ-მინისტრს უუნარობა, მოლაპარაკებოდა მეტროპოლიას.

# ჰავანა მოსარჩელედ გამოდის ჟენევაში

ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები ჟენევაში მოაწყობენ იმ ბრალდებათა გარჩევას, რომელთაც კუბა უყენებს ამერიკის შეერთებულ შტატებს კუნძულის დასავლეთ ნაწილში შარშან ოქტომბერში ნათესების თავზე სასოფლო-სამეურნეო მავნებლების მოფრქვევის გამო. ვაშინგტონი უარყოფს ამ ბრალდებას. მიუხედავად ამისა, კუბის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხელთ აქვთ უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები. ამასთანავე, ისინი აცხადებენ, რომ აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო კუნძულზე საგანგებოდ ავრცელებდა დენგეს ციებ-ცხელებას. ამგვარ საჩივრებს პირველად განიხილავენ, აღნიშნავს როიტერი. შეგახსენებთ, რომ ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის ხელშეკრულება 1972 წელს იქნა ხელმოწერილი.



# გორდიას კვანძი

ის, რაც ყმაწვილკაცობაში ვაჟკაცობად ითვლება, — თუთუნის წევა თუ მეტისმეტი სმა, — მოწიფულობის ასაკში თანდათან ჰკარგავს პირვანდელ ხიბლსა და მნიშვნელობას, და ადრე თუ გვიან სანანებელი და თავის დასანებებელი გვიხდება. სწორედ ამიტომ მოიწვიეს მსოფლიო კონფერენცია თამბაქოს წევისათვის თავის დანებების საკითხებზე აბრეშუმისა და დენთის გამომგონებელმა ბრძენმა ჩინელებმა.

# ელექტროინტერიერი: ელექტრობუხარს ელექტროსკამი მოუხდება

ბრიტანელი ანტიკვარები სიძველის მოყვარულებს სთავაზობენ სხვადასხვაგვარ კოლექციებს; ძველებურ ტელესკოპებსა და თოფებს, ფოტოაპარატებსა და მიკროსკოპებს. საუკუნის დამდეგის ფოტოსურათებსა და ავტომობილებს, თვით საცობის ამოსაღებებსაც. მაგრამ, ამჯერად, ანტიკვარიატმა ბევრის მნახველი კოლექციონერებიც კი შეაძრწუნა. კომპანიამ გასაყიდად გამოიტანა ელექტროსკამი – სიკვდილის განაჩენის აღმასრულებელი საშუალება. ეს ელექტროსკამი დამზადებულია კალიფორნიის შტატში 1935 წელს და სასჯელის იარაღი იყო „ალკატრაზისა" და „სანკვენტინის" საპატიმროებში. შემდეგ გახდა ჰოლივუდის „საშინელებათა ფილმების" რეკვიზიტი. მერე სკამი შეუსყიდია „უორნერ ბრაზერსის" კომპანიისაგან ვინმე ენდი უორჰოლს, მხატვარსა და მწერალს, „საშინელებათა ფილმების" დიდ მოყვარულს. იგი ამაყობდა იმით, რომ ამ ფილმებს ელექტროსკამზე მჯდომარე უყურებდა. კომპანია იმედოვნებს, ელექტროსკამის გაყიდვის შემდეგ, სულ ცოტა 4 ათასი გირვანქა სტერლინგი მოიგოს. ყოველ შემთხვევაში, აუქციონერებს აიმედებს ის გარემოება, რომ ნიუ-იორკში 1890 წლიდან 1963 წლის ჩათვლით 700 კაცის დასჯისათვის გამოყენებული სკამი წარმატებით გაიყიდა აუქციონზე ამერიკაში. ლონდონელმა მიმომხილველმა სიმონ დე ბრიუსელმა ისიც კი შენიშნა, რომ ელექტროსკამები „ძვირფასი საკოლექციო საგნები ხდება". საინტერესოა, იყენებენ მათ თუ არა ავეჯად...



ჰოლივუდის „დიდების ხეივანს" ახალი ვარსკვლავი შემატა. ეს არის ამერიკელი მსახიობი [illegible]

# ჭკუისკოლოფის ტვინი მილიონ-ნახევარი დოლარით დააზღვიეს

ლონდონში დამთავრდა ისტორიაში პირველი ჭკუისკოლოფების ოლიმპიადა, იუწყება „სი-ენ-ენი". მასში მონაწილეობდნენ 49 ქვეყნის წარმომადგენლები. შეჯიბრება სამი კატეგორიის მიხედვით მიმდინარეობდა. პირველი კატეგორია მოიცავდა სამაგიდო თამაშებს, რომელთა შორის იყო ჭადრაკი, გო, აფრიკული თამაში ოვარი, აგრეთვე სკრებლი და კროსვორდების გამოცნობა. მეორე კატეგორია – ეს არის ნაირნაირი ბანქოს თამაშები, რომელთაგან უნდა აღინიშნოს ბრიჯი და სკატი. მაგრამ ყველაზე პრესტიჟულ კატეგორიად ცნეს ის, რომელშიც შეჯიბრების მონაწილეებს უნდა გამოეყენებინათ მეცნიერება და შემოქმედებითი უნარი. გამარჯვებულმა შეძლო 40 წამში დაეხსომებინა თანამიმდევრობა, თუ როგორ იყო განლაგებული 52 ბანქოს ქაღალდი და შემდეგ მეხსიერებით აღედგინა ეს განლაგება. მან მიიღო პრიზი: შეჯიბრების სპონსორმა – შვედეთის კომპანია „სკანდიამ" მისი ტვინი მილიონ-ნახევარ დოლარად დააზღვია.

# „ცის კარიბჭე" კვლავ ეპატიჟება თვითმკვლელებს

„ცის კარიბჭის" კულტის აღორძინების ცდის შესახებ წერს „სანტ-დიეგო უნიონ ტრიბუნი". ხუთი თვის წინათ სანტ-დიეგოს „სანტა-ფეს რანჩოში" კულტის ფუძემდებელმა მარშალ ეპლუაიტმა და მისმა 38 მიმდევარმა საწამლავი დალიეს და დატოვეს „მიწიერი გარსი", რათა „შემდგომ დონეზე" გადასულიყვნენ. მასობრივმა თვითმკვლელობამ სახელი გაუტეხა მოძღვრებას, რომელიც ღმერთის რწმენისა და დედამიწისგარე ცივილიზაციის ნაზავს წარმოადგენს. წინა კვირას კი „ციური კარიბჭის" ოთხმა ყოფილმა წევრმა ბერკლის უნივერსიტეტში მოაწყო ვიდეოფილმის პრეზენტაცია, რომელიც ასახავს „უფო-ს რელიგიის" ძირითად იდეებს. დარბაზში მყოფი მცირერიცხოვანი მაყურებელი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო მოვიდა და სკეპტიკურად იყო განწყობილი. პრეზენტაციის ინიციატორთა თქმით, ისინი არ აპირებდნენ ახალი მიმდევრების რეკრუტირებას ან კულტის აღორძინებას, არამედ, უბრალოდ, აწვდიდნენ ადამიანებს ინფორმაციებს. მიუხედავად ამისა, მათ უარი თქვეს პასუხი გაეცათ შეკითხვებზე და სთავაზობდნენ მაყურებლებს ეყიდათ ვიდეოკასეტები და წიგნები. მაგრამ, გაზეთის აზრით, ორგანიზატორებმა დააყენეს ექსპერიმენტი ადამიანებზე იმის დასადგენად, დარჩათ თუ არა მათ ინტერესი კულტისადმი და ღირს თუ არა „მოუს გაგრძელება". ექსპერტები შეშფოთებული არიან იმით, რომ აუდიტორიის ცნობიერებაში შეიძლება დარჩეს ნეგატიური სახეები და ეს არაჯანსაღი რელიგია კვლავ გამოცოცხლდეს.

# ისრაელი მშვიდობიანი გზის მომხრეა

ისრაელის ოპოზიციის ლიდერმა ეგუდ ბარაქმა ფრანგული გაზეთის „ლიბერასიონისადმი" ინტერვიუში წინადადება წამოაყენა, გაიყვანონ ისრაელის ჯარები სამხრეთ ლიბანიდან, რაც ქვეყანაში დაძაბულობის დაცხრომის ლონისძიება გახდება, იუწყება როიტერი. ეგუდ ბარაქის აზრით, ჯარების გაყვანა — ეს არის კრიზისიდან გამოსავლის პოვნის ერთადერთი შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, ისრაელი უარს ამბობს ჯარების გაყვანაზე, სანამ ლიბანი, სირია და „ჰესბოლის" პროირანული დაჯგუფება არ მისცემენ გარანტიას, რომ შეწყდება ცეცხლის დაშენა ისრაელის ტერიტორიისათვის. ისრაელის ოპოზიციის ლიდერმა თქვა, რომ მან უკვე შესთავაზა სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ასადს, განიხილოს სიტუაცია. შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში ცეცხლის დაშენის შედეგად იყო მსხვერპლი ლიბანისა და ისრაელის სამოქალაქო მოსახლეობას შორის.




ბოლო სამი კვირაა მონტსერატის კუნძულზე (ბრიტანეთის სამფლობელო კარიბის ზღვაში) სრული ქაოსი სუფევს. 3 აგვისტოს დაიწყო საუფიერე — ჰილზის ვულკანის ამოფრქვევა. გავარვარებული ლავის ნაკადებმა დაანგრიეს კუნძულის დიდი ნაწილი. ყოფილი დედაქალაქი პლიმუტი მკვდარ ქალაქად გადაიქცა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა-ფორტეს" მასალების მიხედვით
უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

ბლიც-ანკეტა

# გელა ფარჩუკიძე



**— თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორმაისტერი, ანსამბლ „სკერცოს“ მუსიკალური ხელმძღვანელი.**

1. ზოდიაქოს ნიშანი – სასწორი; პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით;
2. საყვარელი მწერალი – ვაჟა-ფშაველა;
3. საყვარელი ლიტერატურული ქმნილება – ბიბლია (თუმცა მემინდოს უფალმა ცოდვილს მკრეხელობა, მაგრამ ბიბლია ჩემი სამაგიდო წიგნია); „ვეფხისტყაოსანი“, ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“;
4. საყვარელი მხატვარი – რუბენსი;
5. საყვარელი რეჟისორი – მილოშ ფორმანი;
6. საყვარელი ფილმი – „ამადეუსი“, „ერთხელ ამერიკაში“;
7. საყვარელი მსახიობი (მამაკაცი) – სერგო ზაქარიაძე;
8. საყვარელი მსახიობი (ქალი) – მედეა ჯაფარიძე, დემი მური;
9. საყვარელი კომპოზიტორი – ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, ვერდი, გერშვინი.
10. საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები – ასეთი, ბუნებრივია, ძალიან ბევრია, თუმცა ჩემთვის გამორჩეული ადგილი უკავია – მოცარტის „რეკვიემს“, ვერდის „რეკვიემს“ და „აიდას“;
11. საყვარელი ხალხური სიმღერა – „ჩაკრულო“, „წინ წყარო“, „ხასანბეგურა“;
12. უდიდესი პოლიტიკოსი – სტალინი; თუმცა თავს სტალინელობისა და პოლიტიკისაგან შორს ვთვლი;
13. ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება – დავით აღმაშენებელი;
14. საყვარელი ქალაქი – რა თქმა უნდა, თბილისი;
15. სპორტის საყვარელი სახეობა – კალათბურთი;
16. გატაცება – თამადობა... ძალიან მიყვარს აუდიო-ვიდეო აპარატურა და მათზე მუშაობა; თუმცა მუსიკა მაინც ყველაზე დიდი გატაცება, სიყვარული და სულია ჩემი;
17. საკუთარი ღირსება – საკუთარი ნაკლის გრძნობა;
18. საკუთარი ნაკლი – საკუთარი ღირსების გრძნობა;
19. ყველაზე დიდი წარმატება – ვიმედოვნებ, რომ წინ მაქვს...
20. ცხოვრების ყველაზე დიდი კურიოზი – ვიმედოვნებ, რომ წინ არა მაქვს.. ბარე ორი კაცი არ მოიძებნება მთელ ქვეყანაზე ჩემნაირი ფათერაკიანი. დიდი ფრანგი მსახიობი – პიერ რიშარი თბილისში რომ გახლდათ, აუხსნეს, თქვენ რომ ფილმებში ფათერაკიან გმირებს ასახიერებთ, ეს კაცი ასეთი ცხოვრებაში არისო. მე მქონდა ბედნიერება ჩემს მეგობრებთან ერთად (ანსამბლი „სკერცო“) მიმეღო მონაწილეობა ფილმის გადაღებაში და ბატონი რიშარი მართლაც დამერწმუნებინა ჩემს ფათერაკიანობაში...

შარშან ჩვენი ანსამბლი შვეციაში მიემგზავრებოდა ქართული კულტურის დღეებზე. გაფრენამდე ერთი დღით ადრე სასწრაფოდ „გაგვიკეთეს“ პასპორტები, სიხარულით გადავშალე ახალი პასპორტი და სახტად დავრჩი – ჩემს ფოტოსთან წერია ბალდასაროვა ანჟელა – სქესი, რა თქმა უნდა, მდედრობითი... ადვილად წარმოსადგენია იმ ერთ დღეში რას გადავიტანდი.

... ეჰ, ღმერთო, მიშველე!

21. ყველაზე მიმზიდველი ქალი – ყველა ქალი თავისებურად მიმზიდველია;
22. ყველაზე სიმპათიური მამაკაცი – მამაჩემი მიმაჩნდა ყველაზე სიმპათიურ კაცად.
23. ოჯახის მდგომარეობა – დღემდე უცოლო. გაფაციცებით ვეძებ საცოლეს, წყნარს, წესიერს, პატიოსანს.
24. მეგობართა წრე – მე ვამაყობ ჩემი მეგობრებით, მუსიკოსებითაც და არამუსიკოსებითაც, ქართველებითაც და არაქართველებითაც, ცოცხლებითაც (ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს) და მათითაც, ვინც სამყარო გამოიცვალა.
25. რას აფასებთ ადამიანში – ნიჭს, პროფესიონალიზმს, ერთგულებას;
26. საყვარელი კულინარული ნაწარმი – შემწვარი კარტოფილი, შემწვარი ხინკალი... ნადუღი;
27. საყვარელი სასმელი – ღვინო „რქაწითელი“, არაყი „ტრიუმფი“;
28. საყვარელი ცხოველი – შველი, მეტადრე შვლის ნუკრი;
29. საუკეთესო მოგონება – „რა კარგი იყო ბარდნალა...“;
30. სანუკვარი ოცნება – დღეს ქართველი კაცი ომში დამარცხებულის დაღით ცხოვრობს. ამიტომაა, ჩვენი ყოველგვარი სიკეთე და სიამოვნება უფერული. ჩემი ოცნება ჩემი სამშობლოს სიმართლეა – ტერიტორიული და ეთნიკური.

ერთსაც საიდუმლოდ გეტყვით, ისე მინდა ვიცხოვრო „სიკვდილით არ დავმთავრდე“, ერთი პატარა ნათელი საქმე მეც მინდა რომ დავტოვო, ისეთი, რომ „მეც ოდესმე დავაკლდე ქალაქს“... და თან ოცნებით და იმედით სავსე.

რუბრიკას უძღვება
**ზურაბ ოიკაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესის“ კომპიუტერული ცენტრი სამუშაოდ იწვევს მაღალი კვალიფიკაციის მბეჭდავ-ოპერატორს.
ტელეფონი: 99-06-88.

სადისკუსიო კლუბი „პრესა“

# ავტორიტეტის მოპოვების არაკეთილსინდისიერი მეთოდი

ამ ბოლო დროს ზოგიერთი გაზეთი არც თუ იშვიათად აქვეყნებს ცილისმწამებლურ სტატიებს საქართველოს საგზაო პოლიციის სისტემის და მისი ხელმძღვანელობის შესახებ. გაზეთები ლამის წალეკოს ინსინუაციებმა, ყურმოკრულმა ამბებმა, რომელთაც სიმართლესთან არავითარი კავშირი არა აქვს. საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებს მიაწერენ იმ გამონათქვამებს, რომელიც მათ არასოდეს უთქვამთ. ზოგიერთი გაზეთი ცდილობს დამაჯერებელ ტონებში მიაწოდოს მკითხველს აგორებული ჭორები. ჩვენი სამსახურის მიმართ წამოყენებული ბრალდებები არც თუ იშვიათად, ალბათ, სიმართლეს შეეფერება, მაგრამ ფაქტების დაუკონკრეტებლობის გამო, ჩვენ არ გაგვაჩნია მათი მოკვლევის საშუალება შემდგომი რეაგირების მიზნით.

სამწუხაროდ, ზოგიერთი გაზეთი არც იმ გარემოებას ითვალისწინებს, რომ საქართველოს შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობა სულ რამდენიმე თვეა შეუდგა მოვალეობის შესრულებას და, მიუხედავად ამისა, უკვე ამჟარად გამოიკვეთა სისტემის ოპერატიულ-პროფილაქტიკური საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია. ჩვენთან გრძელდება რეფორმის უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო პროცესები. ამ დროს საგზაო პოლიცია, საზოგადოება და მასმედია ბარიკადის ერთ მხარეს უნდა იდგნენ. ხდება კი პირიქით – იაფფასიან სენსაციურობას გამოდევნებული ჟურნალისტი არად დაგიდევს არც პროფესიულ კეთილსინდისიერებას, არც ჟურნალისტურ ეთიკას და საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად სიტყვიერი კაზუისტიკით ერთობა, ბილწსიტყვაობს, ქარგონულ კონტექსტში მოიხსენიებს საგზაო პოლიციის კოლექტივს. მათი ქმედება იოლად ასახსნელია – დაგვეკარგვინონ წონასწორობა და შემდეგ ჩვენთან გამართული პოლემიკის წყალობით შეიქმნან იმ სოლიდური გაზეთის იმიჯი, რომელსაც „ანგარიშს უწევენ ძალოვანი სტრუქტურები“.

ავტორიტეტის მოპოვების ძალზე უსუსური და არაკეთილსინდისიერი მეთოდია!

ჩვენ ყოველთვის ვუწევდით და კვლავაც გავუწევთ ანგარიშს ყოველ გამონათქვამს და პრესაში გამოქვეყნებულ ნებისმიერი ჟანრის პუბლიკაციას, თუ მასში კონკრეტულად და ობიექტურად იქნება გაშუქებული ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ უხვად არსებული პრობლემები, თუ იგი გამსჭვალული იქნება საერთო საქმისადმი გულისტკივილითა და შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორების სურვილით და არა საგზაო პოლიციის ამა თუ იმ მუშაკისადმი შურისძიების წყურვილით, განაწყენებული ადამიანის პოზიციიდან ნიშნის მოგებით. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ამგვარ პასკვილებს და დაუკონკრეტებელ საგაზეთო ინფორმაციებს კატეგორიულად უგულებელვყოფთ და მათზე პასუხის გასაცემად დროს არ დავკარგავთ.

**თამაზ ლვინაძე,**
საქართველოს შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის უფროსი, პოლიციის მაიორი.

მესამე სექტორი

# მცირე გრანტები დიდი საქმეებისათვის

არასამთავრობო და არამოგებიანი ჰქვია იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთაც დღეს მრავალი ისეთი პრობლემის გადაწყვეტა ითავეს, რისთვისაც საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებს ჯერ ან არ სცალიათ, ან უბრალოდ, მრავალი მიზეზის გამო, უჭირთ მისი გადაწყვეტა. საქართველო მსოფლიოს იმ უნიკალურ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭეს და, რაც მთავარია, დღეს ეს სექტორი საქართველოს მთავრობასთან არა ჯიბრითა და კრიზში ჩადგომით, არამედ კეთილგანწყობითა და თანამშრომლობით ახერხებს მოღვაწეობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ძირითადად წვრთნიან და აფინანსებენ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ფონდები და წარმომადგენლობები გრანტების სისტემით.

ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია „საქართველოს რესპუბლიკის“ აქტიური თანამშრომელი და საქართველოს მესამე სექტორში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიმწოდებელი „ISAP-საქართველო“ გახლავთ. იგი წელიწადში რამდენჯერმე აცხადებს კონკურსს მცირე გრანტებზე (მაქსიმალური თანხა – 3 000 ამერიკული დოლარი) გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე. ასეა ახლაც: 1997 წლის 17 აგვისტოდან 30 სექტემბრის 18 საათამდე ამ პროფილის ნებისმიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსში მცირე გრანტის მოსაპოვებლად.

დაწერილებითი ინფორმაციისა და განაცხადის ფორმის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ „ISAP-საქართველოს“ მცირე გრანტების პროგრამას.

(ზანდუკელის ქ. № 13, II სადარბაზო, I სართული, ბინა №3; ტელეფონი: 93-30-07).

„ISAP-საქართველოს“
პრესცენტრი.

ინფორმაცია

# „მთიანეთში“ გაკაჟდნენ

დღევანდელ პირობებში, როდესაც უამრავ ოჯახს უჭირს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბანაკის გახსნას ცხვარიჭამიაში. წლეულსაც არ უღალატა მან თავის ტრადიციას – 200-მდე აფხაზეთიდან ლტოლვილი და ხელმოკლე ოჯახის შვილები დაასვენა კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირების ცხვარიჭამიას ბანაკმა „მთიანეთმა“.

ბანაკის ახალგაზრდა დირექტორის დავით გაბუნიას ხელმძღვანელობით ყველაფერი გაკეთდა მოზარდების სწორი და ჯანსაღი დასვენებისათვის. კმაყოფილი დარჩნენ პატარა დამსვენებლები, მათი მშობლები. არ მოკლებიათ საუკეთესო კვება, დასვენება, გართობა და რაც მთავარია – მშვიდი და ოჯახური ატმოსფერო.

ერთმანეთს ენაცვლებოდა საინტერესო დღეები – კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები, საზრიანთა და გონებამახვილთა ასპარეზობა, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, მოდების დემონსტრაცია.

სწრაფად განვლო 21 დღემ. ბავშვებს ეძნელებოდათ ბანაკის დატოვება. თუმცა სჯეროდათ, რომ მომავალ წელსაც ეწვევიან ცხვარიჭამიას კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირების თავმჯდომარის ბატონ სპარტაკ ხატიაშვილის, მისი მოადგილის სემიდა ჯმუხაძის, დამფინანსებლის – სოცუზრუნველყოფის სამინისტროდან ოთარ ხუფენიას და სხვების დახმარებით.

ბანაკის მესვეურებმა გზა დაულოცეს, სიკეთე და ბედნიერება უსურვეს ნორჩებს. ისინი განსაკუთრებული სიხარულით შეაღებენ სკოლის კარებს, სადაც მასწავლებლების თბილი გული დახვდებათ.

პედაგოგები
**თინათინ მხეიძე,**
**ნაილი ავალიშვილი.**

სპორტი

## მადლობა დამარცხებულებს

„ბათუმის“ საფეხბურთო კლუბი თანამემამულე ჩინოვნიკთა დაუდევრობით (რბილად რომ ვთქვათ) საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოეთიშა თასების მფლობელთა თასის გათამაშებას.

ქართველებმა ერევანში დიდი მონდომებით წარმართეს საპასუხო მატჩი „არარატთან“, პირველ ტაიმში ორი უპასუხო გოლიც გაიტანეს (თორლაშვილი, მახარაძე), მაგრამ შესვენების შემდეგ გამოუყენებელი ხელსაყრელი მომენტები, რასაც უიღბლობა (ბოლო წუთზე ბურთი ძელს მოხვდა) და პოლონელი მსაჯის კოვალჩიკის შეცდომაც (მან პენალტი არ დანიშნა მასპინძელთა კარში) თან დაერთო, ძვირად დაუჯდათ – 2:0 საერთო წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ვაჟკაცური ბრძოლისა და თამაშისათვის ბათუმელები ქებას იმსახურებენ, მაგრამ ვინ ან როდისღა აგებს პასუხს მათი გაწირვისათვის?

## ქეცბაიამ გვასახელა

ჩემპიონთა ლიგის მესარჩევ რაუნდში თავი გამოიჩინა გასული სეზონის საუკეთესო ქართველმა ფეხბურთელმა თემურ ქეცბაიამ.

მის მიერ ზაგრებში ხორვატიის „კროაციას“ კარში დამატებითი დროის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედი“ ორი მატჩის ჯამში – 2:1, 2:2 – ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში გაიყვანა.

## გუშინ

შვეიცარიაში გამართულმა ევროტურნირების მორიგი ეტაპის წილისყრამ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მომავალ მეტოქედ უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალში დაასახელა ბელორუსიის ქალაქ მოზირის კლუბი „მპკც“.

თამაშები 16 (ბელორუსიაში) და 30 სექტემბერს მოეწყობა.

* * *

დედაქალაქის „შევარდენის“ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთელთა მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურის სასტარტო შეხვედრა. ზუგდიდის „ოდიშმა“ წიტაიშვილის გოლით თბილისის „მორკინალს“ მოუგო 1:0.

ყურადღება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ ქ. თბილისში ამ გაზეთის გასავრცელებლად ხელსაყრელი პირობებით სამუშაოდ იწვევს კერძო რეალიზატორებს.

მსურველები დაგვიკავშირდნენ:
თბილისი,
მ. კოსტავას 14. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.
ტელ: 93-26-99.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ სთავაზობს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“

ბოლო, ოფიციალურ გამოცემას ყველაზე იაფად, ხელმისაწვდომ ფასებში.

გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს დიდი რაოდენობით შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი. მისამართი: მ. კოსტავას 14, მე-4 სართული.
ტელეფონი: 93-26-99.

შვილი სოსო ქობულია, რძლები მოცო ცომაია, ნატო აგლაძე, შვილიშვილები ნინო, მიშიკო, გიორგი, სიძე ბესო ჭიკაძე, და ფატი, ძმები ნიკო, ქიტო კირვალიძეები, დისწულები ჯემალ, ნარგიზა ლორთქიფანიძეები, ძმისწულები თემური, თამილა კირვალიძეები ოჯახებით, მაზლიშვილები ნუნუ, ნაულისი, სპარტაკ ქობულიები, მძახლები ვენერა ჩავლეიშვილი, მედეა მეზვრიშვილი, მულიშვილი ლია ღლანიძე ოჯახით, ვახტანგ, თამარ რატიანი ოჯახებით, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლღა ფირუზის ასული კირვალიძე-ქობულია.

პანაშვიდი 29, 30 VIII, 6 ს. გამოსვენება 31 VIII, 3 ს. მიხეილ თამარაშვილის ქ. № 3, II სადარბაზო, (ვაკის პარკთან).

---

მეუღლე ცირა ბადრიაშვილი, შვილი გიორგი, რძალი ირინა დანელია, შვილიშვილები ლევან, ანუკა, სანდრო, ძმისწულები მალვა, ნინო, ეკა, რძალი ლამარა კარტოზიები, მძახალი ნათელა ვასაძე, ცოლისდა ეთერ ბადრიაშვილი, ბიძაშვილები გია, ლია, ოთარ, სვეტლანა კარტოზიები, ჯემალ ბერიძე, გია, რუსიკო იოსელიანები ოჯახებით, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლერი შალვას ძე კარტოზია

პანაშვიდი 31 VIII, 1 IX, 5სთ, გამოსვენება 2 IX, 3 ს. ქუჩიშვილის ქ. № 7.

---

მეუღლე მარიამი, შვილები ლელა, ზვიადი, შვილიშვილები კახა, ლაშა ბასლანძეები, სიძეები აკაკი ბასლანძე, მერაბ გოგუაძე, გიორგი კურტანიძე, დები ციცინო, ზაირა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ (რუზველტ)
ვლადიმერის ძე ფირცხალაიშვილი

პანაშვიდი 29, 30 VIII, დაკრძალვა 31 VIII, 3 ს. ნათაძის ქუჩა 11.

ხსოვნა

# ვანო ხირსელი



გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ღვაწლმოსილი ვეტერანი, პოლკოვნიკი ივანე ნიკოლოზის ძე ხირსელი.

ბატონი ვანო დაიბადა 1922 წელს, თბილისში, ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, სოლოლაკში. მშობლები: მამა – ინჟინერი, დედა – ექიმი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობს თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, სწორედ მაშინ დაიწყო სამამულო ომი და მესამე კურსის სტუდენტი ჩაება მეორე მსოფლიო ომის ქარბუქში. ამთავრებს რა სოხუმის სამხედრო მსროლელ მეტყვიამფრქვევეთა სასწავლებელს, ომის დამთავრებამდე იგი ბრძოლების აქტიური მონაწილეა ფრონტის წინა ხაზებზე, როგორც კავკასიის, ასევე სამხრეთის ფრონტებზე. მიღებული აქვს სერიოზული ჭრილობები. ომის დამთავრების შემდეგ დემობილიზებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია, ხოლო 1954 წლიდან პენსიაში გასვლამდე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურშია, სადაც მუშაობდა რიგ ხელმძღვანელ სამუშაოზე, როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე პერიფერიაში.

პოლკოვნიკი ივანე ხირსელი არის წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის ორდენებისა და თორმეტი მედლის კავალერი, 1984 წელს დაჯილდოვდა შეიარაღებული ძალების ვეტერანის მედლით.

დიდია ვანო ხირსელის წვლილი სამშობლოს წინაშე ფაშიზმზე გამარჯვების წლებში. მის მიერ განვლილი ცხოვრება არის ვაჟკაცობის და მამულიშვილობის ნათელი მაგალითი, რომელზედაც აღიზრდებიან მომავალი თაობები.

დაუვიწყარია ბატონი ვანოს ხსოვნა. იგი ყოველთვის დარჩება მისი თანამებრძოლების, მეგობრების თუ ამხანაგების გონებაში, როგორც გულისხმიერი, მეგობრული განწყობის, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, კეთილი და ყოველთვის პასუხისმგებელი თავისი თავის მიმართ, ასევე იმ საქმის მიმართ, რომელსაც იგი წლების მანძილზე ემსახურებოდა.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა საბჭო

მეუღლე დალი, შვილები მაია, ლაშა, ნათია ფანჯიკიძეები, რძალი ნინო ბაგრატიონი, სიძეები პაატა თუშურაშვილი, ირაკლი ალასანია, შვილიშვილები გიორგი, არჩილი, სალომე, ნიკუშა, ელა, ძმა თეიმურაზ ფანჯიკიძე, ცოლისდები მზია გელაშვილი, ლალი კოკაია, ცოლისძმა მალხაზ კოკაია ოჯახებით, მძახლები მზია, რობინზონ თუშურაშვილები, დოდო ალასანია, ქეთევან, ვლადიმერ ბაგრატიონები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ ფანჯიკიძე

პანაშვიდი 31 VIII, 1 IX, 5 ს. ყაზბეგის (ყოფ. პავლოვის) პროსპექტი, 4 ა. გამოსვენება 2 IX, 2 ს. მწერალთა სასახლიდან (მაჩაბლის № 13). სამოქალაქო პანაშვიდი 12 სთ-დან.

---

მსოფლიოს მწერალთა გაერთიანება პენ-კლუბის ქართული პენცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და ღირსეული პიროვნება, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

გურამ ფანჯიკიძე

და უთანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კულტურის ფონდი და საზოგადოება „თბილისელი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების გამგეობის წევრი, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

გურამ ფანჯიკიძე

და უთანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სამინისტროს კოლეგიის წევრი

გურამ ფანჯიკიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მოქალაქეთა კავშირის საინიციატივო ჯგუფი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდენტი, თანამედროვეობის დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

გურამ ფანჯიკიძე

---

თბილისის მერიასთან არსებული საზოგადოებრივი მართლწესრიგის ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

გურამ ფანჯიკიძე

---

მოქალაქეთა კავშირის საინიციატივო ჯგუფი თანაგრძნობას უცხადებს საინიციატივო ჯგუფის წევრს რობინზონ თუშურაშვილს მძახლის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის

გურამ ფანჯიკიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

გურამ ფანჯიკიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალი

გურამ ფანჯიკიძე

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს,

---

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

გურამ ფანჯიკიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი განყოფილების გამგე, პროფესორი

მოთა კირილეს ძე ჩოგოვაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის პრემიერის მოადგილეს ბატონ მელორ ტყეშელაშვილს დის

ქსენია ტყეშელაშვილი-შენგელიას

გარდაცვალების გამო.

---

სააქციო საზოგადოება „მონტაჟსპეცმშენი“-ს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სააქციო საზოგადოება „ფოლადკონსტრუქციის მთავარი ინჟინერი

პავლე გიორგის ძე ქურდაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი შპს „პრესა“

გერმანული წარმოების უახლესი რიზოგრაფ-ტიპოგრაფის ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით, 1 სექტემბრიდან იწყებს შეკვეთების მიღებას საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ბეჭდვითი პროდუქციის დამზადებაზე (ფერადი და შავ-თეთრი). დაკვეთები შესრულდება როგორც დამკვეთის, ისე გამომცემლის ქაღალდით, ყველაზე სწრაფად და ხარისხიანად, ხელმისაწვდომ ფასებში. ბეჭდვის მაღალი ხარისხი გარანტირებულია კომპიუტერული ინტერფეისის მეშვეობით.

NEW!

დაკვეთები მიიღება: ა-4 ფორმატის გაზეთების, ჟურნალების, ბროშურების, წიგნების აწყობა-დაკაბადონებაზე და დაბეჭდვაზე, ასევე დიდი ტირაჟის ქსეროასლების უსწრაფესად გადაღებაზე.

მისამართი: მერაბ კოსტავას 14. მე-4 სართული.
ტელ. 93-26-99. 99-03-09.

ძალაძ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.